

გზავნილი
“არილის”
მკითხველს

თბილისი
მემკვიდრეობა
2009

Merab Ghaghanidze:

Sent to *Arili* Readers

Tbilisi
Memkvidreoba
2009

მერაბ ლალანიძე, გ ზაენილი "არილის" მკითხველს,
თბ.: მემკვიდრეობა, 2009.

რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

ყდის მხატვარი
გურამ ნიბახაშვილი

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
"მემკვიდრეობა"

ფონდის საქმიანობას
ნივთიერად უზრუნველყოფს
გიორგი ლეჟავა

ISBN 978-9941-0-1832-9

© მერაბ ლალანიძე, 2009
© "მემკვიდრეობა", 2009

სარჩევი

წინათქმა	7
როჟე გაროდი — (ყოფილი) კომუნისტი	11
ტიმოთი ლირი — რევოლუციონერი და იდეოლოგი	19
მირჩა ელიადე	26
გდრ-ის გამოფენა ბერლინში	35
ბარონ მიუნხაუზენის ტყუილი და მართალი	38
ჩინეთის “კულტურული რევოლუცია”	41
ევროპული ფილმის მეოთხე პრაქული ფესტივალი	48
“კავკასიური ღამე”	56
იან პატოჩკა — ფილოსოფოსი და მოღვაწე	59
ცოტა რამ ბეტონის შესახებ	66
ფრანც შუბერტი	69
ხელახალი ლონდონური “გლობუსი”	75
ამერიკული უნივერსიტეტები უმცირესობათა დიქტატურის პირობებში	78
ტოტალიტარიზმი ცოცხლობს და იბრძვის!	85
ჯორჯ სანტაიანა	92
1966 წელი: რუსთაველის იუბილე	98
წმიდა ვალენტინის დღე	105
სერ აიზაია ბერლინი	112
არჩილი — მეფე და პოეტი	115
ჰოლოკოსტის მუზეუმი ვაშინგტონში	121
საფრთხე: ტელევიზია!	124
ნეტარი ბოშა — ჩეფერინო ხიმენეს მალა	127

ერნსტ იუნგერი	134
ობრი ბერდსლი	142
ჯორჯ ორუელი	148
გაბრიელე დ'ანუნციო	154
აკაკი განერელია	160
<i>მალხაზ ხარბედია</i>	
კონვერტებით მონოდებული გზავნილი	169
ბიბლიოგრაფიული მითითებანი	172
სახელთა საძიებელი	175

წინათქმა

მკითხველის წინაშეა იმ 27 ესეის ნაკრები, რომლებიც “არილში” გამოქვეყნდა 1997-1998 წლებში, როცა ის ჯერ გაზეთი ან, უფრო ზუსტად, სხვა გაზეთის დამატება იყო, და 2002 წელს, როცა ის უკვე დამოუკიდებელ ჟურნალად არსებობდა.

ეს მომცრო კრებული, რომელიც ასეთი დაგვიანებით გამოდის, “არილის” სულის გაცოცხლების მცდელობაცაა და მასთან საბოლოო გამომშვიდობებაც. ავტორისათვის დღემდე ძვირფასია ის შთამაგონებელი ხალისი, სიახლეთა მოპოვების, აღქმისა და გაგების ის მწველი სურვილი, რომელიც იმ წლებისათვის იყო ჩვეული, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დღეს იგი არა მარტო ასე აღარ დაწერდა, არამედ, შესაძლოა, მას აზრადაც კი არ მოსვლოდა ამგვარი ტექსტების დაწერა და გამოქვეყნება.

თუკი ბრძენთ დავუჯერებთ, დრო და ჟამი იცვლება (და, რაც მთავარია, პირველ ყოვლისა, იცვლება ადამიანი!), და ამიტომაც მკითხველი ამ წიგნში დღევანდელი დღის გამოძახილს და, მით უმეტეს, მის უკუფენას ნაკლებად იპოვის, — ეს კრებული, ალბათ, უფრო მეტად, საუკუნეთა მიჯნის უკვე გარდასულ სულისკვეთებას გამოხატავს. მართალია, იმ დროთა და ჟამთა შემდგომ ავტორის პოზიცია თუნდაც საზოგადოებრივ, თუნდაც რელიგიურ განზომილებაში უფრო მკაფიო, უფრო ჩამოყალიბებული, უფრო მთლიანი გახდა, თუმცა თვალსაწიერის მიმართულე-

ბა და არჩევანი არც მაშინ ყოფილა ბუნდოვანი ან გაფანტული. ერთი, რაც თვალნათლივ შესამჩნევია, წარმოდგენილი ტექსტების სანყისი ბიძგია სიხარული — ახალი ცოდნის მოპოვებისა და ახალი უწყების ნვდომის სიხარული და, ამავე დროს, მისი გაზიარების დაუოკებელი, ზოგჯერ არცთუ შესაბამისი, მოზომილი და განონასწორებული მისწრაფება.

ნიშნეულია, რომ ყველა ის ესეი, რომელიც კრებულშია მოთავსებული, ევროპის შუაგულში, პრაჰაშია, დანერილი, სადაც იმჟამად ცხოვრობდა ავტორი და ამიტომაც ყოველ მათგანში, სამშობლოს მწველი მონატრების გარდა, პრაჰის იღუმალის და შეუბოჭავი, მოლიცლიცე და ლალი, მაგრამ, ამასთანავე, ოდნავ პროვინციული და ჯერ კიდევ ოდნავ პოსტკოტალიტარული გარემოც აისახა.

საყურადღებოა ისიც, რომ ამ ტექსტებისათვის ევროპასთან ავტორის პირველ ცხოვრებისეულ, ყოველდღიურ შეხვედრასაც დაუჩნევია კვალი და საზოგადოებრივ თუ რელიგიურ აღმოჩენათა და გადწყვეტილებათა პირველი ნაბიჯების არასიმყარესაც.

რაც შეეხება კრებულის სათაურს: *გზავნილი "არილის" მკითხველს*, — ეს ფურცლები იმხანად მართლაც ძველებურად, საფოსტო გზავნილის სახით მოდიოდა თბილისში, დიდ თეთრ კონვერტებში (რაკი იმ დროს ჯერ მხოლოდ ნორჩ ფრთებს შლიდა ელექტრონული ურთიერთობები), მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ეს კრებული თავისთავადაც გზავნილია, გამოგზავნილი გუშინდლიდან და გამიზნული იმ კონკრეტული მკითხველისათვის, რომელიც XX საუკუნის მიწურულს ქართულ კულტურულ

საზოგადოებაში, ასე ვთქვათ, “არილის” თანამდგომთა წრეს შეადგენდა. ავტორს სჯერა, რომ ჯერ გაზეთისა და მერმე ჟურნალის როგორც ავტორთა, ისე რეალურ თუ პოტენციურ მკითხველთა ჩამოუყალიბებელი ერთიანობა მაშინაც ნამდვილად არსებობდა და დღესაც, — ცხადია, სრულიად სახეშეცვლილი, — ისევ არსებობს.

და კიდევ, ადრინდელი ტექსტების დღეს კრებულად გამოცემა ავტორს “არილის” ნივთებით სავსე კარადიდან საკუთარი ნივთების, — თუნდაც ერთ დროს ნალოლიავეები, მაგრამ ამჟამად უკვე ანარეკლმინავლებული და ყავლგასული ძველმანების, — ცალკე გამორჩევად და ერთ მომცრო კიდობანში სევდითა და რიდით მათს უშფოთველ დაბინავებად ესახება.

დასასრულ, მეგობრულ მადლობას იმსახურებს მალხაზ ხარბედია, “არილის” სწრაფვათა ცოცხალი განსახიერება, მისი იმჟამინდელი და ამჟამინდელი გარჯისათვის, რასაც შედეგად ჯერ ტექსტების საქართველოში გამოქვეყნება, ხოლო ახლა კი მათი ცალკე წიგნად გამოცემა მოჰყვა.

ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ იმდროინდელ ტექსტებში, კორექტურულ შეცდომათა გარდა, არაფერი ჩასწორებულა და არც არაფერი შეცვლილა ან ჩამატებულა.

კრებულში შესული მასალა თავდაპირველი გამოქვეყნების ქრონოლოგიის მიხედვითაა დალაგებული.

მერაბ ლალანიძე

25 ივნისი, 2009

როჟე გაროდი — (ყოფილი) კომუნისტი

ვისაც ამ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის კულტურული ცხოვრებისათვის მიუდევნებია თვალი, მისთვის უცნობი არ იქნება როჟე გაროდის სახელი. საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური ბლოკის სხვა ქვეყნების ოფიციალური იდეოლოგიისათვის იგი ლალატისა და მუხანათობის ხორცშესხმას წარმოადგენდა, რაც, შესაბამისად, მარქსიზმ-ლენინიზმის მარნუხებში მოქცეულ ყველა ოპოზიციონერსა და თავისუფლადმოაზროვნეს მის მიმართ სიმპათიით განაწყობდა. მაგრამ რეალური ცხოვრება — და მათ შორის როჟე გაროდიც — უფრო მრავალფეროვანი და მოულოდნელია, ვიდრე კომუნისტური ან ანტიკომუნისტური სქემები და დოგმები.

85 წლის როჟე გაროდი ისევ პრესისა და ჟურნალისტების ყურადღებითაა გარემოცული, მის შესახებ ისევ მჯელობენ და კამათობენ, მხარს უჭერენ ან სასტიკად აკრიტიკებენ, მისი პოზიცია ისევ არ იძლევა საშუალებას აკადემიური გულგრილობის შესანარჩუნებლად.

პირველად მისი სახელი კარგა ხნის წინ გახმაურდა — 1949 წლის ზამთარში, როცა პარიზის ერთ-ერთ სასამართლოში ეგრეთ წოდებული "კრავჩენკოს საქმე" განიხილებოდა. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, მისთვის კომუნისტური გაზეთის "ლეტრ ფრანსეზის" საქმე გვეწოდებინა, რადგან სწორედ

ამ გაზეთმა დასდო ბრალი დასავლეთში თავშეფარებულ ყოფილ საბჭოთა გავლენიან ჩინოვნიკს, კრავჩენკოს, რომ ყველაფერი ის, რაც აღწერილი იყო მის წიგნში — "მე ავირჩიე თავისუფლება" — სინამდვილეში საბჭოთა კავშირის ცილისწამებაა, და კიდევ მეტი — ამერიკული სპეცსამსახურების შეთხზული მონაწილეობა. ამ გაზეთის მიმართ ბრალდება თავად კრავჩენკომ აღძრა, ხოლო პროცესმა, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული პოლიტიკური უღერადობა შეიძინა არა მარტო საფრანგეთში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც. მაშინ საბჭოთა კავშირსა და კომუნიზმს მრავალი დამცველი გამოუჩნდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა ლტოლვილი მატყუარა და დამნაშავეა, რომ მის ბრალდებებს საბჭოთა კავშირის მიმართ არანაირი საფუძველი არ მოეპოვება, და საერთოდაც, მეტად საეჭვოა, ნამდვილად მისი დაწერილია თუ არა წიგნი. ამ მრავალრიცხოვან მოხალისე თუ იძულებით, დაქირავებულ თუ უანგარო ადვოკატთა შორის როჟე გაროდის გამორჩეული ადგილი არ დაუკავებია, მაგრამ საზოგადოებისათვის თავის დამახსოვრება კი მან უეჭველად მოახერხა. მონმის ბარიერთან იგი მხოლოდ მეცამეტე დღეს წარდგა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა, რომ მას ამ გახმაურებულ საქმეში უმნიშვნელო როლი უნდა ეთამაშა — იგი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სახელით ლაპარაკობდა, იგი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარგზავნილი იყო სასამართლო პროცესზე. იმ დღეებში სასამართლოს დარბაზში ჟურნალისტების ნაკლებობა არ იგრძნობოდა, ყურადღების მიღმა არავინ დარჩენილა. გაროდის გამოსვლა კი ერთ

იმდროინდელ პარიზულ გაზეთში ასეა აღწერილი: "ახალგაზრდა, სათვალეებიანი კომუნისტი დეპუტატი გაროდი ბარიერთან დგება და აცხადებს, რომ მხოლოდ საკუთარ აზრს გამოხატავს. როცა ის ლაპარაკობს, მას ხელში კრავჩენკოს წიგნი უჭირავს, რომელიც, როგორც ჩანს, მან ზეპირად იცის. იგი ყოველ წამს ხან ერთ ციტატას დაიმონმებს ხოლმე წიგნიდან, ხან მეორეს, პოულობს წინააღმდეგობებს კრავჩენკოსთან, ეკამათება მას, აკრიტიკებს. იგი პროფესიონალი ორატორივით ლაპარაკობს, მაგრამ არსებითსა და ახალს არაფერს ამბობს, ერთი საერთო ადგილიდან მეორეზე გადადის. რაც მთავარია, აშკარაა, რომ იგი საკუთარი თავით მეტად კმაყოფილია". სიმართლე რომ ითქვას, გაზეთის მორიგე კორესპოდენტის ამ ნახევარი საუკუნის წინანდელ სიტყვებში გაროდის იმგვარი პორტრეტია დახატული, რომელშიაც დღესაც ცოტა რამ თუა შესაცვლელი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ გაროდი 36 წლის მგზნებარე კომუნისტი იყო, კომუნიზმისა და მისი ბასტიონის — საბჭოთა კავშირის — შთაგონებული დამცველი, დღეს კი იგი სიონიზმთან და დასავლურ კაპიტალიზმთან მებრძოლი მუსლიმია.

მართალია, გაროდის სახელი 40-50-იანი წლების საფრანგეთის კომუნისტურ წრეებში ჟღერადი სახელი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირში იგი მხოლოდ 50-იანი წლების მიწურულიდან გახდა ცნობილი. რა თქმა უნდა, ეს გაროდის ბრალი არ იყო, რადგან კრემლი საკუთარ მართლმორწმუნე კომუნისტებსაც ეჭვით უყურებდა, მით უმეტეს, დასავლელ კომუნისტებს, და პირველებსაც და მეორეებსაც, — თუკი გამარჯვებული სოციალიზმის მიწა-წყალზე აღმოჩ-

ნდებოდნენ, — თითქმის უგამონაკლისოდ გულაგის შორეულ ადგილ-სამყოფლებში აგზავნიდა. მაგრამ გაროდი, სხვა თანამოდმეთაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში გადმოსახლებას არც აპირებდა, სადაც მისი წიგნი პირველად და უკანასკნელად 1966 წელს დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ინტელიგენტებს შორის ავტორიცა და წიგნიც მოკრძალებითა და მადლიერებით მოიხსენიებოდა, მათს წიგნის თაროებზე მაინც ძნელად იპოვიდით მას, — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გაროდის ნაშრომი ამგვარი წარწერით გამოიცა — "მხოლოდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წიგნი, რომელსაც ერქვა "რეალიზმი საზღვრების გარეშე", მაღაზიებში არასოდეს გაყიდულა და მეტად შეზღუდული რაოდენობის მკითხველისათვის იყო გამიზნული. სიმართლე რომ ითქვას, მათთვის, ვისაც წიგნი ხელთ ჩაუვარდა და მისი ნაკითხვის საშუალება მიეცა, აშკარა იყო, რომ გაროდის არცთუ უფერულად დაწერილი წიგნი დიდი აღმოჩენებით არ ბრწყინავდა. ცალკეულ თავებში, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების რამდენიმე ოსტატს ეძღვნებოდა, ნათქვამი იყო ის, რაც თითქოს ყველას ისედაც კარგად მოეხსენებოდა: რომ პიკასო გენიალური მხატვარია, სენ-ჟონ პერსი — შესანიშნავი პოეტი, კაფკა — დიდი მწერალი და ა.შ. მაგრამ წიგნმა მაინც მიიპყრო ყურადღება (და არა მარტო საბჭოთა კავშირში), რადგან კომუნისტისაგან ამის განცხადებაც გარკვეულ სიმამაცეს მოითხოვდა, მაგრამ, ამასთანავე, ეს პოზიცია იმათ წისქვილზეც ასხამდა წყალს, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ბოლოს და ბოლოს ტოტალიტარულ პოლიტიკურ სის-

ტემაშიც შეიძლება შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვება. ნინასიტყვაობაში ლუი არაგონი აცხადებდა, რომ ნიგნის გამოსვლას მოვლენად მიიჩნევდა და აზუსტებდა: “ეს განპირობებულია არა მარტო იმით, რა არის მასში ნათქვამი, არამედ იმითაც, თუ ვინ თქვა ეს”. ამაში არაგონი მართალი იყო: ამ დროს როჟე გაროდი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი იყო და ფრანგი კომუნისტების ბელადის — მორეს ტორეზის — ოფიციალურ იდეოლოგიურ მრჩევლად იყო მიჩნეული. მაგრამ თეორიული მსჯელობანი ადამიანის შემოქმედებითი განვითარების შესახებ არათავისუფალი სახელმწიფოს ჩარჩოებში სულ მალე ჰაერში გამოკიდული აღმოჩნდა. როცა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა 1968 წლის აგვისტოში ტანკებით გასრისეს “პრაჰის გაზაფხული”, აშკარა გახდა, რომ სოციალიზმი ადამიანურ სახეს ვერ მოიპოვებდა. მაგრამ აშკარა გახდა, რა თქმა უნდა, მათთვის, ვისაც ამის გაგება უნდოდა ან შეეძლო. მათ შორის კი კომუნისტი როჟე გაროდიც აღმოჩნდა, რომლის აღშფოთება და პროტესტები იმით დამთავრდა, რომ 1970 წელს გაროდი საფრანგეთის კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, — პარტიის წინაშე მთელი მისი დამსახურებების მიუხედავად.

ნიგნში “სოციალიზმის მკვეთრი მობრუნება”, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზე დაიბეჭდა, გაროდი თავის კომუნისტურ იდეალებს ემშვიდობება, იმ ილუზიებს, რომელთაც იგი წლების განმავლობაში ემსახურებოდა. ამ ნიგნით იგი თითქოს ანგარიშს უსწორებდა წარსულს და მისი სტრიქონები მგზნებარებით იყო აღსავსე. რეაქციამაც არ დააყოვნა — ვისაც

სამოცდაათიან წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმძღვანელოებისა თუ პარტიკანათლების აგ-იტაციური ბროშურებისათვის გადაუვლია თვალი, შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნოდა, რომ "რენეგატი გაროდი" (ყოფილმა თანამოძმე კომუ-ნისტებმა მას უშურველად მიაკუთვნეს ეს ეპითეტი) იმდროინდელი კომუნისტური მოძრაობისათვის იმ-გვარსავე საფრთხეს წარმოადგენდა, როგორსაც 30-იან წლებში "მოღალატი ტროცკი".

ამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაროდის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, მაგრამ კომუნისტური ქიმერებისაგან განთავისუფლებას აკადემიურ მეცნიერად, ესთეტიკოსად, მოაზროვნედ დაღვინება არ მოჰყოლია, — 69 წლის ასაკში მან ის-ლამი მიიღო და ყველაზე ექსტრემისტულ ისლამურ დაჯგუფებებს მიემხრო. ისიც გასათვალისწინებე-ლია, რომ XX საუკუნის ფრანგული კულტურისათვის ეს მთლად უჩვეულო მოვლენა არ ყოფილა, — რენე გენონის ან ჟან ჟენეს გახსენებაც კმარა. სპარსეთის ყურეში ომისას მან აქტიურად დაუჭირა მხარი სადამ ჰუსეინს. მართლმორწმუნე კომუნისტების მსგავსად, ძველებური, კომუნისტური მგზნებარებით ყველა წარმოდგენილ თუ წარმოუდგენელ ცოდვაში იგი ადანაშაულებს ამერიკას, ისრაელს, დასავლური დემოკრატიის ქვეყნებს, ყველა იმათ, ვისაც "კაპი-ტალისტებად" მიიჩნევს.

90-იანი წლებიდან გაროდი თანამშრომლობს მკვეთრად მემარჯვენე ყოველკვირეულთან — "ნაციონალიზმი და რესპუბლიკა", მაგრამ, ამავე დროს, არ შეუწყვეტია ურთიერთობა კომპარ-ტიის ცალკეულ გავლენიან პირებთან. 1994 წელს

საფრანგეთის კომპარტიასთან ახლოს მდგომმა ერთმა გამომცემლობამ მკითხველს გაროდისეული მორიგი სიურპრიზი შესთავაზა. წიგნის სათაურია — “გაიხსენე: საბჭოთა კავშირის მოკლე ისტორია”. ვისაც ეს ოპუსი წაუკითხავს, ერთხმად აცხადებენ, რომ ის დამსხვრეული სისტემის გულდათუთქული გამოტირებაა.

ამ ცოტა ხნის წინ გაროდი კიდევ ერთი სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა — შესაბამისმა ორგანოებმა აკრძალეს მისი ახალი წიგნი “ისრაელის პოლიტიკის საფუძველმდებელი მითები”, წიგნი, რომელშიც ავტორი აცხადებს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ებრაელთა გენოციდი — ჰოლოკოსტი — მხოლოდ ებრაული მითია. გაროდი ამტკიცებს, რომ მესამე რაიხში არც გაზის კამერები არსებობდა და არც მასობრივი განადგურების ბანაკები... “ანა ფრანკის დღიურიც” მისტიფიკაციაა, რადგან იგი ბურთულოვანი კალმითაა დაწერილი, რაც იმ დროს ჯერ გამოგონებული არ იყო, თუმცა გაროდის მხედველობიდან გამორჩა, რომ ამგვარი კალმების მასობრივი გამოშვება 1938 წელს დაიწყო. ალბათ, 80 წელს გადაცილებულ ყოფილ მგზნებარე კომუნისტს ყველაფრის ცოდნა და ყველაფრის მახსოვრობა არ ევალება. წიგნში მოზრდილი მონაკვეთი ეთმობა ნიურნბერგის პროცესს, რომელიც, “უნაპირო რეალიზმის” ავტორის აზრით, სრულიად უკანონო იყო, რადგან მოსამართლენი მხოლოდ გამარჯვებულთაგან იყვნენ შერჩეული...

გახმაურებული წიგნის გამოსვლის შემდეგ გაროდისთან რამდენიმე ინტერვიუ დაიბეჭდა, რომლებშიც იგი აცხადებდა, რომ თავს ანტისემიტად არ

მიიჩნევს, თუმცა არ შეუძლია არ დაგმოს ისრაელის პოლიტიკა, საიდანაც სათავეს იღებს ათასნაირი მითები მეორე მსოფლიო ომის შესახებ. მაგრამ ამ განცხადებათა მიუხედავად, ფრანგულმა ორგანიზაციამ — "მოძრაობა რასიზმის საწინააღმდეგოდ და ხალხთა შორის სამეგობროდ" — სასამართლოში უჩივლა როჟე გაროდის. პრესაში ისევ სენსაციურმა ცნობამ გაიელვა — გაროდის ადვოკატობა იკისრა უაკ ვერჟესმა, მრავალი ტერორისტისა და ცნობილი "ლიონელი ჯალათის" — ბარბიეს დამცველმა. თუმცა კაზუსი ამით არ ამოწურულა: ყველაზე მოულოდნელი იყო, რომ გაროდის სოლიდარობა გამოუცხადა სახელგანთქმულმა აბატმა პიერმა, კათოლიკური საქველმოქმედო ასოციაცია "ემაუსის" დამაარსებელმა.

როჟე გაროდის ცხოვრება და მოღვაწეობა გრძელდება, იგი ისევ მკვეთრ მობრუნებებს აკეთებს, იგი ისევ უჩვეულოდ აზროვნებს, წერს და იქცევა. მაგრამ მაინც კითხვად რჩება, სად გადის საზღვარი პიროვნების განუწყვეტელ განახლებასა და იმას შორის, რასაც ექსტრავაგანტურობა და ყველა სიტუაციაში ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუოკებელი სურვილი ჰქვია...

"არილი", 27 მარტი, 1997

ტიმოთი ლირი — რევოლუციონერი და იდეოლოგი

*1996 წლის მაისში გარდაიცვალა 60-იანი წლებ-
ის ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი გახ-
მაურებული ფიგურა, ამერიკელი მეცნიერი და
პუბლიცისტი — ტიმოთი ლირი.*

მას შემდეგ, რაც პოპ-კულტურის ვარსკვლავ-
თა მოზრდილმა ნაწილმა ნარკოტიკულ ბურანში
დაამთავრა სიცოცხლე, ბევრმა მათი სიკვდილის
იდეოლოგიური პასუხისმგებლობა ჰარვარდის უნი-
ვერსიტეტის ფსიქოლოგიის ყოფილ პროფესორს,
ტიმოთი ლირის, დააკისრა.

თავად ლირი გარდაიცვალა მაშინ, როცა ახალ-
გაზრდული მოძრაობა, სექსუალური და ფსიქოდე-
ლიკური რევოლუციები, მემარცხენე ამბოხება
საზოგადოებრივი წესრიგისა და ტრადიციულ ფა-
სეულობათა მიმართ უკვე ისტორიის კუთვნილებაა,
მაგრამ ისტორია დოკუმენტებს მოითხოვს, ლირიმ
კი ამგვარი დოკუმენტის დატოვება მოასწრო — ესაა
მისი მოგონებათა წიგნი “მახსოვრობის გაელვებანი”,
რომელიც, უეჭველი ლიტერატურული და ისტორი-
ული ღირებულებების გამო დღემდე მრავალ ენაზე
და მრავალ ქვეყანაში იბეჭდება, წიგნი, რომელიც
ერთსა და იმავე დროს არის მეცნიერის აღსარე-
ბაც, ქიმიურ-მისტიკურ გამოცდილებათა აღწერაც,
გამოჩენილ თუ არაგამოჩენილ ადამიანთა ანეკდო-

ტური პორტრეტების კრებულიც და რომელიც, ამავე დროს, აღსავსეა მახვილი პოლიტიკური ანალიზითა და მოზრდილი ექსკურსებით ფილოსოფიის, სოციოლოგიის, რელიგიისა და ხელოვნების სფეროებში.

პროფესორი ლირი თავისი ცხოვრების გარდამტეხ წუთებად მიიჩნევს იმ თავზარდაცემას, როცა მან გარაჟში მკვდარი მეუღლე იპოვა, რომელმაც თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. შემთხვევითი არაა, რომ იგი სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის აღწერით იწყებს თავის მოგონებათა წიგნს. მანამდე იგი — ბერკლის უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი — პიროვნების დიაგნოსტიკის პრობლემებზე მუშაობდა (მის მიერ დამუშავებული პიროვნების ინტერპერსონალური ტესტით ანუ "ლირის ტესტით" დღემდე სარგებლობენ მთელ მსოფლიოში), ამიერიდან კი მან იმ სტიმულის ძიება დაიწყო, რომელიც ადამიანთა ქცევას, მათ ცხოვრებას კარდინალურად შეცვლიდა. და აქ ფსიქოლოგებს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინათ — მშრალი მეცნიერ-სპეციალისტები ადამიანთა მეგზურებად უნდა გადაქცეულიყვნენ, რათა ისინი ავტორიტეტების მონობისაგან გაეთავისუფლებინათ და შთაეგონებინათ, აღენოთ ისინი — საკუთარ თავზე დაყრდნობით — პიროვნული ზრდის, პიროვნული განვითარების ახალი განზომილებებისათვის მიეღწიათ. ლირის ამ იდეებმა 1960 წელს მას პროფესურა მოაპოვებინა ჰარვარდში, ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში.

უფრო ადრე კი იყო ბავშვობა, გატარებული ირლანდიული წარმოშობის ოჯახში, რომელიც ამერიკული საზოგადოების საშუალო ფენას ეკუთვნოდა, — მორ-

ნმუნე კათოლიკე დედა და ლოთი მამა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, როცა ტომი 13 წლისა იყო, უბრალოდ გაუჩინარდა, გაჰყვა ქარს, როგორც ირლანდიული ლეგენდების გარეული ბატი. შემდგომ იყო წიგნებში ჩანთქმული სიჭაბუკე, ალკოჰოლისა და ქალიშვილებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, პატარ-პატარა პროვოკაციული ქმედებანი, იყო მიტოვებული იეზუიტური სკოლა და მიტოვებული სამხედრო აკადემია უესტ პოინტში (საიდანაც, სხვათა შორის, 110 წლით ადრე ლოთობისთვის გარიცხეს ედგარ ალან პო). შემდგომში — სტუდენტობის წლები კალიფორნიაში, ქორწინება, შვილები და ასე თუ ისე წყნარად და გეგმიერად მიმდინარე წარმატებული ამერიკელი ინტელექტუალის სტანდარტული ყოველდღიურობა, — და ასე მისი მეუღლის თვითმკვლელობამდე.

თავის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში ახალგაზრდა მეცნიერი ცდილობდა ადამიანურ ქმედებათა ისეთი უნივერსალური ტაბულის აღმოჩენას (თუ შექმნას), როგორიცაა ქიმიურ ელემენტთა მენდელეევისეული ტაბულა. როცა 50-იანი წლების დასასრულისათვის ლირი დარწმუნდა, რომ ადამიანის ფსიქიკა მკვეთრად აჭარბებს იმას, რაც შეიძლება გაიზომოს და აიწონოს, იგი მისთვის უცნობ და გამოუცნობ სივრცეში აღმოჩნდა — როგორ აიხსნას, რაა ირაციონალური, რაა პოეზია, მისტიკა, რელიგიური გამოცდილება? 1960 წლის ზაფხულში კი მან პირველად გამოსცადა ფსიქოდელიკური სამუშალება და მოპოვებულმა გამოცდილებამ ისე გაიტაცა, მიიჩნია, რომ უმაღლესი ხედვის ფარდა გაეხსნა და ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფო აღმოაჩინა, რომელიც ადამიანის ტვინში იმალება.

მაშინ ჰარვარდელი პროფესორი შეუდგა გამაბრუებელ საშუალებათა სისტემურ კვლევას და იმ ლიტერატურის შესწავლას, რაც ადამიანური ცნობიერების ცვლილებებს აღწერდა; დაუმეგობრდა მათ, ვისაც ამ სფეროებში საკმაო გამოცდილება მოეპოვებოდა — ოლდოს ჰაქსლის, ართურ კესტლერს, ალენ გინზბერგს, უილიამ ბეროუზს, ჯეკ კერუაკს. საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა გამართულად მუშაობდა და მათ შესახებ ბევრი არაფერი ჰქონდათ გაგონილი საბჭოთა ადამიანებს, დასავლელი ახალგაზრდობისათვის კი ეს სახელები მთელ ეპოქას ნიშნავდა.

თავის ახალ მეგობრებთან ხანგრძლივი საუბრების შედეგად ტიმოთი ლირის ჩამოუყალიბდა მყარი შეხედულება, რომ ჰალუცინოგენური საშუალებანი — ფსილოციბინი და ელ-ეს-დე ჯანმრთელობისათვის არც მავნებელია და არც შეჩვევა იცის, რაც მთავარია, ადამიანური შეზღუდულობის ფარგლებს აფართოებს და უსაზღვროდ ამდიდრებს ცნობიერებას, კიდევ მეტი — მათ შეუძლიათ რევოლუციური ცვლილებანი შეიტანონ მთელი საზოგადოების ცხოვრებაში.

ეს ის ხანმოკლე პერიოდი იყო ამერიკის ცხოვრებაში, როდესაც კენედისა და ჯონსონის პრეზიდენტობის ხანაში რევოლუციურად განწყობილმა ინტელექტუალებმა დიდი საზოგადოებრივი გავლენა მოიპოვეს. ახლოვდებოდა 1968 წელი... საჭირო იყო ტრიბუნა და ტიმოთი ლირიც სისტემურად, დაულალავად მუშაობდა მასმედიასთან. მან კარგად იცოდა, რომ იმიჯისათვის აუცილებელი იყო ოპტიმისტური და დამარწმუნებელი ლიმილი, მოკლე და გასაგები

ფრაზები. მისი გამოკვლევები გასცდა ჰარვარდის ნყნარ ლაბორატორიებს, — იგი მიდის საპატიმროებში, სადაც ელ-ეს-დე-ს საშუალებით ცდილობს დამნაშავეები უკეთეს ადამიანებად აქციოს. სიუჟეტი თითქოს “მოსამართი ფორთოხლიდანაა” აღებული...

პროფესორ ლირის მაშინ “ნარკომანეკენი” შეარქვეს, რომელიც — მოსილი სოლიდური მეცნიერის ავტორიტეტითა და საკუთარი გამოცდილების შარავანდედით — მსმენელს, მკითხველსა თუ მაყურებელს ჰალუცინოგენურ ტაბლეტებს სთავაზობს, რაც, მისი სიტყვებით, ადამიანს სულიერი მოღვაწეობის სტიმულსაც მისცემს და დასვენებასაც ასწავლის, მორწმუნეებს რელიგიური აღტაცების ნეტარ ნუთებს მიანიჭებს, ხოლო განცხრომის მოყვარულებს მოსაწყენ საღამოებს გაუხალისებს.

ლირი და მისი მოძღვრება უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. თავის მოგონებებში იგი არცთუ ორაზროვნად იმასაც კი მიანიშნებს, რომ მისი შეხედულებების მიმდევარი იყო თვით ჯონ ფიჯერალდ კენედი, — რომელსაც თითქოს ნარკოტიკებს ის ახალგაზრდა ლამაზმანი აწვდიდა, რომელიც კენედისა და ლირის საერთო სატრფო იყო. ლირიმ ისიც კი იცოდა, რატომ მოკლეს კენედი. მისი აზრით, ჰალუცინოგენების საშუალებით პრეზიდენტის ცნობიერება იმდენად გაფართოვდა, მისი აზროვნება იმდენად გათავისუფლდა საიდუმლო სამსახურებისა და სხვა ძალოვან სტრუქტურათა კონტროლისაგან, რომ აუცილებელი გახდა მისი მოშორება.

ფაქტი ისაა, რომ შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უკვე 50-იანი წლების დასაწყისიდან იკვლევდა ჰალუცინოგენებს

და ლირის ჰარვარდული წრის ინტელექტუალურ-არტიტულ თამაშობებს თავიდანვე ეჭვით ადევნებდა თვალყურს. არაა გამორიცხული, რომ სწორედ ამ დაწესებულების ინიციატივით ტიმოთი ლირი მალე უნივერსიტეტიდან გააძევეს. მაგრამ ამგვარი უსიამოვნებანი გულს ვერ გაუტეხდა ფსიქოდელიკური რევოლუციის იდეოლოგს — მან თავის მეგობრებთან ერთად ერთი რაჩო დაიქირავა, სადაც ხელოვნური სამოთხის კვლევას განაგრძობდა და რომელსაც "კასტალია" უწოდა. (სხვათა შორის, მას ჰერმან ჰესე — განსაკუთრებით "ტრამალის მგლის" გამო — თავის წინამორბედად და მასწავლებლად მიაჩნდა.)

მაგრამ მალე ფსიქოლოგიის ყოფილ პროფესორს პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა და მან, რომელსაც ამერიკის რამდენიმე შტატში შესვლაც კი ეკრძალებოდა, 1970 წელს თავისი კანდიდატურა წამოაყენა კალიფორნიის გუბერნატორის თანამდებობაზე. ეს კი, როგორც ჩანს, ფედერალური დაწესებულებებისათვის მოთმინების ბოლო წვეთი იყო. სულ მოკლე ხანში ტიმოთი ლირი ციხეში აღმოჩნდა ათწლიანი პატიმრობის სასჯელით, — იმის გამო, რომ პოლიციამ მისი მანქანის ჩხრეკისას მარიჰუანას ორი ნამწვი აღმოაჩინა. მას წინ კიდევ არაერთი სასამართლო ელოდა, რის შედეგადაც ბრალდებულს რამდენიმე ათეული წლის პატიმრობა მიესაჯა, — თუმცა ნახევარი წლის შემდეგ ციხიდან მისი გაპარვა უკვე "გრაფ მონტე კრისტოს" მოგვაგონებს.

წელიწადნახევარი იგი მსოფლიოს უვლის გარს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ქაბულში დააპატიმრებენ და ამერიკულ ციხეებში მას კიდევ სამი წლის გატარება მოუწევს.

ისევე როგორც ყველა რევოლუციონერი და ანარქისტი, ტიმოთი ლირიც ხატავდა მომავალი, ბედნიერი საზოგადოების უტოპიურ სურათს. ისევე როგორც ყველა რევოლუციონერსა და ანარქისტს, მასაც ეს უტოპია მოწესრიგებული დიქტატურის სახით წარმოედგინა — უნდა შექმნილიყო ნარკოტიკების გამანაწილებელი ცენტრები, სადაც მათ სანდო სპეციალისტები შეისწავლიდნენ და გამოცდიდნენ, შეაფასებდნენ მათ ხარისხსა და სარგებლიანობას და, რაც მთავარია, მოზომილად მიაწვდენენ მსურველებს.

უკანასკნელ წლებში ლირი უტოპიებითა და საზოგადოების ეპატაჟით აღარ ერთობოდა, 1968 წელი უკან იყო მოტოვებული, ისევე როგორც ახალგაზრდობა და ახალგაზრდული მგზნებარება — დადინჯებული მეცნიერი გულდაგულ ამუშავებდა დასვენების მეთოდებს, იმას, თუ როგორ უნდა დაეცვა ადამიანს თავი არასაჭირო ინფორმაციის, აგრესიული ხატებისა და რეკლამისაგან. ბოლო ხანს იგი გატაცებული იყო კომპიუტერული ტექნიკით, სადაც მან ცნობიერების გაფართოების უფრო მეტი საშუალება აღმოაჩინა, ვიდრე ჰალუცინოგენებში.

75 წლის ტიმოთი ლირი 1996 წლის მაისის მიწურულს გარდაიცვალა, იმ დროს, როცა ამერიკაში — და, საერთოდ, მსოფლიოში — კონსერვატიულ, ტრადიციულ ფასეულობათა ამინდი დგას.

“არილი”, 1-7 მაისი, 1997

მირჩა ელიადე

მირჩა ელიადეს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ეჟენ იონესკომ თქვა: “დღეს ბევრს ლაპარაკობენ საკრალურის დაბრუნების შესახებ. ამ განახლების წინასწარმეტყველი, შემოქმედი, ალბათ, ელიადე იქნება. როგორც ამბობდა ანდრე მალრო, ოცდამეერთე საუკუნე ან რელიგიის საუკუნე იქნება, ან ის საერთოდ არ იქნება. მაგრამ ის უეჭველად იქნება, და იქნება ელიადეს წყალობით, ელიადეს მოძღვრების წყალობით”. რუმინული წარმოშობის ფრანგი დრამატურგის ამ სიტყვებს პატრიოტულ გადაჭარბებად ან თანატომელის უპირობო მხარდაჭერად ნუ მივიჩნევთ, — ვისაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ელიადეს აღტაცებულ თაყვანისმცემელთა, მიმდევართა და მოწაფეთა გამონათქვამებისათვის მოუკრავს ყური, იონესკოს სიტყვები უცნაურად აღარ მოეჩვენება. გვიანდელი საბჭოთა ისტორიის არაერთი შემსწრე კი უთუოდ გაიხსენებს, რომ ვისაც იმ წყვილიადით მოცულ წლებში, ყოველგვარი აკრძალვის დაძლევიტ, მირჩა ელიადეს წიგნების გადათვალთქვება ხვდომია წილად, წარუვალ შთაბეჭდილებად დარჩებოდა მისი ნაშრომებიდან წამოსული სინათლისა და სიღრმის, სულის აღმაფრენისა და ინტელექტუალური სიზუსტის დაუძლეველი მომხიბლაობა.

მეოცე საუკუნის რუმინული პროზის ბრწყინვალე ოსტატი და მსოფლიო ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული წარმომადგენე-

ლი, მირჩა ელიადე, 1907 წლის 9 მარტს ბუქურეშტში დაიბადა. იგი რუმინეთის არმიის ოფიცრის ვაჟი იყო, მაგრამ სიყმანვილიდანვე — შესაძლოა, რომანტიკული დედის წყალობითაც — მას ყველაზე მეტად პოეზია და სამყაროს იდუმალეობა იზიდავდა. მისი გატაცება და აღტაცება ლიტერატურით, ფილოსოფიით, ბიოლოგიით, აღმოსავლური აზროვნებით, აღქმით, ეთნოგრაფიით, რელიგიათა ისტორიით ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლისას იყო შესამჩნევი. წერაც მან მეტად ადრე დაიწყო: თოთხმეტი წლისამ ერთ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა მეცნიერების პოპულარიზაციისათვის და მისმა მოთხრობამ — “როგორ მოვიპოვე ფილოსოფიური ქვა” — პირველი პრემია დაიმსახურა (სხვათა შორის, კარგა ხნის შემდეგ ერთ, ამგვარსავე ანონიმურ კონკურსში უკვე ოცდაათს გადაცილებულმა, სახელმოხვეჭილმა მწერალმა ელიადემ პირველობა ახალშეღერებულ ლიცეისტს, ყველასათვის უცნობ იონესკოს დაუთმო, იმ ეჟენ იონესკოს, რომელმაც ოცდამეერთე საუკუნეს ელიადეს საუკუნედ ქცევა უწინასწარმეტყველა).

ელიადეს — მწერლისა და მეცნიერის — მემკვიდრეობა მრავალფეროვანი და უზარმაზარია, რადგან იგი სიყმანვილიდანვე განუწყვეტლივ წერას იყო შეჩვეული და როდესაც იგი, თვრამეტი წლისა, ბუქურეშტის უნივერსიტეტის პირველკურსელის მერხს მიუჯდა, უკვე ასზე მეტი გამოქვეყნებული ტექსტის ავტორი იყო. სტუდენტობის წლებში მან მოძღვარიც აღმოაჩინა, ფილოსოფოსი ნაე იონესკუ და გატაცების ახალი სფეროც — იტალიური რენესანსის ფილოსოფია, მარსილიო ფიჩინო და ჰუმანისტური პლატონიზმი. ამ გატაცებამ მას პირველი

მოგზაურობა შთააგონა, — იტალიაში, სადაც მისი სათაყვანო მწერალი, ჯოვანი პაპინი, ცხოვრობდა, რომელთან წერილობითი ურთიერთობა ათეულობით წლები გრძელდებოდა. თუმცა ეს პირველი მოგზაურობა იყო, წინ კი იყო სხვადასხვა კონტინენტები, სხვადასხვა ქვეყნები, ენები და კულტურები.

მაგრამ იმხანად განგებამ ელიადეს ერთი, გადამწყვეტი საჩუქარი უძღვნა — კასიმბაზარის მაჰარაჯა მის თხოვნას გამოეხმაურა და მას სამწელიწადნახევრიანი სტიპენდია შესთავაზა კალკუტის უნივერსიტეტში. თუმცა ოცდაერთი წლის ჭაბუკმა თავისი სატრფიალო თავგადასავლების დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის სუფთა აუდიტორიებსა და დერეფნებს ჰინდუისტურ მონასტრებში — აშრამებში ყოფნა არჩია და ჰიმალაებისაკენ გაემართა, — რათა ექვსი თვის განმავლობაში მორჩილის სამოსი ეტარებინა და იქაურ მოძღვართა, გურუთა სწავლებისათვის დაეგდო ყური.

როდესაც ოცდახუთი წლის ელიადე რუმინეთს დაბრუნდა, რათა საუნივერსიტეტო კარიერას შესდგომოდა, მას უკვე სულიერი სამშობლო ჰქონდა მოპოვებული. მისი აკადემიური სანდოობა და მიუდგომლობა არავის გაუხდია სათუო, მაგრამ მისი ინდოლოგიური ძიებანი არასოდეს ყოფილა ოდენ მეცნიერული კვლევის საგანი. მას განგის სანაპიროზე არამარტო თავისი ცხოვრების ყველაზე მძაფრი გატაცება — თავისი იქაური მოძღვრისა და მასპინძლის, ფილოსოფოს სურენდრანათ დასგუპტას, 16 წლის ქალიშვილი, მაიტრეი, ეგულებოდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ინდოეთშია დამალული სამყაროს საიდუმლოება და რომ სწორედ ინდოეთის

სულიერ სივრცეში შეძლებდა იგი საკუთარი არსებობის საიდუმლოს ამოცნობასაც. მისი გახმაურებული და, შესაძლოა, საუკეთესო დასავლური წიგნი იოგას შესახებ ამგვარ ქვესათაურს ატარებს — “*უკვდავება და თავისუფლება*”.

ელიადეს საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოს სულიერ მოძღვრებათა და ხელოვნებათა ყველა შტოს განახლება, სამყაროში განფენილ იდუმალ უწყებათა ამოხსნა, — იმ გარემომცველ სამყაროში, რომელიც მისთვის დაფარულ მნიშვნელობათა ამოუნურავი საუნჯე იყო. მოგვიანებით, ხანშიშესული ელიადე იხსენებდა, რომ იმხანად მისი ოცნება უნივერსალური ადამიანის მოდელის აღმოჩენას ეთამაშებოდა.

30-იან წლებში ბუქურეშტის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პედაგოგი ინტენსიურ სამწერლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთვება, ბეჭდავს სამეცნიერო ნაშრომებს, რომანებს, მოთხრობებს, იწყებს საერთაშორისო რელიგიათმცოდნეობითი ჟურნალის — “ზალმოქსისის” — გამოცემას, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აფუძნებს რუმინელ ინტელექტუალთა საკრებულოს — “კრიტიკონს”. თუმცა ეს ჯგუფი, რომლის მონაწილეთა შორის თუნდაც ემილ მიშელ ჩორანის გახსენებაც კმარა, მალე დაიშლება, რადგან ფაშისტთა, კომუნისტთა და დემოკრატთა ერთ ჭერქვეშ ყოფნა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუძლებელი აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც რუმინეთში მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურა გამოცხადდება (უშიშროების სამსახური ამ დროს დააპატიმრებს ელიადეს მასწავლებელს, პროფესორ იონესკუს), ხოლო ევროპაში

აგიზგიზებული მეორე მსოფლიო ომისას რუმინეთის სამეფო ნაციისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის მოკავშირე აღმოჩნდება, ელიადე თავს დიპლომატიურ სამსახურს შეაფარებს, — იგი კულტურის ატაშედ მსახურობს ჯერ ლონდონის საელჩოში, შემდგომ — ნეიტრალურ ლისაბონში (სადაც იგი გამოსცემს წიგნს "სალაზარი და პორტუგალიის რევოლუცია").

ომის დამთავრების შემდეგ რუმინეთში კომუნისტური გადატრიალება განხორციელდება. ფაშისტური წარსულის მქონე ინტელექტუალისათვის სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა და იგი მარქსისტულ-ლენინური დოგმების მიღებას ემიგრაციას ამჯობინებს.

ოცდათვრამეტი წლის ელიადე ხელახლა ირჩევს ქვეყანას, ენას, კულტურას. მალე იგი სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება და ომისშემდგომ ათწლეულში ფრანგულად ბეჭდავს თავის ყველაზე გახმაურებულ, ყველაზე ღირებულ, ყველაზე შთაგონებულ ნაშრომებს. მოგვიანებით იგი ერნსტ იუნგერთან ერთად აარსებს ჟურნალს — "ანთაიოსს". თუმცა, როცა მას 1957 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორად ინვევენ, იგი კიდევ ერთ მობრუნებას გადანყვეტს და ახალ კონტინენტზე გადასახლდება. თუ თვალს გადავავლებთ ელიადეს დღიურებსა და სხვა ნაწერებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ მას ძალუმაღ ჰქონდა განვითარებული ბედისწერის შეგრძნება, — სიჭაბუკის წლებიდან მოყოლებული ჩიკაგოში გატარებული უკანასკნელი დღეების ჩათვლით, — ბედისწერისა, რომელიც მას განუწყვეტილად მოუხმობდა ცხოვრების ერთი ეტაპიდან —

მეორისაკენ, მოუხმობდა ახალი ქვეყნისაკენ, ახალი კულტურისაკენ, ახალი გამოცდილებისაკენ.

სიკვდილი მას 1986 წლის 22 აპრილს ჩიკაგოში ელის, სადაც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გაურკვეველ ვითარებაში დაინვა მისი ბიბლიოთეკა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში — მოგზაურობასა და ძიებაში — მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში შეგროვებული ფასდაუდებელი საგანძური.

მანამდე კი, სამი ათეული წლის განმავლობაში, მირჩა ელიადე ჩრდილოეთი ამერიკის უნივერსიტეტებში რელიგიათა ისტორიის სწავლასა და შესწავლას მანამდე წარმოუდგენელ მასშტაბებს შესძენს, აარსებს საერთაშორისო ჟურნალს — "History of Religion", აარსებს რელიგიათა შესწავლის საერთაშორისო საზოგადოებას, სათავეში ჩაუდგება ამ დარგში დღემდე ყველაზე სოლიდური და ყველაზე ფართო ენციკლოპედიის — თექვსმეტტომიანი "რელიგიის ენციკლოპედიის" გამოცემას, თავად წერს "რელიგიურ იდეათა და შეხედულებათა ისტორიის" სამტომეულს, ხოლო გვიან ღამით ან შვებულებისას ისევ რუმინულ მოთხრობებს უზის, რადგან მიაჩნია, რომ თუკი მომავალი თაობები მას გახსენების ღირსად მიიჩნევენ, მათთვის იგი, პირველ ყოვლისა, მწერალი იქნება და არა სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

მაინც, მის აუხდენელ ოცნებად დარჩა, შეექმნა მოკლე და დამუხტული ნიგნი რელიგიათა შესახებ, რომლის წასაკითხად მხოლოდ რამდენიმე საღამო იქნებოდა საჭირო, რადგან, მისი აზრით, რელიგიათა ძირეული ერთობა და მათი მუდმივი სიახლე ყველაზე აშკარად სწორედ შეუჩერებელი კითხვისას, თავისუ-

ფალ დინებაში გაცხადდებოდა. მას ეოცნებებოდა იმ-გვარი წიგნის დაწერა, რომლის მკითხველი, მას შემდეგ, რაც გაეცნობოდა პალეოლითელი ადამიანის, შუამდინარელთა და ძველ ეგვიპტელთა აზროვნებასა და სარწმუნოებას, შეხვდებოდა ინდოელ შანკარასა და ირანელ ზარათუშტრას, ბუდჰასა და იოაკიმე ფიორელს, მიყოლებით წაიკითხავდა გნოსტიკოსების, პირველი ქრისტიანების, ალქიმიკოსებისა თუ გრაალის რაინდთა შესახებ, გზად გადაეყრებოდა გერმანელ რომანტიკოსებსა და ჰეგელს, მაქს მიულერსა და ფროიდს, კეცალკოატლსა და გრიგოლ პალამას, პირველ კაბალისტებს, ავიცენას და პარაცელსუსს. ამ არდანერილ თუ ვერდანერილ წიგნს იგი უწოდებდა "რომანს რელიგიის ისტორიის შესახებ" და ამგვარ წიგნს, ალბათ, მის გარდა ან მასზე უკეთესად ვერავინ დაწერდა.

იგი ბევრს წერდა და კიდევ უფრო მეტს კითხულობდა, და არა მარტო იმიტომ, რომ პროფესიონალი ჰუმანიტარი უწყვეტი კითხვის გარეშე ვერ წარმოედგინა, იგი ხედავდა კითხვის მითოლოგიურ ძირებსა და დანიშნულებას: მას მიაჩნდა, რომ კითხვას მითოლოგიური ფუნქცია აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველყოფილ საზოგადოებებში მიღებულ ტრადიციას — მითოსის თხრობის კომპენსირებას ახდენს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კითხვა ადამიანს საშუალებას აძლევს, დროის ტყვეობას დააღწიოს თავი, — კითხვა ადამიანს საკუთარი დროითი განცდისაგან ათავისუფლებს და სხვა ცხოვრების რიტმს აზიარებს, საშუალებას აძლევს მას, სხვა ისტორიის მსვლელობაში, სხვა დროში იცხოვროს.

ელიადეს ბევრი რამ დაუნერია აღმოსავლური რელიგიების შესახებ, მაგრამ მისი ნიგნები იოგასა და ექსტაზის მექანიზმის, შამანიზმისა და მაგიის შესახებ არასოდეს გამხდარა ეგზოტიკასა და ეზოტიკიკას მონყურებული მკითხველის საკითხავი, — შესაძლოა, იმიტომაც, რომ მას არასოდეს უქცევია რელიგია, რელიგიური მოძღვრებანი იდეოლოგიურ იარაღად. მას კარგად მოეხსენებოდა ყოველნაირ იდეოლოგიათა არა მარტო ფასი, არამედ მათი წარმოშობა და საფუძვლები — მარქსს, ნიცშესა და ფროიდს ირონიულად რედუქციონიზმის დიდოსტატებს უწოდებდა და სულ რამდენიმე გვერდი ჰყოფნიდა, რათა მარქსისტული მოძღვრების მითოლოგიური არსი აეხსნა, პროლეტარიატის დიქტატურის თეორიაში კი არქაული, პრიმიტიული ხანის მითოსი დაენახა.

მირჩა ელიადეს მოთხრობები და რომანები, რომლებშიც თითქმის უგამონაკლისოდ თვალშისაცემია ფანტასტიკური ნაკადი, უფრო კლასიკური რომანტიზმის ჯადოსნურ და იდუმალ თხრობას მოგვაგონებს, ვიდრე ეგრეთ წოდებულ სამეცნიერო ფანტასტიკას. მისი პროზაული ნაწარმოებების გმირია ადამიანი, რომელიც ბედის თუ უბედობის წყალობით, გამორჩეული, უჩვეულო, არაჩვეულებრივი გამხდარა. ამას კი, როგორც მოსალოდნელია, ტკივილი, უპასუხოება და მარტოობა მოჰყვება ხოლმე.

სიცოცხლის მიწურულს, პალმ ბიჩში ყოფნისას, ელიადემ დაწერა მოთხრობა "დაიანი", რომლის გმირი, გენიალური ახალგაზრდა მათემატიკოსი კონსტანტინ ორობეტი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამთავრებს თავის სიცოცხლეს, მას შემდეგ, რაც — დროისა და სივრცის პირობითობების დაძლევის შემ-

დეგ — სამყაროს დასასრულისა და, შესაბამისად, სამყაროს სანყისის ფორმულას აღმოაჩენს. მაგრამ იგი მტკივნეულად აცნობიერებს, რომ მისი სიკვდილი კანონზომიერია, რადგან მან, მათემატიკოსმა, ვერ ამოხსნა სამყაროს საიდუმლო, ვერ შეასრულა ის მოციქულობა, რაც მას, მოშე დაიანივით ცალთვალას, ხედვის გაფართოებისა და ახალი თვალსაწიერის მოპოვების შემდეგ ევალებოდა, ვერ შეასრულა იმიტომ, რადგან იგი მეცნიერი იყო და არა პოეტი.

ელიადეს ყველა მხატვრული ტექსტი რომანტიკოსთათვის ჩვეული მსუბუქი სევდითა და ირონიული პესიმიზმითაა განმსჭვალული. ამ მოთხრობასაც სევდა და ტკივილიანი ღიმილი გასდევს თან. შესაძლოა, თავად მირჩა ელიადეც, საქვეყნო სახელის მეცნიერი, რომელიც ისე იცნობდა მსოფლიოს ყველა რელიგიასა და მსოფლმხედველობრივ მოძღვრებას, როგორც ცოტა ვინმე ამ საუკუნეში, დაუამებელ სატკივრად განიცდიდა, რომ თავისი უკიდევანო ცოდნა სამყაროს საიდუმლოს ამოსაცნობად ვერ გამოიყენა, რომ დროსა და სივრცეში მრავალწლიანი მსხემობისას მოპოვებული მისი გამოცდილება მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა თავისუფლებისა და უკვდავების გზის მისაგნებად.

"არილი", 5-11 ივნისი, 1997

გდრ-ის გამოფენა ბერლინში

ბრწყინვალე რუსმა მწერალმა და კულტურის ისტორიკოსმა იური ტინიანოვმა ერთხელ თქვა: “დოკუმენტებისათვისაც ისევე ჩვეულია ტყუილი, როგორც ადამიანებისათვის”. ძნელია ითქვას, რამდენად ახლოს იყო ამგვარი თვალსაზრისი იმ გამოფენის ორგანიზატორთათვის, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ გაიმართა ბერლინში, გერმანიის ისტორიის მუზეუმში, კრონცპრინცის ყოფილ სასახლეში, — გამოფენისა, რომლის სახელია “პარტიული წესრიგი: ახალი გერმანია”. თუ მუზეუმის ზემოთა დარბაზები ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიასა და ავად თუ კარგად სახელგანთქმულ ვიქტორიანულ ეპოქას ეძღვნებოდა, პირველ სართულზე განლაგებული საკმაოდ მოზრდილი გამოფენა პარტიულ წესრიგს, ყოფილი გდრ-ის სახელმწიფო სიმბოლიკასა და იდეოლოგიურ-პროპაგანდისტურ ველს წარმოაჩენდა, — პარტიულ მუშაკთა კაბინეტებსა და კინოქრონიკას, უნიფორმებსა და დროშებს, სააგიტაციო ლიტერატურასა და პლაკატებს, ორდენებსა და სამკერდე ნიშნებს. ვიქტორიანული ეპოქის გარდასული ხიბლისა და ფარისევლობის, ბრწყინვალეებისა და სიყალბის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ აღმოსავლეთ გერმანიის ჯერ კიდევ სისხლსავსე და მწვავე კომუნისტური წარსული მეტ მნახველსაც იზიდავდა და მეტ თავსატეხსაც აღძრავდა.

გამოფენის დამთვალეიერებელი ყოველი მხრიდან მოცული იყო არა მარტო მარქსისტულ-ლენინური

ტყუილით ან ტაქტიკურად აუცილებელი ცალმხრივი სიმართლით, არამედ კიდევ უფრო აშკარა მანკით — ყოველგვარი ტოტალიტარიზმისათვის აგრერიგად ჩვეული უგემოვნებობით. თვალშისაცემი იყო არა იმდენად ვილჰელმ პიკის სამუშაო მაგიდისა თუ პოლიტიბიუროს სხდომათა დარბაზის მოჩვენებითი უბრალოება, არამედ სილამაზისა და კომფორტულობის უმარტივესი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა; საეჭვო იყო არა იმდენად გულდათუთქულ უბრალო გერმანელთა გულწრფელობა, როცა ისინი აღმოსავლეთ ბერლინის ქუჩებში, პარკებსა თუ ქარხნებში სტალინის გარდაცვალების ცნობას შეიტყობენ (თუმცა რვა წელიც არ გასულა, რაც მათი უმრავლესობა თუ არა, ბევრი მათგანი მაინც უთუოდ აღტაცებით უსმენდა ფიურერის შთაგონებულ გამოსვლებს), შემადრწუნებელი იყო კინოქრონიკის ესთეტიკურ-ემოციური უსუსურობა, როგორც, მაგალითად, საბავშვო ეტლით მოსეირნე გერმანელი ქალის ხაზგასმული და უფერო მწუხარება, როცა გზად შემხვედრი მას სტალინის სამგლოვიარო პორტრეტიან გაზეთს მიაწოდებს.

ხოლო როცა გდრ-ის მხატვართა სოცრეალისტურ ტილოებს უყურებდით, იმის შესახებ კი არ ფიქრობდით, რომ ადამიანები ჩვეულებრივ ასე არ იქცევიან, ასე არ გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს ან ასე არ დგანან (ფერწერას ეს არც ევალება), არამედ გიჩნდებოდათ მარტივი ფიქრი, რომ ამ მხატვრებმა უბრალოდ ხატვა არ იცოდნენ.

როგორც ჩანს, უნდა ვირწმუნოთ გონიერი თუ ნაკლებგონიერი ადამიანების გაცვეთილი განცხადება, რომ სილამაზე თავისუფლებას საჭიროებს, სილამაზე თავისუფლებაში იბადება და ვითარდება, ხოლო იქ, სა-

დაც “პარტიული წესრიგი” სუფევს, თუნდაც ახალ გერმანიაში, სილამაზეს ძნელად თუ მოეძებნება ადგილი.

ყოფილი და უკვე აღარარსებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა, როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის ისტორიის მუზეუმში მიმდინარეობს, რომელიც ბერლინში, უნტერ დენ ლინდენზე, მუზეუმების კუნძულის გადაღმა დგას, იმ მუზეუმების გადაღმა, სადაც გამქრალი და განადგურებული ცივილიზაციების განმაცვიფრებელი ნიმუშებია წარმოდგენილი. ასურეთისა და ბაბილონეთის, ეგვიპტისა და საბერძნეთის, რომის იმპერიისა და ბალდადის სახალიფოს კლასიკური ძეგლები მონათა შრომით, მონური შრომითაა შექმნილი. ჰიტლერული და სტალინური ხელოვნების, გდრ-ისა თუ სსრკ-ს ოფიციალური შემოქმედების ნიმუშები დამონებულ ადამიანთა, დამონებული ცნობიერების ნაყოფია. განა წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ათეულობით საუკუნის წინანდელი მონობა უფრო ნაკლებსასტიკი და შემოქმედებითად უფრო ნაყოფიერი იყო? თუ უბრალოდ, კონსერვატორთა ის უიმედო შეხედულება უნდა გავიზიაროთ, რომ ხელოვნება განუწყვეტელ დეგრადაციას განიცდის? ან იქნებ უნდა ვირწმუნოთ, რომ ნაციონალ-სოციალიზმი და კომუნიზმი ისტორიულად ტოტალიტარიზმის ყველაზე შემზარავი გამოვლინება იყო და ამიტომაც, შესაძლოა, ბუნებრივი იყო, რომ ყველაზე არათავისუფალმა საზოგადოებამ ყველაზე უგვანი ხელოვნება წარმოშვა? რაც უნდა იყოს, ხელოვნება მაინც არც ისე შორსაა თავისუფლებისაგან...

“არილი”, 10-16 ივლისი, 1997

ბარონ მიუნხაუზენის ტყუილი და მართალი

ჭაობში ჩავარდნილ კაცს ბევრი განსჯისა და არჩევანისათვის ნამდვილად არ ეცხელება, მაგრამ თუ ბედმა გაუღიმა და მშვიდობით გადარჩა, შინ მოსული უთუოდ თავში ხელს შემოირტყამს და ინანებს, რომ თავის გადარჩენის ყველაზე უეჭველი და უკვე გამოცდილი საშუალება იმ გადამწყვეტ წუთებში არ გაახსენდა — სახიფათო ჭანჭრობში განწირულ ფართხალს უეჭველად აჯობებდა საკუთარ ქოჩორს ან ქეჩოს დასწვდომოდა და ჭაობიდან თავი ასე ამოეთრია.

ოღონდ ამგვარი “გონიერი” გამოსავლის გახსენებისათვის ამ ღმრთის მადლით გადარჩენილ ადამიანს არა მარტო იუმორის უნარი არ უნდა დაჰბლაგეებოდა, არამედ სიყმაწვილეში ოდნავი ლიტერატურული განათლება მაინც უნდა შეეძინა და ის სახალისო წიგნი წაეკითხა, რომელსაც “ბარონ მიუნხაუზენის თავგადასავალი” ეწოდება.

ამ სახელგანთქმული წიგნის მთავარი გმირი — ბარონი კარლ ფრიდრიხ ჰიერონიმუს ფონ მიუნხაუზენი 1720 წელს დაიბადა, ჰანოვერის მახლობლად, პატარა ქალაქ ბოდენვერდერში. მან, წინაპართა დარად, ოფიცრისა და მემამულის ცხოვრება განვლო, რომელიც სრულებითაც არ ყოფილა აღსავსე თავგადასავლებით, თუმცა იგი, როგორც ყველა ხელოვანი, ნაცრისფერი და უღიმღამო ცხოვრების მიღმაც კი წარმტაცსა და იღუმალ სინამდვილეს ჭვრეტდა, — აღსავსეს მრავალი ფათერაკით, მოულოდნელობითა და აღმაფრენით. მიუნხაუზენი ცხრამეტი წლისა იყო, როცა ტრადიცი-

ის კვალობაზე სამხედრო სამსახურში ჩადგა და რუსეთის არმიის ცხენოსანთა პოლკში ჩაენერა. ყველაზე მნიშვნელოვანი მის კავალერისტულ კარიერაში თურქებთან რამდენიმე შეტაკება იყო. მაგრამ “სახელოვან და უშიშარ მეომარს” (ყოველ შემთხვევაში, ამგვარად გვახსოვს იგი სიყმანვილისდროინდელი წიგნიდან) მოკლე ხანში მოსწყინდა მხედრული ყოფა და სოფლური ცხოვრების უშფოთველობა მოისაკლისა. ამიტომ სულ მალე სამხედრო უფროსობას გადადგომის პატაკი ჩააბარა და მშობლიური კოშკისაკენ გაეშურა, სადაც სიკვდილამდე წყნარი და მშვიდი ცხოვრება ელოდა. მაგრამ ერთფეროვნება და მონყენა, ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან, და, როგორც ჩანს, სწორედ უსაშველო მონყენის გაქარვება ჩვენმა ბარონმა იმით სცადა, რომ გრძელ და უღიმღამო საღამოებს მეზობელ კოშკებსა თუ დუქნებში, ლუდხანებსა თუ ფუნდუქებში ატარებდა, სადაც იგი სიცილსა და ჟრიამულში დიდი გატაცებით ყვებოდა თავისი საბრძოლო ხიფათებისა და ფათერაკების, გონიერებისა და სიმამაცის შესახებ. როგორც ჩანს, მიუნხაუზენი ბევრად უკეთესი მთხრობელი ყოფილა, ვიდრე მეომარი და მალე მისი სახელი და დიდება — თუმცა საკმაოდ საეჭვო დიდება — ფართოდ მოედო მეზობელ სამეფო-სამთავროებს.

67 წლის ბარონი ისე გარდაიცვალა ამ ორასი წლის წინ, 1797 წლის 22 თებერვალს, რომ თავისი განმაცვიფრებელი თავგადასავალი დანერგილი ტექსტის ყალიბში არასოდეს მოუქცევია. მაგრამ იმ დროს, როცა საზოგადოება სრულიად მოკლებული იყო რადიო-, ტელე- და ვიდეოსიამოვნებებს, მისი ზეპირი მოთხრობები — “მიუნხაუზიადები” — ფოლკლორულ გადმოცემებად იქცა, რომლებიც უკვე მთხრობლის სი-

ცოცხლეშივე გამოიცა წიგნად. თუმცა ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, როგორ შეხვდა თავად ცრუპენტელა ბარონი — საავტორო უფლებებისა და პიროვნების ღირსებების დაცვის იურიდიულად ნაკლებმოგვარებულ პერიოდში — იმ წიგნის გამოსვლას, რომელიც გერმანელმა პოეტმა, გოტფრიდ აუგუსტ ბიურგერმა, 1781 წელს დაბეჭდა და რომელსაც სახელად ერქვა "მიუნხაუზენელი აზნაურის გასაოცარი მოგზაურობანი წყალსა და ხმელეთზე, აღსავსე ბრძოლებითა და მხიარული ფათერაკებით, როგორც მოუყოლიათ ჭიქა ღვინოსთან მეგობრების წრეში". წიგნმა მეტი მიმზიდველობა და კლასიკური სტატუსი მას შემდეგ მოიპოვა, რაც ის მოგვიანებით გუსტავ დორემ დაასურათა.

ჭკუამხიარული ბარონი კი თხრობისა და მსმენელის მოყვარული იყო. იმათ, ვისთვისაც ყურადღების ღირსი მხოლოდ გარშემომყოფი სინამდვილეა, მიუნხაუზენის მოთხრობები დროის ფუჭ ხარჯვად მიაჩნიათ, — სხვათა შორის, კაცობრიობის უმრავლესობისათვის ხელოვნებაც სრულიად ზედმეტი გახლავთ. ამგვარი საღი და გონიერი ადამიანები მასმედიიდან ცინცხალი და უეჭველი ინფორმაციის მიღებას ამჯობინებენ, თუმცა კაცმა არ იცის, "მიუნხაუზიადების" რა ნიაღვარი მოედინება ყოველდღიურად ტელევიზიის ეკრანებიდან, რადიომიმღებებიდან თუ გაზეთების ფურცლებიდან, თანაც ბევრად უფრო მოკლებული გემოვნებასა და იუმორს და ბევრად უფრო სახიფათო, ვიდრე ორასი წლის წინ გარდაცვლილი აზნაურის — კარლ ფრიდრიხ იერონიმუს ფონ მიუნხაუზენის სახალისო ფათერაკებით აღსავსე დაუჯერებელი თავგადასავალი.

ჩინეთის “კულტურული რევოლუცია”

შარშან, 1996 წლის აგვისტოში მსოფლიო კულტურის ერთი ტრაგიკული თარიღი აღინიშნა — ჩინეთის “კულტურული რევოლუციის” ოცდაათი წლისთავი, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ისტორიას არ ეკუთვნის.

1966 წლის აგვისტოში პეკინში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი ჩატარდა. თორმეტდღიანი მსჯელობების შედეგად მიღებულ დადგენილებას ასე ეწოდებოდა — “დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის შესახებ”. კომუნისტურ სამყაროში ახალი თითქოს არაფერი ხდებოდა, ფრაზეოლოგიაც თითქოს იგივე იყო — ჯერ კიდევ ლენინის დროიდან კომუნისტები განუწყვეტლივ “კულტურული რევოლუციის” განხორციელებას ცდილობდნენ, რაც, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, წარსულის სულიერ ფასეულობათა დაუნდობლად განადგურებასა და იმ კულტურული სუროგატის დამკვიდრებას ნიშნავდა, რომელიც, კომუნისტური თვალსაწიერის შესაბამისად, სამყაროს გრაფიკულად ორფეროვნად ხედავდა. ეს სამყარო ადამიანთა ორი სახეობისაგან შედგებოდა: ერთნი, კომუნისტები, თავგანწირულად აშენებდნენ კაცობრიობის ბედნიერ მომავალს, მეორენი კი, — ძირითადად კაპიტალისტები ან კაპიტალისტების მიერ დაქირავებული ბოროტი და ანგარებიანი ადამიანები მათ ამაში განუწყვეტლივ უშლიდნენ ხელს.

20-იან წლებში საბჭოთა კავშირში წამოწყებული "კულტურული რევოლუცია" შუა გზაზე შეწყდა, და შეწყდა არამარტო იმიტომ, რომ ერთნიცა და მეორენიც — "ბურჟუაზიული" თუ "პროლეტარული" კულტურის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი — ან ათი წლით მიმონერის უფლების გარეშე აღმოჩნდა, რაც გულაგის ენაზე დახვრეტას ნიშნავდა, ან რუსეთის ფართო სივრცეების ასათვისებლად გაამწესეს (არა კულტურის შესატანად, არამედ ხე-ტყის მოსაჭრელად და გრანდიოზული, ნაკლებმოსახმარი არხების ასაგებად, — რა თქმა უნდა, იმავე გულაგის მეთვალყურეობის ქვეშ). "კულტურული რევოლუცია" და "პროლეტარული კულტურა" თავად ხალხთა დიდ ბელადს არ მოუვიდა თვალში, მაგრამ არა იმის გამო, რომ სიყმანვილეში აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის მიბაძვით სრულიად ტრადიციულ ლექსებს წერდა ტოროლებისა და ტურფა ქვეყნის შესახებ. მსოფლიო მშრომელების ბელადი ყოველივე რევოლუციურსა და გაუთვალისწინებელში საფრთხეს ხედავდა და მაქსიმ გორკისთან ერთად "სოციალისტური რეალიზმი" გამოიგონა, რომელიც "ადამიანთა სულის ინჟინერებს" ნათლად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, თუ რა იყო მათი მოვალეობა და დანიშნულება. ამიტომ, სიმართლე რომ ითქვას, კომუნისტური დამსჯელი მანქანა ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი სწორედ პროლეტარული კულტურის წარმომადგენელთა მიმართ აღმოჩნდა, რადგან არარევოლუციონერთა და არაპროლეტართაგან ბევრი ბანაკსაც კი გადაურჩა, პროლეტკულტელთაგან კი, შეიძლება ითქვას, ცოცხალიც არავინ დარჩენილა.

იმპერიისა და იმპერატორის სახელმწიფო კულტისათვის ყველაზე შესაფერისი კლასიკური სტილი აღმოჩნდა. რაკილა ლიტერატურის, კინოს, ქანდაკებისა თუ ფერწერის უმთავრეს თემად დიდი ბელადის ასახვა იქცა, უმჯობესი და უხიფათო იქნებოდა კლასიციკური ნორმების დაცვა, სადაც ყოველივე მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი გამორიცხულია, — წინააღმდეგ შემთხვევაში რომელიმე მანდელშტამი სტალინის ისეთ ოდას შეთხზავს, რომელიც არამც და არამც არ გამოდგება გამოსაქვეყნებლად, რომელიმე ბულგაკოვი ისეთ პიესას დაწერს რევოლუციონერ ჯულაშვილის სიჭაბუკის შესახებ "ბათუმის" სახელწოდებით, რომლის რეპეტიციები შემდგომში თავად ბელადის საგანგებო დეპეშით აღმოჩნდება შესაწყვეტი, რომელიმე ახმატოვა ლექსების ისეთ კრებულს მოამზადებს მშვიდობისა და ამ მშვიდობის მსოფლიო დამცველის განსადიდებლად, რომ მისი დაბეჭდვა ნამდვილად არ ივარგებს, ხოლო რომელიმე გალაკტიონ ტაბიძე, თუ ფხიზლად არ მიადევნე თვალი, "შენი სახელი ლეგიონიაო", დაგინერს, და, ვაითუ, ვინმეს სახარება მოაგონდეს და ის, ვის ეწოდება სახარებაში "ლეგიონი". ამიტომ რევოლუციურ და ავანგარდულ ხელოვნებას ისევ საბჭოთა კლასიციზმი ანუ სოცრეალიზმი ჯობს, მაგალითად, ტრილოგია "ბელადი", პოემა "ბერშოულა" ან ფილმი "ფიცი".

ჩინელი ხალხის დიდი ბელადიც მოუთოკავმა და გაუთვალისწინებელმა ხელოვნებამ დააფრთხო — 1965 წლის ნოემბერში პეკინის დრამატული თეატრის წარმოდგენამ "სამსახურიდან დათხოვნილი ჩაი ყუეი", რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ თემას ეხებოდა, თავმჯდომარე მამომ პირად

თავდასხმად და რამდენიმე წლის წინანდელი სკანდალის არეკვლად მიიჩნია, იმ გახმაურებული პლენუმისა, როცა თავდაცვის მინისტრმა ფენმა ბელადის მწვავე კრიტიკა წამოიწყო. მინისტრი, მართალია, მალე მოიშორეს თავიდან, მაგრამ ხელოვნებას უფრო ხანგრძლივი მახსოვრობა აქვს, ვიდრე პოლიტიკასა და პრესას, ამიტომ უთუოდ დადგა დრო, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას კულტურისთვისაც მიეხედა. პიესის ავტორი სამაგალითოდ დაისაჯა, მაგრამ ეს მხოლოდ ეგზეკუციათა წყების შესავალი აღმოჩნდა.

კომპარტია და მისი დადგენილება აუცილებლად მიიჩნევდა "ინტელექტუალთა აზროვნების გარდაქმნას". თეატრები, გამომცემლობები, ჟურნალები, საკონცერტო დარბაზები დაიხურა; ათიათასობით ლიტერატორი და ხელოვანი გაასახლეს სოფლებში, საქარხნო-საფაბრიკო დასახლებებში, სამხედრო ნაწილებში, რათა იქ, დადგენილების სიტყვებით, "გამობრძმედილიყვნენ"; სასწრაფოდ შეიქმნა ხუნვეიბინთა საგანგებო რაზმები, რომელთაც ოთხი "საზოგადოებრივი ბოროტების" აღმოფხვრა დაევალათ: ეს იყო "ძველი" აზროვნება, კულტურა, წესები და ჩვეულებები.

სტუდენტთა და ახალგაზრდა კომუნისტთაგან შემდგარ ამ ჯგუფებს, — თუკი ისინი დიდი მათს მონინააღმდეგეებს შენიშნავდნენ, — შეუზღუდავად ეძლეოდათ უფლება, წესრიგი დაემყარებინათ ყველგან, — მათ შორის საკუთარ რიგებშიც. და ისინიც, 20-იანი წლების საბჭოთა ჩეკისტებისა და კომკავშირელების ტრადიციათა ერთგული გამგრძელებლები, მოზეიმე გარენრობისა და სადიზმის გრძნობით აღვსილნი, არბევდნენ არამარტო თეატრებსა

და მუზეუმებს, ბიბლიოთეკებსა და ძველ ტაძრებს, საბალეტო სცენებსა და გალერეებს, — მათ შეეძლოთ თავზარი დაეცათ მისთვისაც, ვინც ქუჩაში ბოდის მოიხდიდა ან მადლობას გადაიხდიდა. ეს ხომ "ძველი ტრადიცია" იყო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო კომუნისტურ მსოფლმხედველობასთან. და ამაში ისინი მართლები იყვნენ, კომუნისტურ საზოგადოებაში კულტურას ნამდვილად არაფერი ესაქმება, — არც ვინრო და არც ფართო გაგებით. ხუნვეიბინები კი განაგრძობდნენ ჩინელ ინტელექტუალთა "გამობრძმედას", მაგალითად, ერთ ცნობილ პიანისტს ათივე თითი მოამტვრიეს... ეს კი უეჭველად შეეფერებოდა კომუნისტურ შეხედულებებს და მათს იდეებს — ხომ გააოცა ერთხელ დიდმა თავმჯდომარემ ინდოელი პრემიერი ნერუ, როცა განუცხადა, რომ ატომური ომისა არ ეშინია, რადგან რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიკვდილი უმნიშვნელო პრობლემაა...

მაგრამ დასავლელ ინტელექტუალთა შესამჩნევი ნაწილი — სარტრიდან გოდარამდე — გაგებით და მოწონებით შეხვდა ბურჟუაზიულ კულტურაზე უარის თქმის ჩინურ "ექსპერიმენტს", ისევე როგორც თავის დროზე, "ახალი საბჭოთა საზოგადოების მშენებლობისას", ალტაცების ცრემლებს ვერ იკავებდნენ ბერნარდ შოუ ან რომენ როლანი.

თუმცა კომუნისტებს სიყმანვილეში სჭირთ რევოლუციური სახადები, თორემ ასაკმოკიდებული კომუნისტური რეჟიმები სათოფეზე აღარ იკარებენ რევოლუციურ და ანტიბურჟუაზიულ განწყობებს. არც ჩინეთში გაგრძელებულა დიდხანს "დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუცია", კულტურის სამწლიანი გაჩანაგების შემდეგ ხუნვეიბინები კულ-

ტურიდან მეტად შორს გაისტუმრეს — "რევოლუციის ერთგული დარაჯები" იძულების წესით შორეულ სოფლებში გადაასახლეს.

ჩინეთის სხვადასხვა თეატრის სცენებზე კი კიდევ კარგა ხანს იდგმებოდა მხოლოდ მოკლე სააგიტაციო სპექტაკლები, აუცილებელი ფინალით, როცა სცენაზე ნელ-ნელა ამოდიოდა მზე, რომლის შუაგულიდანაც "დიდი თავმჯდომარე" გილიმოდათ, იბეჭდებოდა მხოლოდ "დიდი თავმჯდომარის" ციტატების კრებული — "წითელი ნიგნაკი", რადიოდან კი განუწყვეტლივ ისმოდა "დიდი თავმჯდომარის" ლექსები.

უზარმაზარ ჩინეთში თანდათანობით ცხრებოდა "კულტურული რევოლუციის" ეპიდემია, როცა მეზობლად, პატარა კამბოჯაში მათს ერთგულმა მოწაფეებმა სისხლიანი ქარიშხალი დაატეხეს თავს ძველი კულტურის ერს. კამბოჯელმა კომუნისტებმა, შესაძლოა, ყველაზე პირნათლად შეასხეს ხორცი მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, მათს იდეალებს, მათ გამანადგურებელი ომი გამოუცხადეს კულტურასა და ცივილიზაციას. სოფლისა და ქალაქის გათანასწორებამ საკუთარი ქალაქების დანგრევა და რკინიგზის აყრა მოითხოვა, შრომის თანაბარმა განაწილებამ — ქვეყნის მთელი მოსახლეობის საკონცენტრაციო ბანაკებში შეყრა, სოციალური თანასწორობის იდეამ — არა მარტო ქონების ჩამორთმევა, არამედ ყველა განსხვავებულისათვის კეფის გახვრეტა — იქნებოდა ეს ექიმი, პროფესორი, მორწმუნე თუ უბრალოდ სათვალღიანი ადამიანი (თუმცა კომუნისტი ბელადების სამკურნალოდ სიცოცხლე შეუნარჩუნეს რამდენიმე ექიმს). რა თქმა უნდა, დასავლეთის

ხელოვანთა და მეცნიერთა შორის მათი გულშემატკივრებიც უმაღლესად აღმოჩნდნენ, — მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი, პროფესორი ნოამ ჩომსკი (ყოველ შემთხვევაში, კომუნისტური კამბოჯის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას იგი პრინციპულად უნდობლად მოეკიდა).

მაგრამ დღეს კომუნისტებსა და ყოფილ კომუნისტებს არამხოლოდ ფრანგი ან არაფრანგი ინტელექტუალები უჭერენ მხარს, მათ პოლონეთში, იტალიაში, ინდოეთში ათასობით და ასიათასობით ამომრჩეველი აძლევს ხმას და, შესაბამისად, ძალაუფლებას.

ვისაც დიდი ჰუმანისტის, ყოფილი მარქსისტისა და ყოფილი ფროიდისტის, ერის ფრომის "თავისუფლებიდან გაქცევა" ნაუკითხავს, შესანიშნავად მოეხსენება, როგორი თავგამოდებით გაურბის ადამიანი თავისუფლებას, პასუხისმგებლობას, არჩევანს.

"არილი", 31 ივლისი, 1997

ევროპული ფილმის მეოთხე პრაქული ფესტივალი

ევროპულობისათვის ყოველგვარი ხაზგასმა გამონვევაა, — გამონვევაა ევროპის გარეთ მყოფი აღმოსავლეთისა, დასავლეთისა თუ სამხრეთისათვის, მაგრამ ეს ერთგულეობაცაა ევროპული ფასეულობების მიმართ, ევროპული მემკვიდრეობის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ყველაზე მცირე და მცირერიცხოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ის არაერთგზის ყოფილა დაუცველი და დამფრთხალი, მაინც ყოველთვის უეჭველი იყო მისი გამორჩეულობა და მიმზიდველობა, ზოგიერთის აზრით, უპირატესობაც კი, რასაც, უპირველეს ყოვლისა, მისი კულტურული და სულიერი ფასეულობები განაპირობებდა. დღეს ევროპას ისევ თავის დაცვა უხდება და, პირველ ყოვლისა, — კულტურულ განზომილებაში. ქართული ანდაზები ევროპაში, რა თქმა უნდა, არავინ იცის, მაგრამ ძალა რომ ერთობაშია, ეს ყველას — ევროპელსაც და არაევროპელსაც — კარგად მოეხსენება. ოკეანის გაღმიდან კინო რომ ძველ კონტინენტს კოკა-კოლასა და ჰამბურგერთან ერთად უტევეს, ესეც ყველამ კარგად იცის, ამიტომ, ერთი მხრივ, ხელოვნებასთან და, მეორე მხრივ, კომერციასთან ახლოს მდგომმა ევროპელმა გულშემმატკივრებმა კარგა ხანია ევროპული ძალების გაერთიანება დაისახეს მიზნად.

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ევროპული კინოს მომავალი სწორედ ძალთა შეკავშირებაში

— კოპროდუქციულ მოღვაწეობაშია. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, რომ ევროპული ფილმის პრაქის მეოთხე ფესტივალზე წარმოდგენილი თითქმის ყველა ფილმი არამარტო რამდენიმე ევროპული ქვეყნის კოპროდუქციას წარმოადგენდა, არამედ თითქმის ყველა რამდენიმეენოვანი იყო. მაგალითად, ოთარ იოსელიანის “ყაჩაღები. თავი მეშვიდე” საქართველოს, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და რუსეთის ნაწარმოები იყო, ეკრანიდან კი საუბარი ქართულად, რუსულად და ფრანგულად ისმოდა (ქართული მეტყველება, — მათ შორის, მეტად მნიშვნელოვანი შინაგანი მონოლოგები, — შერწყმული გერმანულთან და რუსულთან, კიდევ ერთ საფესტივალო ფილმში გახმიანდა: ეს იყო ახალგაზრდა გერმანელი რეჟისორის გორდიან მაუგის ფილმი “კავკასიური ღამე”). სახელგანთქმული ინგლისელი ოსტატის პიტერ გრინეუეის ბრიტანულ-ფრანგულ-ჰოლანდიურ ფილმში “ბალიშების წიგნი” კი მოქმედება ინგლისურად, ფრანგულად და იაპონურად ვითარდება. აღარაფერს ვიტყვი მარკო ფერერის ფრანგულ-იტალიურ-უნგრულ ფილმზე “ვერცხლის ნიტრატი”, სადაც ენათა კალეიდოსკოპს დასასრული არ უჩანდა.

მართალია, პრაქულ ფესტივალზე არც თუ ისე ბევრი ფილმი აჩვენეს, მაგრამ, თუ უკანასკნელი წლების სახელგანთქმულ კონტინენტურ კინოფესტივალებს გადავაველებთ თვალს, აშკარა გახდება, რომ ნაწარმოებთა შერჩევის პრინციპს უექველად მხატვრული კრიტერიუმები განაპირობებდა და არა ავტორთა პოლიტიკური და სოციალური პოზიცია, ან თუნდაც უმცირესობათა მიმართ გამომჟღავნებული მხარდაჭერა.

თუ არაფერს ვიტყვით გრინეუეისეულ მორიგ სიზმრისებრ-ფერწერულ ტილოზე, ფესტივალის უდავოდ საუკეთესო ფილმად უნდა მივიჩნიოთ გერმანული კინოს ბრწყინვალე წარმომადგენლის, ფოლკერ შლენდორფის ფილმი "სულთამხუთავი" (მიშელ ტურნიეს ცნობილი რომანის მიხედვით), ამბავი ფრანგი მანქანის ოსტატისა, რომელიც მთელი ცხოვრება ცდილობდა ბედისწერისა და ისტორიისათვის მიეგდო ყური და რომელიც ამის წყალობით გადაურჩა — პატიმრობას, ტყვეობას, ფრონტს, რაც მთავარია, სულიერ დაღუპვას. ფილმის მთავარი გმირი აბელი ჯერ ფელდმარშალ გერინგის ახლოს აღმოჩნდება, შემდგომში კი გერმანელ რაინდთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის, თავად კალტენბორნის ისტორიულ კომპეში, სადაც გერმანელი ბიჭების ელიტური ნაცისტური სასწავლებელია მოთავსებული. მოსასხამში შებურული ცხენოსანი აბელი ტყის მეფეს მოგაგონებთ, როცა აღმოსავლეთი პრუსიის ტყეებსა და სოფლებში დაჰქრის პატარა ბიჭების სულების მოსატაცებლად, მათი სულების დასაღუპავად — ჭეშმარიტ არიელთა, ჰიტლერის ერთგულ ვასალთა აღსაზრდელად, მაგრამ როდესაც იგი — ომის დაწყებამდე უნლოვანის ცდუნებისათვის უსამართლოდ ბრალდადებული — გერმანელი ჭაბუკების გადარჩენას გადაწყვეტს, ისინი უარს ამბობენ, თავიანთ სახლებს, თავიანთ მშობლებს დაუბრუნდნენ და მას შემდეგ, რაც თავიანთ აღმზრდელს, მეურვეს, მათი გადარჩენის მოწადინეს სიკვდილის პირას მიიყვანენ, უკანმოუხედავად ეწირებიან ფიურერს. და მაშინ, როცა გერმანელი ნაცისტებისა და რუსი ბოლშევიკების შეტაკებისას ინვის შუასაუკუნეობრივი კო-

შკი, რომელიც ჰიტლერელ ჭაბუკთა ჩირალდნებიანი მსვლელობების ასპარეზად იყო გადაქცეული, აბელი ისევე, როგორც სიყმანვილეში, ნმიდა ქრისტეფორეს კოლეჟში სნავლისას, ბედისწერას მიუგდებს ყურს და ტყის მეფე-სულთამხუთავი აღმოდებული ციხე-სიმაგრის წინ ნმიდა ქრისტეფორედ გარდაისახება, — მხარზე შეისვამს ცეცხლიდან და სიკვდილიდან გამოსხნილ პატარა ებრაელ ბიჭს, რათა მდინარე გადაალახვინოს, რათა ლუციფერული ძალების შეტაკებას გააცილოს, რადგან კარგად იცის, რომ თუნდაც ერთი სულის გადარჩენით იგი საკუთარ ცოდვილ სულსაც გადაირჩენს.

შლენდორფისელი ეპიკის გვერდით, რომელშიც მსახიობური ოსტატობის მწვერვალებს აღწევენ ჯონ მალკოვიჩი და არმინ მიულერ-შტალი, ფესტივალზე აჩვენეს ჩეხურ-ფრანგული ფილმი "მარიანი", — სასტიკი და უნათლო მოთხრობა უპატრონო ბავშვთა სახლში გაზრდილი ბოშა ბიჭის შესახებ, რომელმაც თავისი მოკლე ცხოვრება ისე ჩაამთავრა, არასოდეს უნახავს და უგრძენია სიყვარული, იმედი ან ნუგეში; ანდა ჰოლანდიელი რეჟისორის არნო კრონენბორგის კამერული კინოქმნილება „აღუბლის კრეფა“ ცამეტი წლის მშვიდი და გრძნობადი ჭაბუკის, იანის, მომნიფების ტკივილების, მის მიერ ახლობელთა სიუცხოვისა და სიშორის აღმოჩენის შესახებ.

გოდარისეული "მარად მოცარტიც" მრავალენოვან ფილმებს განეკუთვნება, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ მოქმედება ცეცხლმოდებულ ბოსნიაში ვითარდება, ქვეყანაში, სადაც ერების ერთმანეთისაგან გამოყოფა ერთმანეთთან შეტაკებაში გადაზრდილა, სადაც ასე აშკარა გამხდარა სიცოცხლისა და

სიკვდილის აბსურდული ფეთქვა. ფილმის ბოლოს კი უღერს მოცარტის უკვდავი ბგერები, რომელიც არა მარტო ამალღებულია ამქვეყნიერ ძალადობასა, სისასტიკესა და არაკაცობაზე, არამედ, შესაძლოა, თავად აძღვეს საზრისსა და სიმშვენიერეს აზრგამოცლილ სამყაროს.

ვინსენტე არანდას ესპანურ-იტალიურ-ფრანგული ფილმი "თავისუფალნი" სამოქალაქო ომის დროინდელ ესპანეთს ასახავს, — რევოლუციონერთა რაზმში ჩარიცხული ყოფილი მონაზვნებისა და ყოფილი მეძავეების საბრძოლო გზას, რესპუბლიკელთა და ფაშისტთა ბრძოლებსა თუ დამსჯელ ოპერაციებს, მემარცხენეთა ყოვლისგამანადგურებელ ნიჰილიზმს და მემარჯვენეთა სტაგნაციურ ტრადიციონალიზმს.

მარკო ფერერის "ვერცხლის ნიტრატი" იმ მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა ნაკადს განეკუთვნება, რომელიც კინოს დაბადების ასწლოვანი იუბილეთია შთაგონებული და რაც უკანასკნელი ორი წელია შეუნწყვეტლად მოედინება. ფილმის მხატვრულ მონაკვეთებს ისე ერწყმის ჩაპლინისა და კალატოზიშვილის, დე სიკასა და როსელინის უკვდავი კადრები, როგორც სიზმარი და ცხადი, როგორც კინო და რეალობა.

ფესტივალზე წარმოადგინეს რამდენიმე ბიოგრაფიული ფილმი — მათ შორის ჰერბერტ ახტერნბუშის სიურეალისტურ-ირონიული "პიკასო მიუნხენში" და იან ტროელის დანიურ-გერმანულ-ნორვეგიულ-შვედური ფილმი "ჰამსუნი", რომელიც დიდი მწერლის ცხოვრების იმ საბედისწერო წლებს ასახავს, როცა "შიმშილისა" და "მისტერიების" ავტორი განგებამ, მსოფლმხედველობრივმა ზიგზა-

გებმა თუ საკუთარმა მეუღლემ გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის მხარდამჭერთა ბანაკში მიიყვანა. სახელგანთქმული შვედი მსახიობი მაქს ფონ ზიუდო დიდოსტატურად ასახიერებს ღრმად მოხუცი, ძალაგამოცლილი და შთაგონებაგამოცლილი მწერლის, ალბათ, ყველაზე მძიმე პერიოდს — ზიზლს თანამოქალაქელთა მხრიდან, ადოლფ ჰიტლერთან თითქმის გროტესკულ შეხვედრას, ომის დამთავრების შემდეგ მოღალატედ გამოცხადებას, პატიმრობას, ფსიქიატრიულ შემონმეებებს, სასამართლოსა და ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცის წელ კედომას, მაგრამ, ამასთანავე, ცხოვრების დაისისას მეუღლეებს შორის ბოლოსდაბოლოს მიღწეულ თანხმობას. როდესაც საკმაოდ ხანგრძლივი კინოქმნილება მთავრდება, ძნელია ითქვას, ვინ იყო ფილმის ცენტრალური გმირი — ნობელის პრემიის ლაურეტი, ჯერ ნორვეგიის პატრიარქად აღიარებული და შემდეგ ქვეყნის გამყიდველად გამოცხადებული კნუტ ჰამსუნი თუ წინააღმდეგობებით აღსავსე მისი მეუღლე მარია.

კინოფესტივალის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, ენახათ, აგრეთვე, ფილმები მეოცე საუკუნის ორი დიდი პოეტის — ბერძენი კონსტანტინოს კავაფისის და გერმანელი გოტფრიდ ბენის — შესახებ.

იანის სმარაგდისის ფილმი — “კავაფისი” — ამ საუკუნის ყველაზე დიდი ბერძენი პოეტის, კონსტანტინოს კავაფისის, სევდითა და ტკივილით, ვნებითა და ჟინით აღსავსე ცხოვრებას ეძღვნება. მაგრამ ელინი ლირიკოსის პოეტური აღმაფრენა, ხმელთაშუაზღვისპირული ძირების მტანჯველი მონატრება,

ალექსანდრიას, კონსტანტინოპოლსა და ათენს შორის გახლეჩილი ყოფა და ცნობიერება, ეროტიკულ მეობასთან განონასწორება, საერთობერძნული გაუცხოების ტრაგედია — რომ მათი კულტურა და ცივილიზაცია, მათი ქვეები და ხსოვნა აღარც ფიზიკურად და აღარც სულიერად მათ აღარ ეკუთვნის, — რეჟისორის წყალობით, აღმოსავლური ყვავილოვნებით გაჯერებულ უგუნურ ეროტიკულ ფილმად წარმოჩინდა, ფილმად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოეტთან, თუ არ ჩავთვლით მისი ბიოგრაფიის რამდენიმე პიკანტური ეპიზოდის ეკრანიზაციას და კადრს მიღმა ხანდახან წარმოთქმულ მის ლექსებს.

ჰელმა ზანდერს-ბრამსის ფილმში — "ჩემი გული მხოლოდ მე მეკუთვნის" — ასახულია 20-იანი წლების გერმანული ექსპრესიონიზმის ორი გამოჩენილი წარმომადგენლის — გოტფრიდ ბენისა და ელზელასკერ-შულერის ურთიერთობა, მაგრამ თავად სურათი უფრო ლიტერატურულ საღამოს ან ტელედადგმას მოგაგონებთ. ყოველ შემთხვევაში, მაყურებელი ცოტა რასმე თუ გაიგებს ამ ორი ბრწყინვალე ლირიკოსის მარტოობისა და მსხვრევის იმ მძიმე ტვირთის შესახებ, რომლის ტარება ორივეს მოუწია, იმ ორი პოეტის მეგობრობის შესახებ, რომელთაგან ერთი ნაციონალ-სოციალიზმის წინამორბედი იყო, ხოლო მეორე სიონიზმის იდეებს ნერგავდა.

ფილმის დასასრულ მოულოდნელად და საჩქაროდ გაირკვევა, რომ თურმე მეორე მსოფლიო ომი დაწყებულა და დამთავრებულა, რომ ამ ომისას ლასკერ-შულერი აღთქმულ მიწაზე გადასახლებულა და იქ ომის დამთავრების წელს გარდაცვლილა, რომ არისტოკრატიულად განდგომილ გოტფრიდ ბენს ომის

დროს ვერმახტში სამხედრო ექიმად უმსახურია, რომელსაც გერმანიის დამარცხების შემდეგ ბრიტანეთის საელჩოში ინვევენ, რათა ებრაელი პოეტი ქალის ხსოვნის სალამოზე ნარცისული მოგონება წარმოთქვას.

ფილმის მსვლელობისას უსმენთ წარუვალ პოეზიას, მაგრამ ვერაფერს სძენთ თქვენს ცოდნას ადამიანურად, პოლიტიკურად, ეროტიკულად გაორებული ორი გერმანელი პოეტის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უხამს ფილმზე, რომელსაც შემთხვევით ფაქიზი და ღრმა ბერძენი პოეტის სახელი ჰქვია.

საფესტივალო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იყო გერმანული ფილმი "კავკასიური ღამე", რომლის მოქმედება გროზნოში ხდება. მოლოდინი და იმედისგაცრუება, გატაცება და სიკვდილი, აღმაფრენა და სისასტიკე — აი, რა ელით წინ ამ ფილმში მოქმედ უფროსებსაც და უმცროსებსაც, ქართველებსაც და გერმანელებსაც. მაგრამ ეს ფილმი და მისი ნახვისას წამოჭრილი საკითხები უთუოდ ცალკე თემაა, რის შესახებაც როდისმე ნამდვილად ღირს საუბარი.

"არილი", 21-27 აგვისტო, 1997

“კავკასიური ღამე”

ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ ევროპული ფილმის მეოთხე პრაქულ ფესტივალზე მაყურებელმა ნახა გერმანული ფილმი — “კავკასიური ღამე”, რომელიც კინოდარბაზ “ლუცერნაში” შეკრებილ მაყურებელს თავად ავტორმა, ახალგაზრდა რეჟისორმა, გორდიან მაუგმა, წარუდგინა.

კინოფესტივალზე ნაჩვენები ფილმების უმრავლესობა რამდენიმეენოვანი იყო, ამჯერადაც ეკრანიდან ისმოდა ქართული, რუსული და გერმანული ენა. “კავკასიური ღამის” მრავალენოვნება მოქმედების ადგილით იყო განპირობებული — იმხანად ჯერ კიდევ დაუნგრეველ გროზნოში ცხოვრობს არცთუ წარმატებული ქართველი კომერსანტის ოჯახი, რომელსაც გერმანელი კომერსანტი ოჯახით ესტუმრება. ქართველი დამწყები საქმოსანი “პერესტროიკული” ენთუზიაზმის ტალღას აყოლილ ევროპულ საქმოსანს ერთობლივი სანარმოს გახსნას სთავაზობს — ქართული კერამიკის დასამზადებლად და გასაყიდად. გერმანულად ძირითადად საქმიანი თუ საოჯახო საუბარი ჩაღდება, რუსულად — რაკი ფილმის რუსი პერსონაჟები ბანდიტები, მეძავეები ან მილიციელები არიან — ლანძღვა და გინება იფრქვევა, ხოლო ქართულს კი უმთავრესად ლირიკული ფუნქცია აქვს დაკისრებული — პოეტური მონოლოგებისა და მგზნებარე აღსარებებისათვის. გერმანელები და ქართველები ერთმანეთისათვის რამის გაგებინებას რუსულად ცდილობენ, და ეს ბუნებრივია, რადგან

ევროპასთან კონტაქტს ჩვენ უმთავრესად რუსეთის გზით ვახორციელებდით და რუსეთს კარგა ხნის მანძილზე მივიჩნევდით ევროპად; რუსებიც, ბუნებრივია, რუსულად ელაპარაკებიან ქართველებს, ანუ “კავკასიური ეროვნების მოქალაქეებს”, რომელთაც ფილმშიც და ყოველდღიურ რუსულ სინამდვილეშიც “შავეებს” ანუ “ჩორნიე“-ს უწოდებენ. მაგრამ უჩვეულო ისაა, რომ ფილმის ჭაბუკი გმირი, 16 წლის თენგიზ გაგარიძე, მასზე ერთი წლით უმცროს გერმანელ შტეფანს თავის ყველაზე იდუმალ ფიქრებსა და განცდებს ქართულად უზიარებს, — რადგანაც იგი ქართველი ახალგაზრდაა და უეჭველად სწამს, რომ გერმანელი ქართველს ისეც გაუგებს, რომ გერმანელი ქართველს უთუოდ და უმალ მხარში ამოუდგება.

“რომ იცოდე, როგორ გელოდებოდი, შტეფან, რომ იცოდე, რამდენი რამ უნდა მოგიყვე”, — ეუბნება თვალებგაბრწყინებული, რომანტიკული და სათუთი თენგიზი გერმანელი კომერსანტის — საპირფარეშო მონყობილობათა ფაბრიკის მეპატრონის — ვაჟს, და მას ერთი სული აქვს, მოუთხროს რამდენიმე წუთის წინ გაცნობილ გერმანელ თანატოლს, თუ საიდან მოდის ქართველობა, თუ როგორ გადაიქცა პაპამისი პეპლად, თუ როგორ ისწრაფვის იგი ცაში ასაფრენად. იგი ყველაფერს უზიარებს და ანდობს გერმანელ ბიჭს — თავის ფიქრებსა და ოცნებებს, თავის იმედებს, თავის გოგონასაც კი, და მხოლოდ იმიტომ, რომ შტეფანი გერმანელია, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველისათვის თავისთავად გერმანელი უკვე ბევრ რასმე ნიშნავს. ახლადშეღერებული შტეფანი კი მდინარის ნაპირას თენგიზის ლირიკული აღსარებების მოსმენას ლამის გატარებას რუსი მეძავეების საზოგადოებაში ამჯობინებს.

გულუბრყვილო ქართველ საქმოსანს, გიორგი გაგარიძეს (მსახიობი გუჯა ბურდული) იმედის გაცრუება ელის, — ქართულ თეფშებსა და თასებს ვერც ლიტვაში გაყიდის, ვერც პოლონეთში და ვერც გერმანიაში, მაგრამ მისი ყოფილი სანარმო, უკვე მის გარეშე, ქართული კერამიკის მოტივებიან გერმანულ უნიტაზებს უშვებს; მისი მშვენიერი მეუღლე, ქართველი დიასახლისი (მსახიობი ლიკა ქავჭავაძე) გერმანელი ფრაუს მოხიბლვას ქართული სუფრითა და ქართული სტუმართმოყვარეობით ცდილობს, მაგრამ სტუმარს სრულიად სხვა საფიქრალი გასჩენია: მეზობელი რუსი მილიციელის, ავღანეთის ომის ვეტერანის მზერისა და ყურადღების მიპყრობა სურს; გულგატეხილი და უცხო ქალაქში მარტოსულად დარჩენილი თენგიზი კი (მსახიობი დათო იაშვილი) გროზნოს სასტუმროს სახურავიდან ცაში აფრენას მოინადინებს და, სიკვდილის შემდეგ პეპლად ქცეული, 15 წლის გერმანელი ჭაბუკის მხარზე შეიფართბალებს.

"არილი", 4-10 სექტემბერი, 1997

იან პატორჯია — ფილოსოფოსი და მოღვაწე

სახელმძღვანელოებიდან ცნობილ პირველ ფილოსოფოსებს პატივსა და დიდებაში იშვიათად დაუმთავრებიათ თავიანთი სიცოცხლე — თუ ემპედოკლესა და ანაქსაგორას განდევნილობა ელოდა, სოკრატეს, ათენის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საპატიმროში სანამლავის შესმა მოუწია. მართალია, ვერ დავიყინებთ, რომ ფილოსოფოსების სიცოცხლის ამგვარი დასასრული მათი პროფესიული ბედისწერა იყო, მაგრამ თუ მახსოვრობას დავძაბავთ, იმასაც გავიხსენებთ, რომ მათ ცხოვრებაში არც ხელისუფალთა მხრიდან დევნა და ძალადობა ყოფილა გამონაკლისი.

ამ ოცი წლის წინ, 1977 წლის მარტში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, გამომძიებლის ოთახში, თერთმეტსაათიანი დაკითხვის შემდეგ გონება დაკარგა 70 წელს მიღწეულმა ფილოსოფიის პროფესორმა, იან პატორჯიამ, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში განუტევა სული. პატორჯია, მსოფლიო სახელის ჩეხი მოაზროვნე, ჰუსერლის მოწაფე, ჰაიდეგერის მეგობარი და ოპონენტი, ფილოსოფოსი და ინტერპრეტატორი, ასუბიექტური ფენომენოლოგიის ანუ ნეგატიური პლატონიზმის მოძღვრების შემქმნელი იყო.

იან პატორჯია 1907 წლის 1 ივნისს პატარა ქალაქ ტურნოვში დაიბადა. დანყებითი სკოლისა და გიმ-

ნაზიის დამთავრების შემდეგ იგი პრაჰის კარლოსის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და სტუდენტობის განმავლობაში ფილოსოფიის ფაკულტეტზე სლავურ ფილოლოგიას, რომანისტიკასა და ფილოსოფიის ისტორიას ეუფლებოდა. პრაჰაში სწავლების წლებს მოჰყვა მეცადინეობები პარიზის, ბერლინის, ფრაიბურგის უნივერსიტეტებში. სწორედ ამ დროს გაიცნო მან ჩეხეთის მინაზე დაბადებული ედმუნდ ჰუსერლი, იმ დროის ყველაზე სახელგანთქმული და პატივდებული ფილოსოფოსი. მალე ფრაიბურგელ პროფესორსა და დამწყებ პრაჰელ ასპირანტს შორის მეგობრობა აღმოცენდა, ხოლო თავად ჰუსერლის ფილოსოფიურმა მოძღვრებამ — ფენომენოლოგიამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა პატორჩას ფილოსოფიური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. არსებობს გადმოცემა, რომ ჰუსერლმა ახალგაზრდა ჩეხ ფილოსოფოსს თავისი მასწავლებლის — ასევე ჩეხური წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსის — ფრანც ბრენტანოსაგან ნაანდერძევი კალმისტარი აჩუქა.

ცოცხალი ხნის შემდეგ პატორჩა პრაჰას, კარლოსის უნივერსიტეტს უბრუნდება, — უკვე როგორც ახალგაზრდა პედაგოგი. მაგრამ მალე, 1939 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც გერმანელთა ოკუპაციის შედეგად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა წყვეტს თავის არსებობას, ხოლო ჩეხური უმაღლესი სასწავლებლები, ბერლინიდან მოსული ბრძანების საფუძველზე, დაიხურება, პატორჩასათვის პირველად ჩაირაზება კარლოსის უნივერსიტეტის კარები, — პირველად, მაგრამ არა უკანასკნელად.

ოკუპაციისა და ომის წლებში ფილოსოფოსი გიმნაზიის მასწავლებლად მსახურობს, ხოლო ჩეხოსლო-

ვაკიის რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ, ფარდობითი დემოკრატიის წლებში, პატორჯიას უნივერსიტეტის კათედრაზე აბრუნებენ. დემოკრატია კი ომისშემდგომი სამი წლის განმავლობაში იმდენად იყო ფარდობითი, რამდენადაც კომუნისტებს ჯერ ქვეყანაში სრული ძალაუფლება არ ჰქონდათ მოპოვებული. მაგრამ სულ მალე, 1948 წლის თებერვლის კომუნისტური გადატრიალების შემდეგ, როცა სახელმწიფოს სათავეში მტკიცე სტალინისტი, კლემენტ გოტვალდი, მოვიდა, დაიწყო ყველა დიდი თუ პატარა დაწესებულების და, მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნივერსიტეტების წმენდა. ერთ-ერთი პირველი, ვისაც უნივერსიტეტის დატოვება მოუხდა, იან პატორჯია იყო. ეს უკვე მეორე გამოძევება იყო, მაგრამ ამჯერად საბაბიც უთუოდ მოიპოვებოდა — ფილოსოფიის პროფესორმა საჯაროდ განაცხადა უარი, გაეზიარებინა მარქსისტულ-ლენინური დოგმები და შემდეგ სტუდენტები — მომავალი ფილოსოფოსები აღეზარდა “სამყაროს გარდაქმნელი მოძღვრების” საფუძველზე. ამ წლებში პატორჯიას მოღვაწეობა ძირითადად აკადემიურ ინსტიტუტებში მიმდინარეობს, შორს სტუდენტებისაგან, მაგრამ ოცი წლის შემდეგ, ხანმოკლე პრაქტიკული გაზაფხულისას, როცა ჩეხოსლოვაკიის სათავეში რეფორმირებული ან რეფორმისაკენ მსწრაფი კომუნისტები აღმოჩნდნენ, პატორჯია ისევ მიიწვიეს ლექციების ნასაკითხად ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

მაგრამ “პრაქტიკული გაზაფხული” მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, და ისევ ხანმოკლე იყო პატორჯიას საუნივერსიტეტო მოღვაწეობაც. 1968 წლის აგვისტოში საბჭოთა ტანკების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცი-

ის შემდეგ აქ ეგრეთ წოდებული "ნორმალიზაციის წლები" ჩამოდგა, იდეოლოგიური რეჟიმი კი უკიდურესად გამკაცრდა. პრაჰის კარლოსის უნივერსიტეტის კარები მესამედ და უკვე საბოლოოდ იხურება პატოჩკას წინ. მაგრამ მის სტუდენტებს თუ ყოფილ სტუდენტებს, გინდაც თავისუფალ მსმენელებს ასე ადვილად არ ემეტებათ სახელგანთქმული ფილოსოფოსის სახელგანთქმული ლექციები, სადაც — აზრისა და ძიების სკოლაში — ისინი სოკრატესა და პლატონის, შოპენჰაუერისა და ჰაიდეგერის, ისტორიისა და ბედისწერის, გონიერებისა და სიმამაცის შესახებ ჩაფიქრებას სწავლობდნენ. 70-იანი წლების დასაწყისში იატაკქვეშეთში არსდება ეგრეთ წოდებული "პატოჩკას თავისუფალი უნივერსიტეტი", რომელიც, ბუნებრივია, არსად არის რეგისტრირებული, უფრო მეტიც, რომლის არსებობის შესახებ, სასურველია, რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა იცოდეს. ამიტომ ჰგავს ფილოსოფიური შეკრებანი კონსპირაციულ შეკრებებს: კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაშიც — ისევე როგორც ყველა ტოტალიტარულ ქვეყანაში — ფიქრი, აზროვნება, მსჯელობა მეტად სახიფათო საქმიანობად იყო მიჩნეული. ამიტომაც წინარესოკრატული ნატურფილოსოფიისა თუ დეკარტული შეეჭვების სირთულეებში ჩასაღრმავებლად, ანდა ჰაიდეგერის "ყოფნისა და დროის" სათარგმნელად ყოვლად საიდუმლო ვითარებაში ჯობს შეხვედრა — ან მეგობარი ფოტოგრაფის სახელოსნოში ან ბავშვობის მეგობრის ქალაქგარეთა აგარაკის ბაღში.

მაგრამ პროფესორ იან პატოჩკასათვის ეს საკმარისი არ არის, — ფილოსოფოსი, რომელიც კარგად აცნობიერებს ამ საუკუნის ორ შემზარავ ავად-

მყოფობაში — კომუნიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმში — გამჟღავნებულ ეპოქის კრიზისს, სხვა ჩეხ ინტელექტუალებთან ერთად გადაწყვეტს, თუნდაც რამე, თუნდაც გამომწვევი და ხმაურიანი გააკეთოს სულიერი ლეთარგიიდან საზოგადოების გამოსაყვანად. 1976 წლის შემოდგომაზე იგი, პოეტ იაროსლავ სეიფერტთან (— შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში) და დრამატურგ ვაცლავ ჰაველთან (— შემდგომში ჩეხოსლოვაკიის და ჩეხეთის პრეზიდენტი) ერთად, მოამზადებს დოკუმენტს, რომელსაც “ქარტია 77” დაერქმევა და რომელიც 1977 წლის 1 იანვარს გადაეცემა კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს. მოწოდებას, რომლითაც ხელისმომწერნი ხელისუფლებისაგან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას მოითხოვენ, დასავლეთის პოლიტიკურ-ინტელექტუალური წრეების მღელვარება და მთელი კომუნისტური სამყაროს აფორიაქება მოჰყვება. მაშინ, “ცივი ომისას”, ადამიანის უფლებების თუ ჰუმანური-ლიბერალური ფასეულობების დაცვა დასავლეთის პოლიტიკურ ინტერესებს განეკუთვნებოდა და სეიფერტის, პატოჩკას, ჰაველის სახელები კარგა ხანი არ მოჰპოვებია დასავლური პრესის ფურცლებს, “ქარტია 77”-ის სპიკერთან — იან პატოჩკასთან შესახვედრად და სასაუბროდ საგანგებოდ ჩამოდის ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი. მაგრამ უმრავლესობა, როგორც ყოველთვის, საზოგადოებრივ აზრს, გაბატონებულ აზრს მიჰყვება მორჩილად, — ქარტიელები, ფაქტობრივ, მარტონი აღმოჩნდნენ. ჩეხი და სლოვაკი მწერლები, ჟურნალისტები, მსახიობები, მხატვრები პრაჰის ეროვნულ თეატრში

იკრიბებიან სოციალიზმის ერთგულების დასადასტურებლად, ხოლო საჩვენებელ-საზეიმო სხდომის შემდეგ ყველანი — მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა — რიგში დგებიან, რათა "ანტიქარტიას", კომუნისტური სახელმწიფოსადმი მორჩილების დოკუმენტს, მოაწერონ ხელი, რათა "იმპერიალიზმის სამსახურში ჩამდგარი გამყიდველების" მიმართ თავიანთი ზიზლი და აღშფოთება დაადასტურონ. ამ დროს ვაცლავ ჰაველი თავის სხვა თანამოაზრეებთან ერთად უკვე დაპატიმრებულია, მოხუცი პროფესორის, იან პატოჩკას, დაკითხვებს კი დასასრული არ უჩანს. ერთ-ერთი დაკითხვის შემდეგ, რომელიც უწყვეტად გრძელდებოდა 11 საათის განმავლობაში, გონებადაკარგული პატოჩკა საავადმყოფოში წაიყვანეს. იგი რამდენიმე დღეში, 1977 წლის 16 მარტს გარდაიცვალა.

მაგრამ უშიშროების ორგანოების ბრძოლა ფილოსოფოსთან ამით არ დამთავრებულა: დასაფლავების დღეს პრაჰის შემოსასვლელებთან ტანკები და შეიარაღებული ტექნიკა იდგა, პრაჰის გარეუბანის, ბრჟევენოვის წმიდა მარკეტას სასაფლაოსაკენ მისასასვლელი ყველა გზა გადაკეტილი იყო, ყოველ მანქანას უმონმებდნენ საბუთებს, ყოველ ქვეითს — პირადობის მოწმობას. გარეშე მეთვალყურეს, შესაძლოა, შთაბეჭდილება შექმნოდა, რომ იმ დღეს მოხუც პროფესორს კი არ კრძალავდნენ, არამედ სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა.

როცა ჭირისუფლები, ნათესავები და მეგობრები გათხრილ საფლავს მიუხლოვდნენ, სასაფლაოს თავზე ჰელიკოპტერების იმგვარი გუგუნის ატყდა, რომ არათუ გამოსამშვიდობებელი სიტყვების თქმა

გახდა შეუძლებელი, არამედ მღვდლის განსატყეველი ლოცვაც კი არავის გაუგონია. როგორც ამბობენ, თითქმის ყველა, ვინც დაკრძალვაზე მივიდა, უსამსახუროდ დარჩა.

დღეს უკანაა მოტოვებული ორმოცწლიანი "ცივი ომი" და ვარშავის პაქტი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა და მისი სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, უკანაა მოტოვებული დისიდენტური მოძრაობა და დასავლეთის დაძაბული ყურადღება კომუნისტურ ქვეყნებში აღმოცენებული ყოველგვარი ოპოზიციის მიმართ, "ქარტია 77"-მაც დაასრულა თავისი არსებობა. მაგრამ დღევანდელი ჩეხეთის ნებისმიერ წიგნის მალაზიაში უეჭველად ნახავთ ქარტიის პირველი სპიკერის, იან პატოჩკას წიგნებს, — მისი მემკვიდრეობა უზარმაზარი აღმოჩნდა: მონოგრაფიები, ნარკვევები, ესეები, ლექციების ჩანაწერები. უკვე კარგა ხანია, წელიწადი ისე არ ჩაივლის, ოცი წლის წინ გარდაცვლილი ფილოსოფოსის ერთი ან ორი ახალი ნაშრომი არ დაიბეჭდოს. ახლახან გამოვიდა მის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი, — წიგნს პლატონური სათაური აქვს, მას "ზრუნვა სულისათვის" ჰქვია.

"არილი", 11-17 სექტემბერი, 1997

ცოტა რამ ბეტონის შესახებ

როდესაც პიტერ უსტინოვს სთხოვეს, ნამყვანის როლი შეესრულებინა ფილმში ბეტონის შესახებ, მსახიობმა გაკვირვებით შეხედა მომავალი ფილმის ახალგაზრდა რეჟისორს და ჩაეკითხა, ხომ არაფერი მომეყურაო. "სერ, ჩვენ გთავაზობთ როლს ბეტონის კულტურული ისტორიის შესახებ", — ისევ გაუმეორეს მას თხოვნა. "კი, მაგრამ განა ბეტონს აქვს კულტურული ისტორია?", — გაიკვირვა მსახიობმა, მაგრამ, როდესაც მას შეახსენეს, რომ, სხვათა შორის, ბეტონითაა აგებული კოლოსეუმი და პანთეონი, უმალ დათანმდა შეთავაზებულ როლზე.

როგორც ჩანს, კოლოსეუმის მაგალითი არა მარტო მოულოდნელი, არამედ შთამაგონებელიც ყოფილა, — როგორც თავად ფილმის რეჟისორი, ჩეხური წარმოშობის ოცდაექვსი წლის ახალზელანდიელი მაიკლ ჰავესი იხსენებს, როდესაც მან მისი მეგობრისაგან, ერნსტ ჰაინესაგან, პირველად გაიგო, რა სამშენებლო მასალით სარგებლობდნენ მისი მშენებლობისას ძველი რომაელები, ახალგაზრდა კინოდოკუმენტალისტს უთქვამს, ხალხმა ნამდვილად უნდა იცოდეს ამის შესახებო და მაშინვე შეუთავაზებია მეგობრისათვის, ერთად დაენერათ სცენარი ბეტონის ისტორიის შესახებ.

დღეს უკვე არაერთმა სატელევიზიო კომპანიამ ჩართო თავის პროგრამებში ექვსერიიანი გერმანულ-ავსტრალიური დოკუმენტური ფილმი "თხევადი ქვა", რომლის ბოლო ეპიზოდების გადასაღებად ფილმის

ავტორები პიტერ უსტინოვთან ერთად ბერლინში იყვნენ, იქ და იმ დროს, როცა ტურისტები სუვენირების სახით სხვადასხვა კონტინენტებზე მიეზიდებოდნენ ბეტონური ერის მეტად შემზარავი სიმბოლოს — ბერლინის კედლის — ნამტვრევებს.

მანამდე კი, ექვსი საღამოს განმავლობაში, მაყურებელი ბეტონისაგან შექმნილ მრავალ უცხოსა და უცნაურს, მრავალ წარმტაცსა და მახინჯს ნახავს ტელეკრანზე. ბეტონის ისტორიის აღწერისას ფილმის ავტორებმა დედამიწის არაერთი კუთხე შემოიარეს. მათი აზრით, პანთეონი და კოლოსეუმი სიძველით ტოვებს შთამაგონებელ შთაბეჭდილებას, ნიუ-იორკის ხიდი ან ემფაიარ სთეით ბილდინგი გასაოცარია თავისი მატერიალური სისავსითა და სიდიადით, ბეტონის პოეტურობა კი, როგორც მათ მიაჩნიათ, ყველაზე მეტად სიდნეის ოპერის შენობაში ცხადდება, რომლის სტრუქტურა ზღვის ნიჟარას მოგვაგონებს და რომელიც მეოცე საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთ გამორჩეულ შედეგრადაა აღიარებული.

“თხევადი ბეტონის” ერთ ეპიზოდში ერთმანეთის პირისპირ ზის ორი ასაკოვანი მამაკაცი, რომლებიც ცხარე, შთაგონებულ, პრინციპულ კამათში ჩაბმულან. ერთია პოეტი და ვიზიონერი, დიდი ესპანელი არქიტექტორი ანტონიო გაუდი, რომელიც ამტკიცებს, რომ ყოველი ადამიანის უფლებაა, ჰქონდეს საკუთარი და განსაკუთრებული, გამორჩეული და განსხვავებული სახლი, მეორეა “პანელური სახლების” მამა, შვეიცარიელი ფრანგი ლე კორბუზიე, რომელსაც მიაჩნია, რომ ბინა მხოლოდ საშუალებაა ადამიანის საცხოვრებლად და ამიტომ ფორმაც ში-

ნაარსს უნდა შეესაბამებოდეს, — ბინა მოსახმარი, მისაწვდომი და მოსახერხებელი უნდა იყოს. "ბატონო ჩემო, — მიმართავს იგი გაუდის, — ყური მომიკრავს, რომ თავდაპირველად მსახიობი ბრძანდებოდით. შესაძლოა, ამიტომაც გადაგინწყვეტიათ თეატრალური დეკორაციების შექმნა". გონიერი და სიტყვა-მოსწრებული ესპანელი ილიმება და დინჯად უპასუხებს თანამოსაუბრეს: "მე კი თქვენს შესახებ გამიგია, რომ ობლობაში გაიზარდეთ და არასოდეს გყოლიათ მეუღლე. ალბათ, ამიტომაც არ იცით, რა არის ოჯახი და სახლი..."

ჩვენი საუკუნის განმავლობაში ძნელია ვინმე მოიძებნოს, ვისაც კეთილი სიტყვით მოეხსენებინოს ბეტონი. ფილმის ავტორებმა ბეტონის რეაბილიტაცია დაისახეს მიზნად. რეჟისორ მაიკლ ჰავესის სიტყვებით, საქმე ისაა, რას შექმნის მისგან ადამიანი.

რეჟისორი, ალბათ, სწორია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად ადამიანიც მოზეულილი მიწისაგანაა შექმნილი.

"არილი", 11-17 სექტემბერი, 1997

ფრანც შუბერტი

ვისაც ოდესმე სკოლაში უვლია და იქიდან რამე ცოდნა გამოუტანია, შესაძლოა, ისიც ახსოვდეს, რომ რომანტიკოსები მჩქეფარე ცხოვრებისა და მეტად ადრეულ ასაკში სიკვდილისათვის იყვნენ განწირულნი. მართალია, ზოგიერთი საქმეში ჩახედული ადამიანი საკამათოდ მიიჩნევს, ნამდვილად იყო თუ არა ფრანც შუბერტი რომანტიკოსი, მაგრამ მისი ბიოგრაფია უეჭველად გამოდგება სკოლაში ყურმოკრული თვალსაზრისის დასადასტურებლად — შუბერტმა მჩქეფარე, დაუქანცველი ცხოვრება გაიარა და 31 წლისა გარდაიცვალა. რაც შეეხება მის უზარმაზარ მუსიკალურ მემკვიდრეობას, — უზარმაზარს მნიშვნელობითაც და მოცულობითაც (მის ნაწარმოებთა უბრალო ნუსხაც კი რამდენიმე ათეულ გვერდს მოიცავს), — მისი სიმფონიები და ოპერები, კამერული ნაწარმოებები სიმებიანი ინსტრუმენტებისა თუ ფორტეპიანოსათვის, მესები თუ სიმღერები არა იმდენად სამყაროს წესრიგისა და ისტორიული ჟამთასვლის არეკლვას ისახავს მიზნად, რამდენადაც ადამიანის სულში მოლივლივე ტკივილისა თუ სიხარულის, იმედისა თუ სასოწარკვეთილების, რწმენისა თუ გაორების წარმოჩინებასა და გაგებას. ფორმის კეთილშობილებითა და სათქმელის სიფაქიზით აღსავსე მის ქმნილებათა უმრავლესობა კომპოზიტორის სიცოცხლეში ან არავის მოუსმენია, ან არავის უცნია მუსიკალური კულტურის მარადიულ, წარუვალ ღირებულებად, მა-

გრამ ამას გარემომცველი საზოგადოების ჩასაფრებულ უგულობასა და საბედისწერო დაუნახაობას ნუ მივანერთ, — საფიქრებელია, რომ 31 წელი მაინც არ არის საკმარისი დრო აღიარებული და დაფასებული კლასიკოსის სახელის მოსაპოვებლად. 1797 წლის 31 იანვარს ვენაში დაბადებული ფრანც შუბერტი უბრალოდ მეტად ახალგაზრდა მოკვდა და კლასიკოსად — ქრესტომათიული გაგებით კლასიკოსად — იგი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, გარდაცვალებიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ აღიარეს.

შუბერტის მამა წარმოშობით მორაველი იყო და სკოლის მასწავლებლად მსახურობდა, რაც არცთუ ურიგო შემოსავლით უზრუნველყოფდა ოჯახს, დედამისი კი დაქორწინებამდე შინამოსამსახურეობით ირჩენდა თავს. მაგრამ როგორც ჭეშმარიტ ავსტრიულ ოჯახს შეჰფერის, ისინი არა მარტო კათოლიკურ ტრადიციებს იცავდნენ მყარად, არამედ საოჯახო კერასთან სათუთად აღვივებდნენ მუსიკალურ სულსაც და საღამოობით ერთ დიდ ოთახში სიმებიანი კვარტეტის საშინაო კონცერტებს მართავდნენ. პატარა ფრანცს მამამ ვიოლინოზე დაკვრა ასწავლა, ხოლო უფროსმა ძმამ — ფორტეპიანოზე, ორგანისა და სიმღერის ოსტატობას კი ყმანვილს მეზობელი ეკლესიის ორგანისტი ასწავლიდა. ფრანც შუბერტის განსაკუთრებული და გამორჩეული მუსიკალური მონაცემები ადრიდანვე გამოვლინდა და იგი მალე ვენის პრესტიჟულ სკოლაში — "შტადტკონვიკტში" — მიაბარეს, სადაც მას ორი ბრწყინვალე მასწავლებელი დახვდა — ჩეხი კაპელმაისტერი ვაცლავ რუჟიჩკა და იმხანად დიდებით მოსილი ანტონიო სალიერი, რომელსაც ჯერ ეჭვიც არ ჰქონდა, რომ სულ

მალე მას მოცარტის ლეგენდურ მკვლელობაში დასდებდნენ ბრალს.

როგორც ამბობენ, თერთმეტი წლის შუბერტი თანაკლასელებთან ერთად არა მარტო სიმებიან და საფორტეპიანო კონცერტებში მონაწილეობდა, არამედ შესანიშნავად მღეროდა და, ამასთანავე, — რუჟიკას არყოფნაში — სტუდენტურ ორკესტრსაც დირიჟორობდა. მაგრამ 15 წლის შუბერტმა ხმა დაკარგა და მისი წვლილი ვოკალურ ხელოვნებაში მისი სიმღერით კი არ გამოიკვეთა, არამედ მისი სიმღერებით, — იმ ათასზე მეტი სიმღერით, რომელთა ნამდვილი სიდიადე დროთა განმავლობაში გამჟღავნდა, მაგრამ რომელთაც კომპოზიტორს სიცოცხლეშივე მოუტანეს ვენაში ასე თუ ისე გახმაურებული სახელი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს სახელი “მესიმღერის” დიდება იყო, — სხვაგვარი აღიარება მას სიცოცხლეში არ მოსწევია. ამ სიმღერების შესრულებაც თითქმის არ გასცდენია ვენურ სალონებს, ხოლო კომპოზიტორის ერთადერთი საჯარო კონცერტი სიკვდილამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე შედგა. მაგრამ თავად შუბერტი უსაზღვროდ ბედნიერი და კმაყოფილი იყო — ეს მისთვის მხატვრულ და ფინანსურ წარმატებას ნიშნავდა, თან მის ჭაბუკურ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს, მან როგორც იქნა, ოცნება შეისრულა და ფორტეპიანოს ყიდვა შეძლო. მაგრამ სულ ცოტა ხანში მძიმედ დაავადებულ ფრანცს ძმასთან გადაბარგება მოუხდა, რათა, ფიზიკურად უკვე სრულიად განადგურებული, სიკვდილს შეგებებოდა.

მანამდე კი იყო მოცარტის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის სიმფონიების ათვისება და დირიჟორობა, სკოლის მას-

წავლებელთა სიმკაცრე და გაუგებრობანი თუ ურთიერთგაგებანი თანაკლასელებთან, ვენელი პოეტების, მუსიკოსების, მხატვრების გარემოცვა და გაუთავებელი ღამისთევანი დუქნებში, ავადმყოფობა და მგზნებარე მეგობრობა შვიდი წლით უმცროს მხატვარ მორის ფონ შვინდთან, მომაკვდავი ბეთჰოვენის მონახულება და საიმპერატორო კაპელმაისტერის პოსტის მოპოვების უშედეგო მცდელობა, ხშირი დაცინვისა და იშვიათი აღტაცების ატანა, უსახლკარობა და გავლენიან, მდიდარ მფარველებთან სტუმრობა, შთაგონება და სასონარკვეთა, რაც მთავარია, განუწყვეტელი, ჟინიანი, თავდაუზოგავი შემოქმედება და სათვალთ ძილი ლოგინში, — გამოღვიძებისთანავე, უმალ, დროის დაუკარგავად ფურცელზე იმის ჩასანერად, რაც მის სულში იმ წუთებში იბადება. და კიდევ 27 წლის შუბერტის ამგვარი სიტყვები: "ძნელია ქვეყანაზე მოიძებნოს ჩემზე უფრო უბედური და განადგურებული არსება. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომლის ჯანმრთელობა აღარასოდეს გაუმჯობესდება, და რომელიც ამ ავადმყოფობის სულ უფრო დაუნდობელი მოძალების გამო ყველაფერს აკეთებს უფრო და უფრო უარესად, იმის მაგივრად, რომ აკეთებდეს უკეთესად; წარმოიდგინეთ ადამიანი, რომლის უბრწყინვალესი იმედები სრულიად დაიმსხვრა, რომელსაც სიყვარულისა და მეგობრობის ბედნიერებისაგან არაფერი დარჩა ტკივილის გარდა...". ვისაც ბაირონისა და შელის, ჯაკომო ლეოპარდისა და პუშკინის, ანდა ბარათაშვილის წერილები წაუკითხავს, მისთვის ამ სტრიქონებს ძალზე ნაცნობი ჟღერადობა ექნება.

შუბერტის მუსიკა მოცარტისებურად ხალისიანია, მაგრამ ავადმყოფობასა და გამორჩეულობასაა ნა-

ზიარები, ჰაიდნისებურად ფორმით განონასნორებულია, მაგრამ, ამავე დროს, ემოციურია და მღელვარე, ბეეთოპოვენივით მონუმენტურია, მაგრამ თან ფაქიზი და ადამიანური, შუმანივით გარინდებულია, მაგრამ, ამასთანავე, ჭაბუკურად მშფოთვარე, შოპენივით ინტიმურია, მაგრამ ვაჟკაცურად თავშეკავებული და უშიშარი.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ შუბერტის მუსიკა განმსჭვალულია იშვიათი სიმშვენიერითა და სინაზით, მიუხედავად იმისა, რომ ისე გრძნობიერი და ნარმტაცია, როგორც ცოტა რამ კლასიკური სტილის ხელოვნებაში, მაინც მისი სმენისას მსმენელს არ ტოვებს განცდა, რომ მის მიღმა რაღაც უთქმელი, გაუმჭვირვალი და ამოუცნობი იმალება. საკამათოა არა იმდენად მისი ადგილის განსაზღვრა მუსიკის ისტორიაში, ვინ იყო იგი სინამდვილეში — კლასიკოსი თუ რომანტიკოსი, ლირიკული ჩანახატების ავტორი თუ საზეიმო მესების შემქმნელი, მელოდიური მესიმლერე თუ ფრთაგაშლილი სიმფონისტი, კამერული მუსიკის დიდოსტატი თუ ოპერის რეფორმის წინამორბედი. ამის გარკვევა, როგორც ჩანს, უფრო გემოვნებისა და პროფესიული კამათის ფარგლებში დარჩება, მაგრამ ამოუცნობი ისაა, რა საიდუმლო იყო ის, რაც ამოუხსნელი დაგვიტოვა 31 წლის კომპოზიტორმა, ზოგისათვის კლასიკურად სრულყოფილმა, ზოგისათვის გმირული სულით ანთებულმა და გმირული სულის ამნთებმა, ზოგისათვის ფაქიზმა ლირიკოსმა, ზოგისათვის ფორმის ვირტუოზმა, ზოგისათვის მელოდიების ტყვეობაში მყოფმა ადამიანმა... მაინც რა იცოდა ისეთი შუბერტმა, რას ჩასწვდა ისეთს, რაც მასზე ადრე არ უთქვამთ და არ

გამოუთქვამთ თუნდაც დიად ვენელებს?! განა ვისაც ოდესმე მისი სიმფონიები, კამერული და საფორტეპიანო ნაწარმოებები, სიმღერები და მესები მოუსმენია, ეჭვი შეეპარება, რომ შუბერტმა უშუალოდ გამოცადა, თუ რა არის სიხარული და ვნება, გატაცება და დამარცხებასთან განონასწორება, ტკივილისა და სიკვდილისათვის თვალის გასწორება, საკუთარი გამორჩეულობის გაცნობიერება და სხვებთან ყოფნაში ჩანთქმის განცხრომა, რელიგიური აღტაცების ნეტარება და ხორციელი თავდაუზოგავობის გიზგიზი, მარტოობის სუსხით გაკაჟება და მეგობრობის სიმხურვალის თბილი წიაღი.

ეს განცდა და გამოცდილება შემოქმედებად აქცია ფრანც შუბერტმა, ანცმა და მელანქოლიურმა, შეუხედავმა და სამეგობრო წრის სულმა და გულმა, საკუთარი საქმის მნიშვნელობაში დარწმუნებულმა და განუწყვეტილად დაეჭვებულმა, — მოკლედ, იმგვარმა, როგორიც იყო ყველა რომანტიკოსი.

და მერმე რა, რომ მუსიკის პროფესორები ამ უკანასკნელ ხანს თითქოს ერთხმად შეთანხმდნენ, რომ შუბერტი უფრო მეტად კლასიკურ სკოლას ეკუთვნის, ვიდრე რომანტიკულს, კლასიკურს ამ სიტყვის ვიწრო, სპეციალური გაგებით, — არაზიარებული, რიგითი, ჩვეულებრივი მსმენელის წარმოდგენაში დღემდე მაინც ცოცხლად რჩება შუბერტი-რომანტიკოსი, რომანტიკული ცხოვრების წესითა და თავისი რომანტიკული სათქმელით.

"არილი", 25 სექტემბერი, 1997

ხელახალი ლონდონური “გლობუსი”

ვისაც როდისმე თვალი გადაუვლია შექსპირის ბიოგრაფიისათვის, შესაძლოა, აქამდე ახსოვდეს, რომ თეატრი, სადაც ამ არც თუ დიდად ნიჭიერი მსახიობის სასცენო მოღვაწეობა მიედინებოდა, ლონდონის თეატრი “გლობუსი” იყო. სახელგანთქმულ პიროვნებებთან დაკავშირებული მემორიალური ადგილები ყოველთვის მოწინებებს და ცნობისმოყვარეობას იწვევდა და, შესაბამისად, ტურისტთა სატყუარას წარმოადგენს. მაგრამ შექსპირი თუ ეგრეთ წოდებულ “გამორჩენილ ადამიანთა” საყოველთაოდ აღიარებულ ნუსხაში მოიხსენიება, არა იმის გამო, რომ იგი “გლობუსის” მსახიობი იყო, არამედ იმიტომ, რომ “მაკბეტისა” და “ჰამლეტის” ავტორადაა მიჩნეული (თუმცა არც ეს ავტორობაა მიჩნეული უთუოდ), ხოლო “მაკბეტის”, “ჰამლეტის”, “მეფე ლირისა” თუ “ოტელოს” პირველი წარმოდგენები სწორედ “გლობუსის” სცენაზე განხორციელდა.

თავდაპირველად თეატრი “გლობუსი” 1599 წელს აიგო ლონდონში, ტემზის სამხრეთ ნაპირას და მისი რეპერტუარი უმთავრესად შექსპირულ ტრაგედიებს ეფუძნებოდა. 1613 წელს თეატრი მთლიანად დაინვა, როცა “ჰენრი მერვის” წარმოდგენაზე თოფის გასროლისას ავარდნილმა ნაპერწკალმა ჯერ თეატრის სახურავი გადაწვა და შემდგომ — მთელი შენობა. თუმცა იმხანად სარესტავრაციო-აღსადგენი სამუშაოები, ჩანს, კარგ ფეხზე იყო დაყენებული და სულ მალე განახლებული “გლობუსი” ისევ ამშვენებ-

და ტემზის სანაპიროს. როგორც ამბობენ, მაყურებელთა გაღერეები იქ სამი ათას კაცს იტევდა. ეს ღირსეული მოქალაქეები კი ტრაგიკული კოლიზიების საყურებლად უმთავრესად მეტად მხიარული განწყობით მიემართებოდნენ, რადგან მათი უმრავლესობა თეატრში ირგვლივ უხვად განლაგებული დუქნებიდან და საროსკიპოებიდან მოემართებოდა. სანდო წყაროები გვაუწყებენ, რომ ამგვარი დანესებულებების ნაკლებობას ლონდონი არც მაშინ და არც შემდეგ არ უჩიოდა, განსაკუთრებით ის უბანი ყოფილა გამორჩეული, სადაც ფერკმრთალ დანიელ უფლისწულს — სცენის პოდიუმზე — პირველად უნდა აეჭლერებინა თავისი პოსტრენესანსული დაეჭვებანი. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისუფალი ხელოვნების არც თუ დიდად მოყვარულმა და არც თუ მაინცადამაინც ლმობიერმა პურიტანებმა 1642 წელს თეატრი საბოლოოდ დახურეს, მხოლოდ ჩვენს ეპოქაში — პოსტმოდერნიზმის ხანაში — მოხერხდა, ოდინდელი "გლობუსის" განახლება და მისი მეტნაკლებად ზუსტი პირის დაახლოებით იმავე ადგილას წამომართვა, სადაც თითქმის ოთხასი წლის წინ იდგა სახელოვანი შექსპირული თეატრი.

ახალი "გლობუსი" კი ამ ცოტა ხნის წინ გახსნა ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ, და მეუღლესთან, პრინც ფილიპთან, ერთად თეატრის პირველ საღამოსაც დაესწრო. ღია ცის ქვეშ სამეფო თუ დიდგვაროვანთა ოჯახების თანდასწრებით წარმოადგინეს ნაწყვეტები შექსპირისეული "ჰენრი მეხუთიდან" და "ზამთრის ზღაპრიდან", — ნაწყვეტები, შესაძლოა, იმიტომაც, რათა საზეიმო ჩვენებაზე მოსულ ზეპურ საზოგადოებას მეტისმეტად არ მოსწყენოდა.

როგორც თეატრის ხელმძღვანელები იპირებიან, წლევეანდელი პირველი სეზონი 21 სექტემბრამდე გასტანს და ელისაბედური დრამის კიდევ ორი პრემიერის ჩვენებას შეძლებენ. მსახობებიც ელისაბედური თეატრის ტრადიციების თანახმად არიან შემოსილნი, — რა თქმა უნდა, იგულისხმება სახელოვანი დედოფალი ელისაბედ პირველი და არა ამჟამინდელი დედოფალი, არანაკლებ სახელოვანი ელისაბედ მეორე, — ეს ტრადიცია კი არა მარტო იმას მოითხოვს, რომ ქალების როლებიც მამაკაცებმა შეასრულონ, არამედ შემსრულებელთა ორ ჯგუფად გაყოფასაც: ტანსაცმლის ფერის — თეთრის ან წითლის — მიხედვით. ახლადგახსნილი თეატრის ახლადდადგმული "ჰენრი მეხუთის" რეჟისორია რიჩარდ ოლივიე, სახელგანთქმული შექსპირული მსახობის, ლორენს ოლივიეს, ვაჟი. მთავარ როლს კი ასრულებს მარკ რაილანსი, რომელიც, ამავე დროს, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა.

კონსერვატორ და გაუჩინარებულ ფასეულობათა მოყვარულ ბრიტანელებს თუ დავუჯერებთ, ძველი, კეთილი ინგლისისაგან დღევანდლამდე ცოტა რამ შემორჩა, ალბათ, ისიც კი აღარა, რაც არც ისე დიდი ხნის წინ დერეკ ჯარმენმა აღბეჭდა თავის ფილმში "ინგლისისაგან დარჩენილი უკანასკნელი რამ", არ შემორჩა არც თეატრი "გლობუსი", მაგრამ ტრადიციების დაცვა თუ არ ხერხდება, ტრადიციების აღდგენა მაინცაა შესაძლებელი. ახლადგახსნილი "გლობუსიც" აღდგენილი ტრადიციის მცდელობაა, ხოლო რამდენად სიცოცხლისუნარიანი, ეს უკვე სხვა საკითხია...

"არილი", 23-29 ოქტომბერი, 1997

ამერიკული უნივერსიტეტები უმცირესობათა დიქტატურის პირობებში

ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში სასწავლო წელი სხვადასხვა დროს იწყება. ასე რომ, ზოგან უკვე შეუდგნენ სწავლას, ზოგან — მხოლოდ ემზადებიან. რასაც მკითხველი ქვემოთ ნაიკითხავს, გამოძახილი და ჩაფიქრებაა შარშანდელი "ხმაურისა და მძვინვარების" გამო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცხელ-ცხელ ფაქტებს საუნივერსიტეტო "ბრძოლის ველიდან" ჯერ ოკეანის აქეთ არ მოუღწევია, მაინც სავარაუდოა, რომ დაჩაგრულმა უმრავლესობამ უკვე საბოლოოდ დაკარგა გამარჯვების ყოველგვარი იმედი.

ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტი გახურებული სწავლისას საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა. გაფიცულებმა თუ მოშიმშილეებმა რამდენიმე აუდიტორია და ბიბლიოთეკა დაიკავეს. იქვე, რა თქმა უნდა, უმალ აღმოჩნდნენ ჟურნალისტები, რომელთაც ეს მშფოთვარე დღეები 1968 წლის სტუდენტური რევოლუციის გაგრძელებად თუ ახალ სულისჩადგმად მიიჩნიეს. მემბოხე აუდიტორიებს მოაშურეს 1968 წლის ვეტერანებმაც, რომლებიც თვალზე ცრემლმომდგარნი შეჰყურებდნენ იატაკზე თუ მერხებზე განოლილ მოჯანყე-მოშიმშილეებს. "მეც აქ მეძინა, — აღელვებას ვერ მალავდა ერთი ხანშიშესული, — მაგრამ ის მითხარით, ბიჭებო, დეკანი ხომ უკვე ჩაკეტეთ თავის კაბინეტში?". თუმცა საქმე ისაა, რომ დღევანდელ სტუდენტთა

მოთხოვნებს არაფერი ჰქონდა საერთო სამოციანი წლების მოძრაობასთან და მათი პროტესტიც სწორედ 90-იანი წლების მულტიკულტურული ამერიკისათვისაა დამახასიათებელი. მეამბოხენი — რამდენიმე ასეული სტუდენტი და მათი მხარდამჭერი პედაგოგები — მოითხოვდნენ ახალი კათედრების შექმნის რადიკალურ დაჩქარებას. საქმე ეხებოდა იმ კათედრებს, სადაც ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობათა პრობლემები უნდა შეესწავლათ. სტუდენტთა უსაზღვრო აღშფოთების საბაბი გახდა ის, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში ამ სასწავლო წელს დაგეგმილი იყო ოთხი თითოსემესტრიანი კურსი დასავლური ცივილიზაციის შესახებ და მხოლოდ ორი კურსი ეთმობოდა არადასავლურ ცივილიზაციებს. "ვკითხულობ ბალზაკს, იმიტომ რომ მაიძულებენ, მე კი აღარ მინდა მოვითმინო ამგვარი ძალადობა", — არ მალავდა თავის მღელვარებას 18 წლის სტუდენტი გოგონა, მეორე დღეს კი მისი ეს სიტყვები, ვინ იცის, რამდენმა მილიონმა კაცმა წაიკითხა "ნიუ-იორკ ტაიმის" ფურცლებზე. "ჯობდა, ბალზაკი რომელიმე სხვა კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლით შეეცვალათ!", — მოითხოვდა ძალადობის ობიექტად ქცეული სტუდენტი გოგონა. "მოგვეცით საშუალება, ჩვენი საკუთარი ავტორები ვიკითხოთ", — ამბობს ნიუ-იორკელი ჭაბუკი, რომლის მშობლები ამერიკაში ლაოსიდან გადმოსახლდნენ. სიმართლე რომ ითქვას, მინორიტული სტუდენტები — აფრო-ამერიკელები, აზიელი თუ ესპანურენოვანი ამერიკელები — უნივერსიტეტის მსმენელთა 36 პროცენტს შეადგენენ. მათ კი არ უნდათ მეღვილის, უოლტ უიტმენის, ფოლკნერის კითხვა, — უნდათ თავიანთი მწერლები შეისწავლონ. "კი, ბატონო, კარგად ვიცი, რომ ეს ქვეყანა დასავ-

ლური კულტურის ტრადიციებს დაეფუძნა, — ბიბლიას, ვაშინგტონსა და ფრანკლინს, — ამბობენ ისინი, — სკოლაში ისიც გვასწავლეს, რომ აქ მოპოვებული მატერიალური კომფორტი და ნარმატიების მიღწევის შესაძლებლობა სწორედ დასავლური ფასეულობების აღიარების შედეგია, მაგრამ ჩვენ გვსურს აქაურ უნივერსიტეტებში ჩვენი კულტურა შევისწავლოთ, — ლაოსური, ნიგერიული, ჰაიტური, მექსიკური თუ ბანგლადეშური".

საბოლოოდ, დროისა და სტრუქტურების მოთხოვნას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ყური ათხოვა და უკვე ნამდვილად დაჩქარებული ტემპებით შეიქმნება ახალი კათედრები, სადაც უმცირესობათა კულტურებსა და მათ პრობლემებს შეისწავლიან. ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, კულტუროლოგიისა და სხვა ამგვართა პროფესორებიც გახარებული არიან, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობათა შესწავლის საქმეში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი, მაგრამ მთლად უკეთესი, თუ თავად ეკუთვნიან რომელიმე უმცირესობას.

იმ დროს, როცა კოლუმბიის უნივერსიტეტის აუდიტორია-ბიბლიოთეკები მემამბოხეებს ჰქონდათ დაკავებული, მასაჩუსეტის უნივერსიტეტმა ამჟღავნა "სამეცნიერო კოდის" ახალი სახელმძღვანელო გამოსცა, რომლის მთავარი პათოსი, როგორც ამერიკული საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპს შეჰფერის, ის გახლავთ, რომ სიტყვიერად არ დაამციროს რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, მიუღებელია, ხაზგასმულ იქნას ადამიანის რასა, კანის ფერი, სარწმუნოება, გონებრივი ან სხეულის მანკი, ეთნიკური წარმოშობა, სქესობრივი ორი-

ენტაცია, სიმსუქნე თუ სიგამხდრე. თითქოს ამასთან საკამათო არავის უნდა ჰქონდეს და ზრდილობის ელემენტარულ ნორმებთან ზიარებული ადამიანისათვის ეს კარგა ხნის წინ გაცნობიერებული აუცილებლობაა. მაგრამ “სამეცყველო კოდი” აქ არ ჩერდება, ამ ახალი წეს-კანონებით მიუღებელი ყოფილა აღინიშნოს სქესი (ესე იგი, ეს ადამიანი ქალია თუ მამაკაცი), ასაკი, ოჯახური მდგომარეობა (დაუქორწინებელი, დაქორწინებული, გათხოვილი, გაუთხოვარი...), მონაწილეობდა თუ არ მონაწილეობდა იგი რომელიმე ომში, რომელი ქვეყნის მოქალაქეა, ვისი შვილი თუ ვისი მშობელია, ფეხმძიმედაა თუ არა და ასე შემდეგ. ასე რომ, ვთქვათ, ამგვარი პურიტანული განცხადება — “უმჯობესია ჯერ გათხოვება და შემდეგ დაფეხმძიმება” — “სამეცყველო კოდის” საშინელი დარღვევაა, რადგან ორჯერ, ორმაგად არღვევს ამ კოდს.

იმ დროს, როცა კოლუმბიის უნივერსიტეტში გაფიცვა-შიმშილობები მიმდინარეობდა, ხოლო მასაჩუსეტის უნივერსიტეტი “სამეცყველო კოდს” ბეჭდავდა, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტმა ანგლისტიკის სტუდენტთათვის გააუქმა კლასიკოსთა და კლასიკურ ნაწარმოებთა შესწავლის აუცილებლობა. თუ ადრე მათთვის სავალდებულო იყო შექსპირისა თუ დიკენსის ცოდნა, ახლა მათ თავად შეუძლიათ ამოირჩიონ სხვა, უფრო კორექტული და არა დამთრგუნველი კურსი — მაგალითად, “კულტურისა და ქცევის ისტორია”, რომელიც, როგორც განცხადებაშია ნათქვამი, “სტუდენტებს სთავაზობს შეისწავლონ სხვადასხვა ხელოვანთა შემოქმედება რასის, ეროვნების, სოციალური კლასის, სქესისა და სქესობრივი ორიენტაციის საფუძველზე”.

ჩოსერი ამ კათედრაზე აღარ ისწავლება, მაგრამ ჩოსერის სახელს შეიძლება გადააწყდეთ იმ საგანში, რომელსაც "სექსუალობის ისტორია და თეორია" ჰქვია. კიდევ კარგი, რომ ამ ბოლოს სავალდებულო წასაკითხი ლიტერატურის ნუსხაში აღმოჩნდა ჯეინ ოსტინი, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სიაში ნაკლებად იყო წარმოდგენილი "დაჩაგრული უმცირესობის" — ქალთა ნაწარმოებები.

ვისკონსინის უნივერსიტეტში სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველაზე მეტი მსმენელი მოიკრიბა კურსმა "ვამპირები ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურაში", ხოლო კურსი "ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის შედევრები" მსურველების გარეშე აღმოჩნდა, რადგან სიტყვა "შედევრი" მოღალატურად ამჟღავნებდა პროფესორის პოზიციას — ჩანდა, რომ მისთვის კრიტიკრიუმი იყო მხატვრული ღირებულებები და არა ავტორის კანის ფერი ან სექსუალური არაკონვენციურობა.

სასწავლო წლის დასაწყისისათვის რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა იელის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც — მისმა ერთ-ერთმა მადლიერმა კურსდამთავრებულმა უნივერსიტეტს შესწირა 20 მილიონი დოლარი დასავლური ცივილიზაციის კვლევა-ძიებისათვის. მანამდე იგი ამ საქმიანობისათვის ერთ მეტად სოლიდურ პროფესორს აფინანსებდა და ახლა სურდა, სწორედ ის გამხდარიყო ამ პროგრამის კოორდინატორი. მაგრამ ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ ღრმადპატივცემულ მილიონერს არა აქვს უფლება ასე კონკრეტულად განსაზღვროს პროგრამის შინაარსი და ურჩია მას, თანხა გამოეყო ლესბოსურ ურთიერთობათა პრობლემატიკის შეს-

ასწავლად. მილიონერმა აღმზრდელ უნივერსიტეტს არაფერი უპასუხა და თანხა უკან წაიღო. იელის უნივერსიტეტს თავისი წარმოდგენები და თავისი ღირსება აქვს, რა ვუყვით, თუ ოცმა მილიონმა, როგორც უნდა ვივარაუდოთ, თავისი გზა სხვაგან ნახა.

ზოგიერთი თავმოებზრებული პროფესორი დღეს უკვე ჩივის, რომ უმცირესობის ის ფსიქოლოგიური ინტელექტუალური ტერორი, რომელიც დღეს ამერიკულ უნივერსიტეტებშია გაბატონებული, სრულიად შეუძლებელს ხდის აკადემიური მუშაობის გაგრძელებას. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა ლექციაზე წარმოთქმული სიტყვა “ზანგი” (“აფროამერიკელის” მაგივრად), “ინდიელი” (“მკვიდრი ამერიკელის” ნაცვლად), “მსუქანი” ან “ყრუ” ბევრს მეტად ძვირად დაუჯდა — ამგვარ პედაგოგებს უნივერსიტეტის დატოვება მოუხდათ.

“მაჩვენეთ პაპუასი პრუსტი და მე მას ნაფიკითხავ”, — როგორც ამბობენ, ერთხელ ამ სიტყვების თქმა სოლ ბელოუს გაუბედავს, და, ალბათ, ისიც იმიტომ, რომ იგი არაა უნივერსიტეტის პროფესორი, მაგრამ ამ სიტყვებს ამერიკელ ინტელექტუალთა შორის დიდი გამომხაურება მოჰყვა და მწერალს დასავლურ კულტურულ ამპარტავნებასა და რასიზმშიც კი დასდეს ბრალი. შემოტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ნობელის პრემიის ლაურეატს თავის მართლება მოუწია, — იგი თავს იმით იცავდა, რომ მას სრულებით არ უგულისხმია, თითქოს პაპუასებს არ შეუძლიათ წარმოშვან საკუთარი პრუსტი, უბრალოდ მას უნდოდა ეთქვა, რომ მათ ის ჯერჯერობით არ წარმოუშვიათ.

დაბოლოს, ერთი ლირიკულ-კულტურული გადახვევა: იმ დღეებში, როცა ამერიკული უნივერსიტეტები

უმცირესობათა დისკრიმინაციის პრობლემებს აგვარებდა, საფრანგეთის კულტურის ინსტიტუტები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია მიმოხილული, ფრანგული კინოს მოტრფიალეებთან ერთად აღნიშნავდა ერთ პატარა იუბილეს — მარსელ კარნეს კლასიკური ფილმის "ლამის კარიბჭის" ორმოცდამეათე წლისთავს. სიმშვენიერითა და პოეზიით გაცისკროვნებული შავ-თეთრი ფირი დღევანდელი კულტურული თუ მულტიკულტურული ბრძოლების აქტივისტთათვის, ალბათ, არამარტო მოძველებული, არამედ რეაქციულიცაა, — ის სრულიად არაფერს ამბობს უმცირესობათა პრობლემების შესახებ, — ფილმი სილამაზისა და რაინდობის, სიყვარულისა და სევდის, ვაჟკაცობისა და დანდობის, ღალატისა და ბედისწერის შესახებ მოგვითხრობს. ის, რა თქმა უნდა, არც აქტუალური და არც პოლიტიკურად კორექტულია, — პოლიტიკურად კორექტულია, მაგალითად, გახმაურებული და უხვად დაჯილდოებული ჰოლივუდური ფილმი "ფილადელფია", რომლის მთავარი გმირებია ორი იურისტი — მათი პროფესია, როგორც ცნობილია, ყველაზე პატივდებულია ამერიკაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ ორივე უმცირესობას ეკუთვნის და თავის უფლებებს იცავს — ერთი ჰომოსექსუალია, მეორე კი — ზანგი. ფილმის გმირები იმდენად სანიმუშონი და პათეტიკურნი არიან, რომ სავსებით აკმაყოფილებენ სოციალისტური რეალიზმის ყველა მოთხოვნას. მხატვრული ღირებულება ამერიკულ ფილმს თითქმის არ გააჩნია, მაგრამ ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, — მთავარია, რომ ის უეჭველად უმცირესობებს უჭერს მხარს.

"არილი", 30 ოქტომბერი, 1997

ტოტალიტარიზმი ცოცხლობს და იბრძვის!

ეს მასალა, რომელიც ცინცხალი ფაქტების საფუძველზე და ცხელ გულზეა დანერგილი, რადიო "თავისუფლების" არხით ამ ერთი წლის წინ, 1996 წლის 17 ოქტომბერს გადაიწა. ყველას მოეხსენება, რომ პოლიტიკური მოვლენები მეტიმეტად მალე ძველდება. იმ ფაქტებმაც, რის შესახებაც ქვემოთაა საუბარი, ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, დაკარგა თავდაპირველი აქტუალობა და სიმწვავე, მაგრამ შეიძლება იგივე ითქვას თავად პრობლემის შესახებაც?

როდესაც შარშან გერმანელ წიგნის ვაჭართა გილდიამ თავისი მეტად პრესტიჟული მშვიდობის პრემია გამოჩენილ გერმანელ პროფესორ-ორიენტალისტს ანემარი შიმელს მიანიჭა, ბევრისათვის ეს გადანყვეტილება საკმაოდ საკამათო აღმოჩნდა, რადგან ყველასათვის ცნობილი იყო, რომ მშვიდობის პრემიის ახალ ლაურეატს ადრე არაერთხელ დაუჭერია მხარი არც თუ მთლად მშვიდობიანი მუსლიმანი მოღვაწეებისათვის. ისლამური მისტიკისა და პოეზიის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი ყოველთვის ისლამის დამცველთა შორის იდგა და განუწყვეტლივ ამტკიცებდა, რომ თავად ისლამს არაფერი აქვს საერთო ექსტრემიზთან. ამ დაცვა-ადვოკატობაში მას ხანდახან ზომიერების გრძნობაც დაჰკარგვია, — მაგალითად, საღმან რუშდის გახმაურებული საქმისას მან მის ამკრძალავთა პოზიცია გაიზიარა,

და ნებისთ თუ უნებლიეთ მათ მხარეზე აღმოჩნდა, რომელთაც არც თუ ურიგო ბრიტანელ მწერალს "სატანური ლექსების" დაწერისათვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს.

ამ რამდენიმე დღის წინ კი ფრაუ შიმელმა ღია წერილით მიმართა ეგვიპტის პრეზიდენტს ხოსნი მუბარაქს, სადაც აფრთხილებს მას, გაითვალისწინოს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ეგვიპტისათვის იქაური სასამართლოს მიერ ქაირელი პროფესორის, აბუ ზაიდის, გასამართლებას, რის გამოც მსჯავრდადებული მეცნიერი დღეს უხიფათო ნიდერლანდებს აფარებს თავს.

ეგვიპტე დღევანდელ პოლიტიკურ პასიანსში ღიბერალურ ქვეყნად არის მიჩნეული, და სხვა ისლამურ ქვეყნებს თუ შევადარებთ, ეს შეფასება მთლად უსაფუძვლოდ არ მოგვეჩვენება, რადგან იქ ჯერჯერობით არც პლაჟებია აკრძალული, როგორც, ვთქვათ, ირანში და არც ქალებს უშლიან შინიდან მარტო გამოსვლას და უნივერსიტეტში სწავლას, როგორც, მაგალითად, დღევანდელ ავღანეთში. თუმცა, სანიმუშოდ შეგვიძლია გავიხსენოთ, რა განაცხადა ამას წინათ ეგვიპტის კულტურის მინისტრმა: "ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური აკრძალვები არ არსებობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ და უკონტროლოდ არ ვტოვებთ არაფერს, რაც რელიგიურ და სექსუალურ ცხოვრებას ეხება". სხვათა შორის, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კარგადაა ცნობილი, რომ ევროპული თუ ამერიკული ფილმები ეგვიპტის ეკრანებზე იმგვარი უმანკო სახით გადის, რომ, როგორც ამბობენ, იქაურ კონტროლიორებთან შედარებით საბჭოთა ხანაური ცენზურაც კი ყო-

ვლად ფერმკრთალად გამოიყურება. რაც შეეხება რელიგიურ კონტროლს, — რომ აღარაფერი ვთქვათ ძირძველი ეგვიპტელების ანუ ქრისტიანი კოპტების დაუსრულებელი დევნა-შევიწროების შესახებ, — ისევ პროფესორ ზაიდის მაგალითს დავუბრუნდეთ, რომელიც ქაიროს ინტელექტუალურ წრეებში სოლიდურ ლიტერატურისმცოდნედ და ყურანის კარგ სპეციალისტად იყო ცნობილი. მაგრამ ისლამურ გარემოში ყურანის აკადემიურ შესწავლას, ბუნებრივია, არავინ მიესალმება და პროფესორი ზაიდიც ვერ ასცდა ისლამის მოძღვართა სახიფათო ყურადღებას — რელიგიური ორგანიზაციები მას მტკიცედ გადაელობნენ წინ და საშუალება არ მისცეს, ქაიროს უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორის ადგილი დაეკავებინა. მიზეზი კი მისი ერეტიკოსობა ანუ განდგომილობა იყო, რაც ყურანის თავისუფალ კვლევაში გამოიხატებოდა. მალე მის წინააღმდეგ მტრული კამპანია გააჩაღა სამთავრობო გაზეთებმაც. ამასთანავე, დასასრული არ უჩანდა მუქარის წერილებს, რომლებშიც მას უეჭველ სასჯელს ჰპირდებოდნენ, რაც ფუნდამენტალისტთა ენაზე ერთადერთ რასმენიშნავს — სიკვდილით დასჯას.

საკმაოდ უჩვეულო აღმოჩნდა ისლამის დამცველთა შემდეგი ნაბიჯი, — მათ გადანყვიტეს, უფლება არ მისცენ პროფესორ ზაიდის მეუღლეს, რომანული ფილოლოგიის პროფესორს, იუნის იბთიქალს, მეუღლესთან გაემგზავროს. ამისათვის კი მათ სასამართლოსაგან იმის დადასტურება მოითხოვეს, რომ ისინი მეუღლეები არ არიან, რამდენადაც ისლამური კანონმდებლობა არ ცნობს ერეტიკოსის ქორწინებას. ეგვიპტის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყ-

ოფილა სამღვდელელების მოთხოვნა და შარიათის საფუძველზე ძალადაკარგულად ცნო ქორწინება — კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, ქმრის არაორთოდოქსული შეხედულებების გამო.

ისლამურ წრეებს დღეს ეგვიპტეში დიდი გავლენა აქვთ, მათი პოზიციების გამყარებას საკმაოდ უწყობდა ხელს პრეზიდენტი ანვარ სადათი (რომელიც, ამის მიუხედავად, ჯიჰადელი ტერორისტის მსხვერპლი გახდა) და ისიც იმიტომ, რომ მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ცდილობდა ყველაფერი იმის სანაღმდეგოდ გაეკეთებინა, რასაც მისი წინამორბედი პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი და ნიკიტა ხრუშჩოვის მეგობარი — გამალ აბდელ ნასერი ახორციელებდა, ხოლო ნასერის პრეზიდენტობა ის ხანმოკლე პერიოდი იყო ეგვიპტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა შესამჩნევად შესუსტდა აგრესიულ ისლამისტთა პოზიციები.

ახლა ხან, როცა მსოფლიო პრესის ფურცლებზე საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი მეგობრის — ბოძზე ჩამომხრჩვალ ავღანეთის ყოფილი კომუნისტი პრეზიდენტის, ნაჯიბულას, ფოტო დაიბეჭდა, ყველა ლიბერალსა და ტოლერანტს, დემოკრატსა და ანტიკომუნისტს კიდევ ერთხელ მოუწია მტანჯველ არჩევანზე ჩაფიქრება, თუ ვის უნდა დაუჭიროს მხარი წესიერმა ადამიანმა, როცა კომუნისტების თუ პროკომუნისტების პირისპირ ნაციონალ-სოციალისტი, ნაციონალ-ტერორისტი ან ისლამელი ფუნდამენტალისტი აღმოჩნდება. როცა ორი ყაჩაღი ერთმანეთს ანგარიშს უსწორებს, გონიერი ადამიანი გვერდზე გადგომას ამჯობინებს, მაგრამ ევროპელ ინტელექტუალს ხომ ტრადიციად მოსდევს, ყველა

ცემა-ტყეპაში უფრო მეტად დაჩაგრული აღმოაჩინოს და სწორედ მას ამოუდგეს გვერდით.

იმ დღეებში, როცა ტალიბანის რაზმებმა ქაბულში შეაბიჯეს, მასმედიაში, ველურად დასჯილი ნაჯიბულას ფოტოების გარდა, ავღანეთის ტანჯული დედაქალაქის არაერთი სხვა კადრიც შემოგვთავაზა, — ძმობის, ერთობისა და თავისუფლების იდეალებზე აღზრდილ ევროპელთათვის უეჭველად თავზარდამცემი იყო ახალ მმართველთა მკაცრი იძულების შედეგად ჩადრით თავით ფეხებამდე შებურული ქალების თვალის მოკვრა, — ყოველ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩადრის ქვეშ უეჭველად ქალები არიან, რადგან ავღანეთის ხელისუფლება მამაკაცებს ისლამური კანონმდებლობის, შარიათის, საფუძველზე მხოლოდ წვერის ტარებას ავალდებულებს, თან ამ წვერის მოშვების ვადა ავღანეთის ამ ახალმა მთავრობამ თავდაპირველი თხუთმეტი დღიდან მოწყალედ გაზარდა ორმოცდახუთ დღემდე.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ნაციონალ-სოციალიზმთან ერთიანი ბრძოლისას კომუნისტებმა ყველაზე მეტი ქულა და, სამწუხაროდ, სიმპათია და მხარდაჭერა მოიპოვეს. ახლაც, ქაბულის დღევანდელი სურათების ნახვისას ადამიანს უთუოდ საბჭოთა ოკუპაციის პერიოდის ავღანელი მოღვაწეები გაახსენდება და, თუკი თუნდაც ერთხელ უსაუბრია ბაბრაქ ქარმალისა და ნაჯიბულას თანამებრძოლ, ცივილიზებულ და თავაზიან გენერლებთან, გუბერნატორებთან თუ ყურნალისტებთან, — სხვათა შორის, ყველა ისინი, რუსულის გარდა, თავისუფლად ლაპარაკობენ არაერთ უცხოურ ენაზე, — კომუნისტ და ანტიკომუნისტ ავღანელს შორის არჩევანის გაკეთე-

ბისას მეტად გაუჭირდება ერთმნიშვნელოვნად დაუჭიროს მხარი ამ უკანასკნელს.

გულდასაწყვეტია, რომ ახლა, როცა თავგახურებული სტალინისტები და მაოისტები, სანდინისტები თუ პოლპოტისტები თვალში ნაკლებად ეჩხირებიან ზნეკეთილ დასავლელ ობივატელს, დანარჩენი კომუნისტები ჭკვიანურად ანუ ეშმაკურად იქცევიან: მონებით დადიან ეკლესიაში თუ მისგითაში; ანთებენ სანთლებს და მუხლმოყრილი ისმენენ ყურანს; რუსი კომუნისტების მეთაური ზიუგანოვი, სანამ ლენინის ძეგლს ყვავილებით შეამკობდეს, წმ. სერაფიმე საროველის ნეშტს მოილოცავს; ფიდელ კასტროს სულიერი ძმა, ნიკარაგუელი დანიელ ორტეგა — უკვე თეთრ პერანგში — ხელახლა საპრეზიდენტოდ ემზადება და ვიცე-პრეზიდენტად ცნობილ მილიონერსა და მინათმფლობელს ასახელებს, რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინ რევოლუციურმა მთავრობამ ქონების კონფისკაციით დასდო პატივი; კამბოჯელი ჯალათის, პოლ პოტის, მარჯვენა ხელი იენგ სარი გვერდით უდგას მეფე სიანუკს, რომელსაც ამ ოციოდე წლის წინ თითქმის ყველა შვილი და შვილიშვილი გაუჟლიტა.

მაგრამ ფიზიკის კანონის თანახმად, სივრცე ვერ იტანს სიცარიელეს, — საუბედუროდ, ჩანს, დედამიწაზე ყოველთვის უნდა იყოს ვიღაც, ვინც იტყვის, რომ, როცა მტერი არ გნებდება, მას ანადგურებენ. და აი, კვირა ისე არ გაივლის, ისლამური სამყაროდან რამე შემზარავმა ფაქტმა არ გაიელვოს ყოველდღიური გაზეთების ფურცლებსა თუ ტელეეკრანებზე: ერთ დღეს იმას გაიგონებ, როგორ გამოსჭრეს ყელი ალჟირში კათოლიკე ბერებს, მეორე დღეს ტელევიზი-

იით ევროპელი ტურისტების აფეთქებულ ავტობუსს მოჰკრავ თვალს პირამიდების მახლობლად, რამდენიმე დღის შემდეგ მომცრო შენიშვნას ნაიკითხავ, რომ დასავლეთის დიდ მეგობრად ცნობილ არაბულ ქვეყანაში რამდენიმე კაცი ქრისტიანობის მიღებისათვის სიკვდილით დასაჯეს, მერმე უცებ, ინტელექტუალთა რომელიმე საერთაშორისო თავყრილობაზე შვედი მცველებით გარშემორტყმულ ახალგაზრდა ბანგლადეშელ მწერალ ქალს გადაეყრები, რომელიც, მართალია, მეტად უღიმღამო პროზაიკოსია, მაგრამ რომელსაც რელიგიური თავისუფლადმოაზროვნებისათვის თავის სამშობლოში სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს.

და ისევ არ გშორდება ფიქრი, მაინც რომელი ყაჩაღია უკეთესი — ჰალსტუხიანი თუ ჩალმიანი, მერმე ხელს ჩაიქნევ და იტყვი, რომ არც ერთი უქნია ღმერთს და მათზე ფიქრიც არ ღირს... მაგრამ დაუფიქრებლობაც რომ არ ხერხდება!..

"არილი", 13-19 ნოემბერი, 1997

ჯორჯ სანტაიანა

1952 წლის სექტემბრის მიწურულს, რომის ერთ-ერთ კათოლიკურ სასაფლაოზე, იმ კუთხეში, სადაც ესპანელებს მარხავენ, მიწას მიაბარეს ჯორჯ სანტაიანა, — ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეოცე საუკუნის ფილოსოფიის, ესთეტიკის, ლიტერატურისა თუ ინგლისური ენის განვითარებაში.

1863 წლის 16 დეკემბერს, მადრიდში, ძირძველ ესპანურ ოჯახში დაიბადა ხორხე აუგუსტინ ნიკოლას რუიზ დე სანტაიანა, რომელიც სიცოცხლის — საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის — ბოლომდე ესპანეთის მოქალაქედ რჩებოდა, ხოლო მშობლიური ენად ესპანურს მიიჩნევდა, თუმცა ფილოსოფიური აზრის ყოველი მოყვარულისათვის იგი ცნობილია როგორც მეოცე საუკუნის ამერიკული ფილოსოფიის კლასიკოსი და ინგლისური ენის დიდოსტატი ჯორჯ სანტაიანა. რაც შეეხება ინგლისურს, მისი შესწავლა ყმანვილს მაშინ დაუწყია, როცა ცხოვრების პირველი ათწლეული უკან ჰქონდა მოტოვებული და დედამ ბოსტონში ჩაიყვანა. ახალ კონტინენტზე ცხოვრებამ 40 წელი გასტანა. სანყისი ცოდნა-განათლებაც მომავალმა ფილოსოფოსმა ამერიკაში მიიღო, თუმცა ფილოსოფიაში გასაწვრთნელად და გამოსაწვრთობად მან ევროპას, ბერლინის უნივერსიტეტს მოაშურა. შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ, იგი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება და უილიამ ჯეიმსსა

და ჯოსაია როისთან ერთად ამერიკული ფილოსოფიის ბრწყინვალე ტრიუმვირატს უყრის საფუძველს.

მიუხედავად ამისა, მისი სწავვა, ლტოლვა ევროპისაკენ დაუძლეველია — ყოველ ზაფხულს იგი ჩადის მამასთან ესპანეთში, ხშირად სტუმრობს ინგლისში, სადაც მას იზიდავს არა მარტო კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ბერტრან რასელის მისთვის სრულიად უცხო, მაგრამ იმ დროს საკმაოდ გახმაურებული ფილოსოფიური მოძღვრება, არამედ იმავე რასელის თვალწარმტაცი და სიცოცხლით აღსავსე უფროსი ძმაც, — სანტაიანას გვიანდელი (და ერთადერთი) რომანის, “უკანასკნელი პურიტანის”, მთავარი გმირის პროტოტიპი.

და ისევ გრძელდება გზების გადასერვა ოკეანის გაღმა-გამოღმა. ყოველი შვებულებისას, ყოველი შესაძლო თუ შეუძლებელი შემთხვევისას — ისევ ძველი კონტინენტისაკენ: ინგლისში, საფრანგეთში, რა თქმა უნდა და, უპირველეს ყოვლისა, იტალიაში და, ამავე დროს, იქვე, ევროპის მახლობლად, — აღმოსავლეთში.

მაგრამ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება: 1912 წელს, ევროპაში ყოფნისას, ამ სოფელს ტოვებს სანტაიანას დედა, მისთვის, — ალბათ, როგორც ყველა სამხრეთელისათვის, — მეტად ძვირფასი და მეტად ახლობელი ადამიანი. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი შეერთებულ შტატებში წერილს აგზავნის თხოვნით, გაათავისუფლონ იგი პედაგოგიური მოვალეობისაგან. ამის შემდეგ მას აღარასოდეს დაუდგამს ფეხი ამერიკის მიწაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჰარვარდის და სხვა ამერიკული უნივერსიტეტებიც მას განუწყვეტილად იწვევდნენ — სთავაზობდნენ მეტად მომხიბლავ და ხელსაყრელ კონტრაქტებს.

სანტაიანას გადადგომა ბევრი მისი კოლეგისათვის სრული მოულოდნელობა იყო — აკადემიურ კარიერასა და ამერიკელი პროფესორის უზრუნველ ყოფაზე უარი თქვა აღიარებულმა, გავლენიანმა, ალტაცებითა და თაყვანისმცემლებით გარემოცულმა მოაზროვნემ, სტუდენტების საყვარელმა პედაგოგმა, რომელიც მათთან იმგვარი უშუალო ურთიერთობის დამყარებას ახერხებდა, რამაც მას წლების განმავლობაში მსმენელების უპირობო და გაუცვეთელი სიყვარული მოუტანა. მაგრამ ვინც მას ახლოს იცნობდა, კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორ ეძნელებოდა ამ ელევანტურ მამაკაცს ჰალსტუხისა და კოსტუმის ტარება, როგორ სწყუროდა მას — სულითა და შთაგონებით პოეტს — შემოქმედებაში ჩანთქმა, როგორ უცხოდ და მიუსაფრად გრძნობდა იგი თავს — ნამდვილი ევროპელი — შორეულ ამერიკაში.

სანტაიანას ერთგულება რომანული ფასეულობების მიმართ მის აზროვნებას მოელვარე, ხასხასა, მძაფრ განზომილებას სძენს. განსაკუთრებული გულწრფელობისას იგი ამბობდა, რომ მისი მთავარი მიზანი იყო, ინგლისურად ეთქვა იმდენი არაინგლისური რამ, რამდენიც კი შესაძლებელი იქნებოდა. ჰარვარდული პერიოდიდან კი რჩება მისი ლექსების კრებული, ესთეტიკური ტრაქტატი "სილამაზის გრძნობა", ხუთტომიანი "გონების ცხოვრება", მრავალი გამოკვლევა, სტატია, ესეი.

პირველი მსოფლიო ომისას ფილოსოფოსი ინგლისში აღმოჩნდება, სადაც წერს შრომას "გერმანული ფილოსოფიის ეგოიზმი", ხოლო ომის დამთავრებისთანავე იგი იღებს ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვევას, შეუდგეს ლექციების კითხვას Corpus Christi-ს

კოლეჯში, მაგრამ სანტაიანა ამჯერადაც შეუვალა და ისევ უარს აცხადებს დაუბრუნდეს პროფესორის კათედრას.

1924 წელს ჯორჯ სანტაიანა ევროპის სულიერ დედაქალაქში, რომში, დასახლდება, — ამჯერად უკვე საბოლოოდ. სანტაიანა იქ თავს შესანიშნავად გრძნობს, და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მის აზროვნებაში საკმაოდ ფერმკრთალდება მეტაფიზიკური და რელიგიური მოტივები, მაინც არ გახუნებულა მისი სიჭაბუკისდროინდელი მოწინება რომის კათოლიკე ეკლესიის, და, საერთოდ, ყოველგვარი კათოლიკური და კლასიკური ტრადიციების მიმართ. ზედიზედ გამოდის სანტაიანას სამი ახალი წიგნი, რომელთაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს მისი ფილოსოფიური, ლიტერატურული და ადამიანური რეპუტაცია.

თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში სანტაიანა მასობრივი ცნობიერების, მასობრივი საზოგადოებისა და მასობრივი კულტურის თვალმოუხუჭავ მოქიშპედ წარმოჩინდება. ათწლეულების განმავლობაში მას აძრწუნებდა არა მარტო ინდუსტრიალიზაციის ამერიკანიზაციის სულიერად გამანადგურებელი გავლენა, არა მარტო მეოცე საუკუნის ადამიანის ინტელექტუალური და კულტურული სილატაკე, რელიგიური და ესთეტიკური გრძნობების სრული ჩახშობა, არამედ, აგრეთვე, საზოგადოების მიერ ინდივიდუუმთა სასტიკი დათრგუნვა და ნამლექავ სოციალურ მასათა არნახული აქტივიზაცია. ის, რასაც სხვები “მასების ამბოხებას” უწოდებდნენ, სანტაიანასათვის “ცხოველურობის აჯანყება” და “ბარბაროსობის გამარჯვება” იყო.

იგი შეუპოვრად ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, ვისი დარწმუნებაც კიდევ შეიძლებოდა, რომ ერების თუ პიროვნების განვითარება მატერიალური წარმატებით კი არ განისაზღვრება, არამედ ენერჯის იმ რაოდენობით, რომელიც ცხოვრების გასამშვენებლად და წარმოსახვის კულტურის გასავითარებლად დაიხარჯა. თავის წიგნში "სამი ფილოსოფიური პოეტი: ლუკრეციუსი, დანტე, გოეთე" სანტაიანა ამტკიცებდა, რომ ადამიანური ქმედების უმაღლესი ფორმებია რელიგია, პოეზია და ხელოვნება, ხოლო მეცნიერება სამყაროს ოდენ ყალბ სურათს აწვდის ადამიანს.

ერთი უდღეური ფილოსოფიურ-ეკონომიკური მოძღვრების შემქმნელისაგან განსხვავებით, სანტაიანა ამბობდა, რომ ფილოსოფიის მიზანი არც სამყაროს ახსნა და არც სამყაროს გარდაქმნაა, "ყოფიერების სამეფოს" ავტორის აზრით, აზროვნების მიზანია, გამოიმუშაოს ზნეობრივი პოზიცია სამყაროს მიმართ. მას მიაჩნდა, რომ სამყაროსადმი ყველაზე მაღალინტელექტუალური დამოკიდებულება ესთეტიკური დამოკიდებულებაა. იგი ამბობდა, რომ "ფილოსოფია გონებისა და გულის დისციპლინაა, ესაა ეკლესიის კედლებიდან გამოსული რელიგია".

როგორც ყველა დიდი და ჭეშმარიტი ფილოსოფოსის შემთხვევაში, სანტაიანას ფილოსოფიაც მის საკუთარ ცხოვრებისეულ პოზიციას ასახავდა. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მან, უკვე საკმაოდ ხანშიშესულმა ადამიანმა, უშიშრად მიიღო მეორე მსოფლიო ომის მტკივნეული დარტყმები. იგი ამ დროს ერთ რომაულ კათოლიკურ თავშესაფარში დასახლდა, სადაც თავისი სამტომიანი მოგონებების წერას

შეუდგა, — “პიროვნებები და ადგილები”, რომლის პირველი ორი ტომი ომის განმავლობაშივე დაიბეჭდა.

როდესაც მოკავშირეებმა 1944 წლის ივნისში რომი გაათავისუფლეს, სტუმრების წყებას დასასრული არ უჩანდა — სანტაიანას ამერიკელი თაყვანისმცემლები მოდიოდნენ 80 წლის მოძღვართან, მასწავლებელთან, ფილოსოფოსთან, რათა მისთვის თავიანთი სიყვარული და მოწინება გამოეხატათ.

მას შემდეგ, რაც ომის დამთავრების მომდევნო წელს გამოიცა “ქრისტეს იდეა სახარებებში ანუ ღმერთი ადამიანში”, ღრმად მოხუცი მოაზროვნე ახალი წიგნის წერას იწყებს, რომელიც მის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაიბეჭდა — “ბატონობა და ძალაუფლება”, — ძლიერი პლატონური სულისკვეთებით განმსჭვალული ნაშრომი, რომელშიც ფაქიზად და ღრმადაა გაანალიზებული ადამიანის ადგილი საზოგადოებაში.

შემდეგ კი, 88 წლის სანტაიანა, თითქმის ყრუ და თითქმის ბრმა, მოუქანცველი მუყაითობით უზის სანერ მაგიდას, რათა ფლორენციის მფლობელის, ლორენცო დე მედიჩის, *Lorenzo il Magnifico*-ს სატრფიალო პოემა “L’ambra” — “ქარვა” იტალიურიდან ინგლისურად თარგმნოს. სწორედ ამ დროს — 1952 წლის 26 სექტემბერს მას ეწვევა უკანასკნელი სენი, უკანასკნელი ტკივილი, უკანასკნელი, მაგრამ გარდაუვალი სტუმარი.

“არილი”, 27 ნოემბერი, 1997

1966 წელი: რუსთაველის იუბილე

1966 წლის შემოდგომაზე, საქართველოში შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილე ჩატარდა, რომელმაც უჩვეულოდ ფართო მასშტაბები და საერთაშორისო ჟღერადობა შეიძინა. ქვემოთ შემოთავაზებული მასალა შარშან, ამ მოვლენის 30 წლისთავთან დაკავშირებითაა დაწერილი, მაგრამ იუბილის საზოგადოებრივი მნიშვნელობის, მისი წინამორბედი და თანამდევი მოვლენების თუნდაც ზერელე და ზედაპირული ანალიზი ერთი წლის დაგვიანებითაც მეტისმეტად ზედმეტი არ ჩანს.

1966 წლის შემოდგომაზე თბილისი დიდძალ საპატიო სტუმარს ელოდა. ქალაქს ამდენი სახელოვანი უცხოელი ერთად, ალბათ, არასოდეს ენახა. ბუნებრივია, როგორც ჟურნალისტებს შეჰფერით, ყოველი მათგანი მსოფლიოს ყველაზე ცნობილ და ყველაზე ავტორიტეტულ მწერლებად და სწავლულებად ცხადდებოდა. მაგრამ ეს მარტო ჟურნალისტურ-სნობური ცოდვა არ იყო, ამას მოითხოვდა მოსკოვიდან მიღებული თუ უთქმელადაც აშკარა დირექტივები. კომუნისტური პროპაგანდისათვის უპირველეს საზომს პოლიტიკური ორიენტაცია წარმოადგენდა და ამიტომაც მონვეულთა უმრავლესობა ეგრეთ წოდებულ “პროგრესულ მოღვაწეებს” განეკუთვნებოდა, რომელთა პროგრესულობა ან იმაში გამოიხატებოდა, რომ თავად იყვნენ ამა თუ იმ მემარცხენე-კომუნისტური პარტიის წევრი ან მგზნებარედ უჭერდნენ

მხარს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ კურსს, — მაგალითად, ინგლისელი ჯეიმს ოლდრიჯი, რომელიც საბჭოთა ადამიანისათვის ათწლეულების მანძილზე მსოფლიო ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი იყო, თუმცა მისი სახელი საბჭოთა საზღვრებს გადაღმა არავის გაეგონა.

თან სიტუაცია უშუალოდ საზეიმო დღეების წინ მეტისმეტად გამწვავდა: ცოტა ხნით ადრე მთელს მსოფლიოში მოულოდნელად ფართო გამოხმაურება ხვდა წილად მოსკოველი მწერლების, ანდრეი სინი-ავსკისა და იული დანიელის, სასამართლო პროცესს, — ბრალდებულთა ერთადერთი დანაშაული მოთხოვნების წერა და საზღვარგარეთ მათი დაბეჭდვა იყო, რის გამოც საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი და ცეკას წევრი მიხაილ შოლოხოვი კომუნისტური პარტიის ყრილობაზე მათ სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. პოსტსტალინურ საბჭოთა კავშირში ეს პირველი გახმაურებული პოლიტიკური პროცესი იყო და პირველი — ბრეჟნევეული ეპოქის აბსურდული და სასტიკი გასამართლებების მრავალრიცხოვან რიგში. დასავლელი ინტელექტუალები ამ სასამართლოს მეტად მკვახედ შეხვდნენ და პროტესტებს დასასრული არ უჩანდა, ზოგიერთმა მათგანმა კი პროტესტის ერთ-ერთ დემონსტრაციულ ფორმად რუსთაველის იუბილის ბოიკოტირება მიიჩნია. ამ ბოიკოტს, საქართველოსათვის სასიხარულოდ, ფართო მხარდაჭერა არ მოჰყოლია, შესაძლოა, იმიტომაც, რომ საბჭოთა საელჩოებმა და კომუნისტური რეჟიმების ფასიანმა თუ უფასო ადვოკატებმა დასავლელი ინტელექტუალები დაარწმუნეს, რომ ახალი საბჭოთა ლიდერი — ლეონიდ ბრეჟნევი არავითარ

საფრთხეს არ უქმნიდა თავისუფლებისა და მშვიდობის იდეალებს, ხოლო შემოდგომის საქართველოს მონახულება ურიგო და უნაყოფო საქმე არ იყო.

თბილისში კი ბრეჟნევის მეგობარი, საქართველოს კომუნისტი გამგებელი ვასილ მჟავანაძე საერთაშორისო ზეიმისათვის მთელი მონდომებით ემზადებოდა. ამ ყოფილ გენერალს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა რუსთაველის შემოქმედებაზეც, ქართულ კულტურაზეც და, საერთოდ, ძნელია დაბრალდეს, რომ ქართულ ენას მაინცადამაინც სრულყოფილად ფლობდა, მაგრამ მასზე გავლენის მოხდენაც არ იყო ძნელი და მას ისიც კარგად მოეხსენებოდა, თუ რა სერიოზული საქმის მოვლა ჰქონდა მინდობილი.

ის, რომ რუსთაველის იუბილის ჩატარება-არჩატარების საკითხი მოსკოვისა და პოლიტბიუროს დონეზე წყდებოდა, საბჭოთა ცხოვრებისათვის ბუნებრივი უეჭველობა იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის ისტორიაში პოლიტბიურომ უკვე მეორედ გამოიჩინა ყურადღება "ვეფხისტყაონის" ავტორის მიმართ. თუმცა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სისხლიან და შემზარავ 1937 წელს რუსთაველის პირველი იუბილე "ხალხთა დიდი ბელადის" უშუალო განკარგულებით გაიმართა, რასაც მანამდე წინ უსწრებდა მისივე ინიციატივით თავად რუსთაველის და, საერთოდ, ქართული კლასიკური მწერლობის რეაბილიტაცია.

ცნობილია, რომ 1934 წელს სტალინმა გადაწყვიტა, მწერლობის სამინისტრო ანუ საბჭოთა მწერლების კავშირი შეექმნა. ეს კი, ჩანაფიქრის თანახმად, განხორციელდებოდა ყრილობაზე, სადაც სხვადასხვა რესპუბლიკის იქ გამოძახებულ წარმო-

მადგენლებს მოხსენებები უნდა წაეკითხათ ამა თუ იმ ეროვნული ლიტერატურის განვითარების შესახებ. ყრილობაზე ქართული მწერლობის წარმოჩენა მალაქია ტოროშელიძეს დაევალა, — რევოლუციონერს, "იმელის" თბილისის ფილიალის დირექტორსა და, შეთავსებით, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს. ცნობილია, რომ სტალინი, როგორც კლასიკურ დიქტატორს შეჰფერის, თავად აკონტროლებდა ყველასა და ყველაფერს, — მაგალითად, ყველა ფილმს, სპექტაკლსა და რომანს. იმჯერად მან მოინდომა, წინასწარ გასცნობოდა ყრილობაზე გამომსვლელთა მოხსენებებს, მათ შორის მალაქია ტოროშელიძის ტექსტსაც, სადაც ქართული მწერლობის აღმოცენება ეგნატე ნინოშვილის სახელს უკავშირდებოდა. "აყვავდი, ტურფა ქვეყანას" ავტორმა კონცეფცია დაუნუნა ყოფილ თანამებრძოლსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს, — რომელიც, სხვათა შორის, სამიოდ წლის შემდეგ თავის სხვა მრავალ თანამებრძოლთან ერთად გილიოტინაზე გაისტუმრა. სტალინმა შეახსენა ყოფილ რევოლუციონერს, რომ ქართული მწერლობა ეგნატე ნინოშვილზე ცოტა უფრო ადრე მაინც იწყება. დანუნებული მოხსენების სანაცვლოდ, აუცილებელი გახდა სასწრაფოდ მომზადებულიყო ახალი. ბელადის ამ სურვილის შესასრულებლად თბილისში საუკეთესო ლიტერატურული ძალები დარაზმეს.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც პავლე ინგოროყვასა და გერონტი ქიქოძის დაწერილი ტექსტი ტოროშელიძემ საბჭოთა მწერალთა პირველ ყრილობაზე გაახმოვანა, მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზის ერთ-ერთ სვეტზე რუსთაველ-

ის პორტრეტი ჩამოკიდეს, ამ ღირშესანიშნავ ფაქტს კი ლექსი უძღვნა ყრილობის ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა დელეგატმა, ირაკლი აბაშიძემ. ისტორია ერთ ადგილას არ დგას — სამი წლის შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში რუსთაველის 750 წლოვანი იუბილე აღინიშნა, იმავე წელს მალაქია ტოროშელიძე ხალხის მტრად და მავნებლად გამოცხადდა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ კი ირაკლი აბაშიძე რუსთაველის მეორე იუბილის მომზადებას ჩაუდგა სათავეში. მართალია, 750-ისა და 29-ის ჯამი ნამდვილად არ იძლევა 800-ს, მაგრამ რაკილა იუბილის ჩატარების შესაძლებლობა შეიქმნა, ტაქტიკიდან იქნა მიჩნეული, რომ წინა ზეიმი რუსთაველის დაბადების თარიღს კი არ აღნიშნავდა, არამედ "ვეფხისტყაოსნის" დაწერას. სხვათა შორის, ამ რვაასწლოვანი იუბილისათვის პავლე ინგოროყვამ საგანგებო მონოგრაფია მოამზადა რუსთაველის შესახებ, რომელიც საიუბილეო კომიტეტმა სრულიად დაინუნა და უარი თქვა მის კანონიზაციაზე, მაგრამ იმ მონოგრაფიას ყდაზე რუსთაველის დაბადების თარიღად 1166 წელი ეწერა, რის გამოც "რუსთველიანას" ავტორს სიკვდილამდე ეამაყებოდა, რომ რუსთაველის მეორე იუბილე სწორედ მისი დათარიღების მიხედვით აღინიშნა.

თბილისი კი დიდი საერთაშორისო ზეიმისათვის ემზადებოდა: სახეს იცვლიდა რუსთაველის პროსპექტი და სანაპირო, ავტობუსის გაჩერებანი და მოაჯირები, აქა თუ იქ გაკრთებოდა კლასიკური ქართული სტილის ნიშნები, ქუჩებსა და კედლებზე კომუნისტური ლოზუნგებისა და პლაკატების გვერდით ჩნდებოდა რუსთაველის სტრიქონები, საგამოფენო დარბაზები თუ ჟურნალ-გაზეთების ფურცლები ყველაზე მეტ

ყურადღებას რუსთაველსა და “ვეფხისტყაოსანს”, მეთორმეტე საუკუნის ყოფასა და კულტურას უთმობდნენ. რაკილა საქართველოში ყოველთვის უყვარდათ გაზეთის კითხვა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქვეყანაში კაცი არ დარჩენილა, რომელსაც იმ ერთი წლის განმავლობაში, — 1966 წელს, თუნდაც რამე ახალი ან მისთვის უცნობი არ გაეგო რუსთაველის შესახებ.

ეს მასობრივი ინტერესი მთელ საქართველოში რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, — მაშინ, როცა იერუსალემის ჯვარის მონასტერში რუსთაველის ფრესკა აღმოჩნდა, ან სიმართლე რომ ითქვას, ფრესკასთან დაკავშირებულმა ადამიანებმა სწორედ ფრესკის აღმოჩენით გამოწვეული ენთუზიაზმი გადაზარდეს რუსთაველის იუბილეში.

საიუბილეო დღეებიც ჩამოდგა. სტუმრებს, საზეიმო სხდომებსა და კონფერენციებს დასასრული არ უჩანდა, — რა თქმა უნდა, არც კახურ ღვინოსა და იმერულ ხაჭაპურებს. სტუმართა უდიდეს უმრავლესობას არასოდეს წაეკითხა “ვეფხისტყაოსანი”, მაგრამ ცდილობდნენ, თავი არ შეერცხვინათ და მეტად მჭექარე სიტყვებით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას “გენიალური ქართველი პოეტის მიმართ, რომელმაც ბნელ შუა საუკუნეებში ხალხთა მეგობრობის იდეას უმღერა”, — ეს სისულელე და სხვა ამგვარი კლიშეები მათ საიუბილეო ბუკლეტებსა და ბროშურებში ჰქონდათ ამოკითხული.

არაა გამორიცხული, რომ საიბილეო დღეებში ზოგიერთმა ქართველმა თუ არაქართველმა მკითხველმა, რომელიც არ დასჯერდა რუსთაველის ეგრეთ წოდებული აფორიზმების დაზეპირებას, ხელახლა

თუ პირველად წაიკითხა "ვეფხისტყაოსანი" და თავზარდაცემული დარჩა მისი სიდიადითა და მიუწვდომელი სიღრმით.

როცა იუბილე ჩამთავრდა, დარჩა იმ წელს დაბეჭდილი "ვეფხისტყაოსნის" ხუთი ახალი გამოცემა, საუკეთესო აკადემიურადაც და პოლიგრაფიულადაც, და თარგმანები — ფრანგულად და პოლონურად, სომხურად და უკრაინულად, აზერბაიჯანულად და ბელორუსულად, ორი ახალი გამოცემა ინგლისურად და ხუთი — რუსულად, გამოცემა უსინათლოთათვის; დარჩა მრავალი ნაშრომი — კარგიც, ცუდიცა და საშუალოც — რუსთაველისა და მისი პოემის, რუსთაველისა და თამარის ეპოქის შესახებ; დარჩა მრავალი ახალი ილუსტრაცია და სამახსოვრო ნივთი.

რაც მთავარია, იმას, ვინც რუსთაველის საიუბილეო დღეებში "ვეფხისტყაოსანი" წაიკითხა, — სამწუხაროდ, საქართველოში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იშვიათად თუ ვინმე კითხულობს "ვეფხისტყაოსანს", — უეჭველად დარჩებოდა შეგრძნება, რომ რუსთაველი საქართველოს უკან მოტოვებული არა ჰყავს, რომ რუსთაველი წინაა, რომ იგი ჯერჯერობით ის უკიდურესი სიმაღლეა, რომლისთვისაც ოდესმე მიუღწევია ქართველ კაცს.

"არილი", 29 იანვარი, 1998

წმიდა ვალენტინის დღე

ევროპული ტრადიციის თანახმად, 14 თებერვალი, წმიდა ვალენტინის დღე, სიყვარულისა და შეყვარებულთა დღესასწაულადაა მიჩნეული. ამ დღეს საყვარელ ადამიანს საჩუქარს ან ყვავილს უძღვნიან ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, ღია ბარათს მაინც გაუგზავნიან, რათა კიდევ ერთხელ დაუდასტურონ თავისი გრძნობები.

უკვე კარგა ხანია, რაც სპეციალისტები და არასპეციალისტები კამათობენ იმის შესახებ, თუ რატომ მაინცადამაინც წმიდა ვალენტინის ხსენების დღე აირჩიეს ევროპაში შეყვარებულთა დღედ. საგულდაგულო ძიებასას თავად ამ სახელის მატარებელ წმიდანს მხოლოდ ორს თუ იპოვით საეკლესიო კალენდარში: ერთია რომაელი კაპელანი, ხოლო მეორე — იტალიური ქალაქის, ტერნის, ეპისკოპოსი. ყოველ შემთხვევაში, იმ დროისათვის, როცა ძველ კონტინენტზე ეს დღესასწაული გაჩნდა, ამ ორი იტალიელი ვალენტინის გარდა, ეკლესიას ამ სახელის პატრონი სხვა არავინ მიუჩნევია მოხსენიების ღირსად. მაგრამ მთავარი ისაა, რომ არც ერთს არაფერი ჰქონდა საერთო არც ტრფობასთან და არც მოტრფიალებთან. საკმაოდ გავრცელებული აზრით, არც თავად დღესასწაულს აქვს რაიმე კავშირი ქრისტიანობასა და ქრისტიანულ ეკლესიასთან. თუმცა ერთადერთ ხელჩასაჭიდ თვალსაზრისად ის ლეგენდა რჩება, რომ პირველი ქრისტიანების დაუნდობელი დევნისას

გარდაუვალი სიკვდილის წინ რომის ცირკში ერთ-ერთმა თავდადებულმა ქრისტიანმა თავის სატრფოს ბარათი დაუტოვა, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: "შენი ვალენტინი".

ლეგენდების არმოყვარულ და ფაქტების მოყვარულ ისტორიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ ვალენტინის დღე სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიანულ ტანსაცმელში გადაცმული ძველი წარმართული დღესასწაული, რომელიც იმდროინდელი წყაროებიდან "ლუპერკალიების" სახელითაა ცნობილი და რომელიც რქიან და თხისფეხება ღვთაება ფავნს ეძღვნებოდა. ფავნი, უეჭველია, დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ძველ რომაელებს შორის დიდი სიმპათია ჰქონდა მოპოვებული. მისი დღესასწაული ყოველთვის თებერვლის შუაში აღინიშნებოდა, რადგან, იმდროინდელი რწმენით, ჩიტები სწორედ ამ დროს ირჩევენ თავიანთ გულისსწორს, — მას, ვისთან ერთადაც აპირებენ ბუდის აშენებას და ბარტყების დაზრდას. ღრმადსერიოზულ ისტორიკოსთა ამ შეხედულების თანახმად, მარადიული ქალაქის ახალგაზრდები სწორედ ამ დღეს წყვილდებოდნენ წილისყრის შედეგად. ერთ ქოთანში იმ ფურცლებს ჩაყრიდნენ ხოლმე, რომლებზეც გოგონათა სახელები ეწერა, მეორეში კი ჭაბუკების სახელებს შეაგროვებდნენ. შემდგომში მსაჯული რიგრიგობით ამოიღებდა ფურცლებს ერთი ქოთნიდანაც და მეორიდანაც. ისინი, ვისაც ამგვარი კენჭისყრა ერთმანეთთან დააკავშირებდა, მთელი დღესასწაულის განმავლობაში ერთმანეთის ერთგულები და ერთმანეთისაგან განუშორებელნი უნდა ყოფილიყვნენ. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ კი უკვე თავად შეეძლოთ გადაეწყვიტათ, მინდობოდ-

ნენ თუ არა ბედისწერას და გაეგრძელებინათ თუ არა ურთიერთტროფობა.

ჩვეულებამ, როგორც ჩანს, საშუალო საუკუნეებშიც გადააბიჯა. ტრადიციას განსაკუთრებით ერთგულად ევროპის ყველაზე ტრადიციულ ქვეყანაში — ინგლისში იცავდნენ. სამეფო კარზე, დიდებულთა სასახლეებში, მოგვიანებით კი მოქალაქეთა სახლებშიც თებერვლის შუაგულში ყველაზე დიდ ოთახში სიყვარულის სანთლებს აანთებდნენ, რომლებიც სინათლის გარდა, დამატრობელ სურნელებასაც გამოსცემდა. მაგიდაზე იდგა ვარდისფერი წყლით სავსე ჭურჭელი, რომელშიც სხვადასხვა ყვავილთა ფოთლები იყო ჩაყრილი. მონვეულ-მოპატიჟებულ სტუმრებს რამე განსაკუთრებული სასიყვარულო ნიშანი უნდა ჰქონოდათ დაბნეული, იქნებოდა ეს გულსაკიდი თუ ქინძისთავი, მაგრამ მთავარი იყო, რა იქნებოდა მასზე გამოხატული, — ძირითადად ეს იყო დანვენილი რვიანი, რაც ორი, ერთმანეთს გადაჯაჭვული გულის სიმბოლური გამოხატულება იყო, სიმბოლო ტროფობისა, რომელსაც შესაძლოა, დასაწყისი ჰქონდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა აქვს დასასრული. სხვათა შორის, თუკი ვინმეს სასკოლო მათემატიკიდან კიდევ ახსოვს ეს ნიშანი, ისიც ემახსოვრება, რომ ის უსასრულობის აღნიშნავს. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ გულსაკიდი ოქროსი იყო, რაც ასევე აშკარად მეტყველებდა, რომ სატროფილო გრძნობანი ოქროსავით მარადიულია. მართალია, მაშინაც და ახლაც საკმაოდ მოიძვეება ადამიანები, რომლებიც მთლად დარწმუნებული არ არიან ამ ჭეშმარიტებაში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წმიდა ვალენტინის დღისათვის უჯობესი იყო ამგ-

ვარი სკეპტიციზმისაგან თავი შორს დაეჭირათ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც მაშინ და არც ახლა ზოგიერთი მაინც დაჟინებით არ იჯერებს ტრფობის მარადიულობას, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტრფობის სანინაალმდეგო არაფერი აქვთ. ვალენტინის დღეს არც ამგვარ სკეპტიკოსებს რომ არ ეგრძნოთ თავი დაჩაგრულად, მათ საშუალება ეძლეოდათ, სხვა სიმბოლოებით ესარგებლათ, მაგალითად, დღესასწაულზე შეეძლოთ მოსულიყვნენ დიდი გულსაბნევით, რომელზეც ამოკვეთილი იყო გვირგვინმოსილი ლათინური ასო A, რომელიც მიანიშნებდა ლათინური ანდაზის დასაწყისს "Amor vincit omnia", რაც იმას ნიშნავს, რომ "სიყვარული ყოველივეს დაამარცხებს", ხოლო გვირგვინი კი აშკარად მეტყველებდა, რომ ტრფობა ყველასა და ყველაფრის ხელმწიფეა. სხვათა შორის, ვისაც სკოლაში, მათემატიკის გარდა, ლიტერატურაც უსწავლია, შესაძლოა, ისიც ახსოვდეს, რომ მსგავსი შეხედულება საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული, რასაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთი სასიმღერო ლექსიც ადასტურებს, რომელსაც "სიყვარულო, ძალსა შენსა" ეწოდება, მაგრამ რომელიც მაინც ვერც დაადასტურებს იმას, რომ როდესმე საქართველოშიც აღინიშნებოდა ვალენტინის დღე. რაც, რა თქმა უნდა, ეს უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ოდითგანვე არც რომაულ ტრადიციებთან ყოფილა დაკავშირებული და არც რომაულ ეკლესიასთან.

ყოველ შემთხვევაში, თუ ევროპულ ვალენტინურ მაგიდას დავუბრუნდებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ იქ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ორი ქოთან

დგას, შესაბამისი სახელებით, მარჯვენა ქოთანნი — გოგონებისათვის, მარცხენა კი — ქაბუკებისათვის, ან პირიქით, რასაც, უნდა ვივარაუდოთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

მთავარი ისაა, რომ წყვილები მაგიდის ირგვლივ შემომსხდარან და ერთმანეთს უნანილებენ ქადებს, რომლებიც ზაფრანის წყალობით, მთლიანად ყვითლადაა შეფერილი. ზაფრანა, მართალია, ოქრო არაა და მარადიულობის სიმბოლოდ ამ შემთხვევაში, ალბათ, ვერ გამოდგება, მაგრამ თანამეინახეებს თავი იმით შეუძლიათ გაიმართლონ, რომ ყვითელი, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ტრფობის ფერია. ახლა კი, რაკილა ყველაფერი მზადაა, წმიდა ვალენტინის დიდი, მოკაზმული თასი, რომელიც მაგიდის შუაგულში დგას, ღვინით უნდა შეივსოს. მისი შესმა, — მაგრამ მანამდე ჯერ ტრფობის სადღეგრძელოს თქმა, — რა თქმა უნდა, ყველა იქ მყოფს ევალება.

სუფრაზე შემოაქვთ ნარჩევი საჭმელები, მაგრამ ნარჩევი იმ მხრივაც, რათა ქალებსაც და ვაჟებსაც ვნება და სწრაფვა გაუღვიძოს — შემწვარი კაკაბი და შებოლილი მწყერი, ამასთანავე, ქათმის, იხვის, ბატის, ხობისა და გნოლის შეჭამანდები, წარმოიდგინეთ ბელურის კვერცხიც კი. თუმცა სუფრის მშვენება იყო გრძელკუდიანი შებრანული ფარშევანგი. საწყალ ფარშევანგს შეწვის შემდეგ ხახაში სასმელით გაჟღენთილ ნაჭერს გაუჩრიდნენ, რათა შემდგომ აენტოთ, როგორც სიმბოლო მოგიზგიზე სიყვარულისა.

ჩაროზად სუფრაზე შემოჰქონდათ ვაშლი, რაც ბიბლიის მცოდნეებსა და პატივისმცემლებს ევასაგან ცდუნებულ ადამს მოაგონებდა, იმ სტუმრებს კი, ვინც უპირატესობას წარმართულ ტრადიციებს ანი-

ჭებდა, მსხალს მიართმევდნენ, რომელიც, როგორც მათ კარგად მოეხსენებოდათ, ტრფობის ქალღმერთის, ვენუსის საყვარელი ხილი იყო. მაგრამ წესიერ ოჯახებსა და წესიერ საზოგადოებაში მთლად თავის აშვებაც არ ივარგებდა, ამიტომ განსაკუთრებით ვნებამორეულებს კამის სალათს სთავაზობდნენ, რადგან მიჩნეული იყო, რომ ეს ყველაზე საუკეთესო საშუალება იყო ტრფობის ციებ-ცხელების დასაძლევად.

შემდეგ კი დგება მკითხაობის ჟამი, ტომრიდან რიგრიგობით კანაფის მარცვლებს იღებენ, მუჭაში აგროვებენ და მარცხენა მხარს უკან გადაყრიან, წყლით სავსე ჭურჭელში. საკმარისია, წყლის ზედაპირზე რაიმე ასოს მიმსგვავსებული ფიგურა დაიხატოს, რომ საქმე კარგადაა, — ინიციალი აშკარად მეტყველებს იმ ადამიანზე, ვისთან კავშირიც, ბედს თუ ვენდობით, გარდაუვალა. მაგრამ ასოს ამოცნობა თუ ვერ მოხერხდა, არც ესაა დასანაღვლელებელი, — თუ მარცვლები წყლის ზედაპირზე ისე გაიფანტა, რომ სახლს მიემსგავსა, მაშინ ფუფუნება უეჭველად კარსაა მომდგარი, თუ ისარი გამოისახა, მაშინ ნადირობისას გამარჯვებას აღარაფერი დაუდგება წინ...

საშუალო საუკუნეებშივე გაჩნდა წმიდა ვალენტინის დღესასწაულის აუცილებელი ნაწილი — ანონიმური სატრფიალო ბარათები, რომლებიც, თუკი ისევ ყოველადსერიოზულ ისტორიკოსებს დავუჯერებთ, უკვე მეთექვსმეტე საუკუნიდანაა დადასტურებული. მაგრამ თუ ადრე გულისსწორს პერგამენტის "ვალენტინებით" უცხადებდნენ ხვაშიადს, ვიქტორიულ ეპოქაში თებერვლის პირველ ნახევარში მხატვარებსა თუ მესტამბეებს საქმე და შემოსავალი არ ელეოდათ.

როგორც ამბობენ, ამ დროს ზოგიერთი მამაკაცი რომანტიკულ-ყვავილოვანი საფარველის ქვეშ გამაფრთხილებელ სტერეოტიპულ ნახატს იღებდა, რომლიდანაც მტირალი ჩვილის დამშვიდებისა და დადუმების მოწადინე ტანჯული მამა იცქირებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ბარათების სიმბოლიკის ერთმნიშვნელოვნად გაშიფრვა მაინც საძნელო საქმე ჩანს: ზოგის აზრით, ეს მამობის მომავალი ტვირთისა და სიხარულის გამაფრთხილებელი ნიშანია, ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს მოტოვებულ სიხარულს ან, უფრო ზუსტად, მიტოვებულ შვილებს შეახსენებდა ზოგიერთ გულმაფინყ მამას.

ვალენტინის დღეს ღია ბარათის გაგზავნას ახლაც არაფერი უდგას წინ, ელექტრონული ფოსტაც უთუოდ გამოდგება, მთავარია, ანონიმური ბარათის ბოლოს ჯვრები იყოს დასმული, იმდენი, რამდენი კოცნაც ეკუთვნის ადრესატს.

დღეს, ინტერნეტისა და ლაზერის ეპოქაში, ზოგს ჩვენი წინაპრების ამდენი გულუბრყვილობა და მიამიტობა გააკვირვებს, ზოგს — ამდენი სიმბოლო და რიტუალი, მაგრამ, ალბათ, ისიც ღირს გასახსენებლად, რამდენი აზრიანი თუ უაზრო სიმბოლო და რიტუალი, რამდენი შეგნებული თუ შეუგნებელი გულუბრყვილობა და მიამიტობა გვახვევია ირგვლივ. შესაძლოა, ამის არა მარტო გახსენება, არამედ გაანალიზებაც ღირდეს. მაგრამ, ალბათ, ეს სხვა დროს სჯობს, და არა წმინდა ვალენტინის დღეს, ტრფობის საყოველთაო დღეს, რომელიც ძველთაძველი დროიდან ყოველწლიურად 14 თებერვალს აღინიშნება.

სერ აიზაია ბერლინი

1997 წლის 5 ნოემბერს, ოქსფორდში, გარდაიცვალა 88 წლის სერ აიზაია ბერლინი — მეოცე საუკუნის ინგლისის გამოჩენილი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე.

როცა ამ ერთი წლის წინ სერ აიზაია ბერლინი, სამეფო საოპერო თეატრის ყოფილი დირექტორი, ეროვნული გალერეის ყოფილი მცველი და ბრიტანეთის აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, მსოფლიოს 23 უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და მისი უდიდებულესობის ბრიტანეთის დედოფლის რაინდი, ინგლისური “რადიო 3”-ისათვის მუსიკალურ პროგრამას არჩევდა, მან იქ მყოფ კოლეგებს თავისი სურვილი გაუზიარა, რომ ურიგო არ იქნებოდა, მის პანაშვიდზე მის მეგობარს, პიანისტ ალფრედ ბრენდელს შუბერტის ა-მინორული სონატის “ანდანტინო” შეესრულებინა. მაგრამ მომცრო ტანის ცოცხალი მოხუცი უეცრად ჩაფიქრებულა და იმავე წამს დაუმატებია: “მაგრამ იგი ხომ დიდებული მეგობარია. არ ღირს ამ მოვალეობით მისი შეწუხება. არამც და არამც! უმჯობესია, საერთოდ არ მოვკვდე!”.

აიზაია ბერლინი 1909 წლის 6 ივნისს, ბალტიისპირულ რიგაში დაიბადა, შეძლებული ებრაელი ვაჭრის ოჯახში. 1915 წელს მთელი სახლობა პეტერბურგს გადასახლებულა, მაგრამ ორი წლის შემდეგ რუსეთში აბოზოქრებული ბოლშევიკური შავი ჭირისაგან თავი შორს დაუჭერიათ და მენდელ ბერლინის ოჯახს ლონდონისაკენ აუღია გეზი.

ბავშვობაში ყმანვილი რუსულად და გერმანულად თანაბრად საუბრობდა, წლების განმავლობაში კი მომავალი ოქსფორდელი პროფესორი და ბრიტანული დაზვერვის თანამშრომელი იმდენ ენას დაუფლებია, რომ მათი დათვლა მის ახლო მეგობრებსაც კი უჭირდათ. თუმცა იგივე მეგობრები ყოველთვის იმასაც აღნიშნავდნენ, რომ არავინ იცოდა არა მარტო ის, თუ როდის მოახერხა მან ამდენი ენის შესწავლა, არამედ ისიც, თუ როდის შეიძინა მან თავისი ლეგენდად ქცეული განათლება, — რადგან, როგორც მონმეები ადასტურებენ, სიჭაბუკიდანვე იგი ყველაზე მეტ დროს საუბარსა და მუსიკის სმენას ანდომებდა, და იშვიათად თუ უნახავს იგი ვინმეს წიგნით ხელში. თუმცა ადრიდანვე გასაოცარი ყოფილა მისი მახსოვრობის უნარი, — იგივე მონმეები ამბობენ, რომ მას დაუფიქრებლად შეეძლო მოეთხრო თუნდაც ყიულ ვერნის ორმოცდაათზე მეტი რომანის შინაარსი. რა თქმა უნდა, უფრო მიმზიდველი იყო მისი ზეპირი მოგონებების მოსმენა — მას თითქმის უნაკლოდ ახსოვდა საუბრები თავის მეგობრებთან თუ ნაცნობებთან: ფროიდსა თუ აინშტაინთან, ჩერჩილსა თუ პიკასოსთან, იგორ სტრავინსკისა თუ სერ მორის ბაურასთან, ახმატოვასა თუ პასტერნაკთან.

მისი ხანგრძლივი ცხოვრების შემსწრენი იმასაც ამბობენ, რომ მას ძნელად თუ უნოდებდით შრომის ნარკომანს (რაც ახალი დროის აშკარა უბედურებად იქცა მსოფლიოში, განსაკუთრებით გერმანულ მენტალიტეტზე ორიენტირებულ ადამიანებს შორის). აიზაია ბერლინისათვის გონებრივი შრომა სიამოვნება იყო, მეგობართა შორის დინჯ და დახვეწილ საუბარში გატარებული დრო კი — განცხრომა.

აღბათ, ესეცაა მიზეზი, რომ მისი სტატიების ექვსტომიანი კრებული, ფაქტობრივ, საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციებს ან რადიოგამოსვლებს მოიცავს, ხოლო მისი ფილოსოფიური ღვაწლი — მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მოაზროვნედ და იდეათა ისტორიკოსად იყო მიჩნეული — სულ რამდენიმე მონოგრაფიას ემყარება. მათ შორისაა "ესეები თავისუფლების შესახებ", სადაც ერთმანეთისაგან გამიჯნულია თავისუფლება რისგან და თავისუფლება რისთვის; კარლ მარქსის კლასიკური ინგლისური ბიოგრაფია, სადაც წარმოჩენილია მის მოძღვრებაზე არა მარტო ჰეგელის ფილოსოფიის გავლენა, არამედ მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიის ებრაული ძირებიც; და მისი გახმაურებული წიგნი "ზღარბი და მელა", სადაც ტოლსტოისეული დაკვირვების საფუძველზე მოაზროვნე ადამიანები ორ სახეობადაა დაყოფილი: თუ ეგრეთ წოდებული "ზღარბები" მხოლოდ ერთ, ფუნდამენტურ იდეაზე ახერხებენ კონცენტრირებას, ეგრეთ წოდებულმა "მელამ" ბევრი რამ იცის, — შესაძლოა, არც ისე ღრმად და საფუძვლიანად, მაგრამ მაინც ცხოვრებას ის მთელს მის მრავალფეროვნებაში ხედავს.

საკუთარ თავს აიზაია ბერლინი მელათა კატეგორიას აკუთვნებდა და ისიც ნაკლებსავარაუდოა, რომ მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობა საკაცობრიო აზროვნების წარუვალ ფასეულობებს შემორჩეს, მაგრამ განა როდისმე გახუნდება ანა ახმატოვას ლექსების ციკლი "Cinque", რომლის ლირიკული გმირია 1945 წლის პირქუშ ლენინგრადულ ღამეს, უშუქო და ცივ ბინაში ოცი წლით უფროს პოეტ ქალთან განმარტოებული ბრიტანეთის საელჩოს მოხელე აიზაია ბერლინი?!

არჩილი — მეფე და პოეტი

(დაბადების 350 წლის გამო)

არჩილი საკუთარ თავს მეფეს უწოდებდა და ასევე უწოდებდნენ მას სხვებიც, მაგრამ, არითმეტიკას თუ მოვიშველიებთ, 66 წლიანი ცხოვრების განმავლობაში მეფობა მას მხოლოდ ხანმოკლე დროით მოუწია. და იმის გამო, რომ იგი საკუთარ თავს საქართველოს მეფედ მიიჩნევდა, ხოლო ერთიანი საქართველო კი იმ დროს, რა თქმა უნდა, რეალურად არ არსებობდა, პატივმოყვარე ბატონი განუწყვეტლივ იმის მცდელობაში იყო, როგორმე კახეთის, ქართლის ან იმერეთის ტახტზე მოეკიდებინა ფეხი. ბოლოს და ბოლოს, როცა თავად მეფეყოფილსაც გაუჭირდა, ზუსტად დაეთვალა რამდენჯერ ეპყრა და რამდენჯერ წაართვეს მას სამეფო სკიპტრა, იგი რუსეთში გადასახლდა, — ქვეყანაში, რომელსაც არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად და არც ფსიქოლოგიურად ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო საქართველოსთან, მაგრამ რომელიც, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, ერთადერთი მეზობელი სახელმწიფო იყო, სადაც იმგვარადვე იწერდნენ პირჯვარს, როგორც ოდითგანვე იყვნენ შეჩვეული ქართველები.

არჩილი ქართლის მეფის, ვახტანგ მეხუთის ანუ შაჰნავაზის ვაჟი იყო. მართალია, შაჰნავაზის მამა — თეიმურაზ მუხრანბატონი მეფე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ნორჩი ვახტანგი როსტომ მეფემ იშვილა და სამეფო ტახტი უანდერძა. არჩილის დედა როდამი ყა-

ფლან ბარათაშვილის ასული და შაჰნავაზის პირველი ცოლი იყო. ასე რომ, არჩილი მრავალსაუკუნოვანი სამეფო სისხლის პატრონი არ ყოფილა, მაგრამ უკვე თოთხმეტი წლისას (ზოგიერთი წყაროს თანახმად, ახოვან, გონიერ და მომხიბლავ ჭაბუკს) იმერეთის ტახტის დაკავება მოუწია, — პირველად და სრულიად არა უკანასკნელად. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმჯერად მის ნება-სურვილს არავინ დაჰკითხებია, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ იგი მამის პოლიტიკისათვის საჭიროც იყო და მიზანშეწონილიც: შაჰნავაზს თავი მთელი ქართული სამეფო-სამთავროების პატრონად მიაჩნდა და იმერეთისაკენ თავისი მზერა მაშინვე მიმართა, როცა იქ მდგომარეობა მეტისმეტად აინწნა, — სხვა რომ არაფერი, იქაურმა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა თავის გერს, ტახტის მემკვიდრე ბაგრატს თვალები დასთხარა და ქმრად ვინმე ვახტანგ ბატონიშვილი შეირთო. სანამ, ოფიციალური ვერსიით, "იმერეთის აღშფოთებული მოსახლეობის" მხარდასაჭერად ქართლის მეფე ქუთაისამდე ჩააღწევდა (რა თქმა უნდა, სამეფოდ გამზადებული შეღერებული ვაჟის თანხლებით) იმერეთის მთა-ველებს სამეგრელოს პატრონი ვამეყ დადიანი მოადგა, ასევე კანონიერების აღსადგენად და ასევე ტახტის დასაკავებლად, ანუ თავგასული დედოფლის გადასაყენებლად. იმხანად სხვას არავის ეცალა იმერეთისათვის, მაგრამ რაკილა ერთ ტახტზე ისეც საკმარისი პრეტენდენტი აღმოჩნდა, ქართლის მეფე და სამეგრელოს მთავარი შეთანხმდნენ, იმერეთის სამეფო თავად გაენაწილებინათ, ხოლო უწვერული არჩილი დადიანის ასულზე დაექორწინებინათ. მაგრამ სამეგრელოს მთავარმა უცებ, შიდაპოლიტიკური

მოსაზრებით, გადანყვეტილება შეცვალა და სასიძოს — იმერეთის უღვაშაბიბინებულ მეფეს პირი უტეხა. ძნელია ითქვას, რამდენად იყო ეს ჭაბუკი არჩილისათვის პირადი ტრაგედია, მაგრამ ამ პატარა ინციდენტს პატარა ომი მოჰყვა ქართლსა და სამეგრელოს შორის, ამის შემდეგ კი არჩილსაც დიდხანს აღარ დასცლია იმერეთში.

სულ მალე იგი სპარსეთის შაჰის კარზე აღმოჩნდება, სადაც ისლამს მიიღებს და შაჰნაზარხანის სახელით კახეთის განმგებლად ანუ ხანად დაბრუნდება, — მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სპარსული თვალთახედვით, რაც, ქართული შეხედულებით, საქართველოს მეფობას ნიშნავდა. ეს ხანა ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე უზრუნველი იყო არჩილის მეფობაში — თორმეტი წელი სამეფო ტახტზე, თუნდაც ბრმა ბაგრატის ნაცოლარის, ქეთევანის, გვერდით. კახეთის მიტოვების და ოსმალეთის ფაშისათვის ერთგულების ფიცის დადების შემდეგ იგი იმერეთის მეფე ხდება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვით, თუმცა მისი შემდგომი მრავალგზისი გამეფებანიც ერთ წელზე მეტ ხანს არასოდეს გაგრძელებულა. მომდევნო წლებში ტახტის დაკავება და ტახტიდან ჩამოგდება იმდენად სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს, რომ, როგორც ჩანს, ისტორიის, ბედისწერისა თუ გარემოებათა სათამაშოდ ქცეული მეფე ვერც ერთთან და ვერც მეორესთან შეგუებას ადვილად ვერ ახერხებდა. ალბათ, გამონაკლისი იყო მისი უკანასკნელი ექსორია — ცხოვრების ბოლო ცამეტი წელი, გატარებული რუსეთში, მოსკოვის მახლობლად, ვსეხსვიაიტსკოეში, რომელსაც ქართველებმა მარტივად "სვენცკა" შეარქვეს, ადგილი, სადაც არ-

ჩილმა პირველ ქართულ სტამბას ჩაუყარა საფუძველი და სადაც მისი მეურვეობით 1705 წელს პირველი ქართული წიგნი — "დავითნი" — დაიბეჭდა.

მანამდე კი, ერთ-ერთი ლტოლვილობისას, როცა მეფე ოჯახითურთ ჯერ დვალეთს და შემდგომ ოსეთს აფარებდა თავს, არჩილი პოეზიისათვის მოიცლის, კალამს აიღებს ხელთ და შეეცდება, საქართველოსა და ქართული სიტყვის მონატრება ქართული ლექსების თხზვით გაიქარვოს, — ამ შემთხვევაშიც არჩილი ქართულ ტრადიციას, ქართველ ლტოლვილთა ტრადიციას არ არღვევს. მის შემდგომ ამ წყებაში არა მარტო მრავალი ბატონიშვილი ან ნაკლებმნიშვნელოვანი სააკაძე-ბარათაშვილები აღმოჩნდებიან, არამედ ვახტანგ მეექვსეც და დავით გურამიშვილიც.

სწორედ ექსპორიობაში, საქართველოდან მოშორებით დანერს იგი თავის უმთავრეს თხზულებებს — ესენია "თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება" და "საქართველოს ზნეობანი". თუ პირველში ძველი საქართველოს ორი ყველაზე აღიარებული პოეტის შემოქმედებაა აწონ-დანონილი და მათი ეპოქების ნამდვილი თუ ლეგენდური სურათია დახატული, მეორეში — ლექსად დანერილ წიგნში "საქართველოს ზნეობანი" — ძველი საქართველოს სიტყვიერი მუზეუმია დაცული, მუზეუმი იმ მიმავალი სინამდვილისა, რომელიც მეფეყოფილის ღრმა რწენით, წესისა და რიგის, ღირსებისა და კეთილშობილების ნაკრძალს წარმოადგენდა. თუმცა არჩილი არც ამ შემთხვევაში გვევლინება არც პიონერად და არც წარსული დიდების უკანასკნელ ტრუბადურად. მას ამ საქმეში, შესაძლოა, არც ისე ბევრი წინამორბედი ეგულებოდა, მაგრამ მიმდევარი უთუოდ არ ჰყოლია ცოტა.

არჩილის პოეზიის მეტად კეთილგანწყობილ მკითხველსაც კი მეტად დიდი ჯაფა დაადგება, თუ იქ ღირშესანიშნავ მხატვრულ ღირებულებათა ძიებას დაიწყებს. მაგრამ თუ ტრადიციებს ვცემთ პატივს, ამ ტრადიციაში მეფე-პოეტიც უნდა ვიგულისხმოთ, რომელთაგან თითოეული, ქართული სამეფო სახლის გადმოცემებს თუ ვერნმუნებით, ბიბლიური მეფისა და მეფსალმუნის, დავით წინასწარმეტყველის, პირდაპირი შთამომავალია.

არჩილის ლიტერატურული პოზიციის წარმოსადგენად უეჭველად საჭიროა იმის გახსენებაც, რომ მას იმდენად მარტივი წარმოდგენა ჰქონდა ლიტერატურაზე, მხატვრული გამონაგონი, მხატვრული ფანტაზია დაუშვებლად მიაჩნდა და თვით მისთვის დიდად პატივსადებ რუსთველსაც კი უნუნებდა ხელოვნებას “ვეფხისტყაოსნის” შეთხზული ამბის გამო. მისი შეხედულებით, ხელოვნებას ოდენ ის უნდა აესახა, რაც ირგვლივ ხდებოდა, — ანუ ისტორიულად ღირებული ფაქტები. მაინც უსამართლობა იქნება, არ გავიხსენოთ, რომ აგვარი თვალსაზრისი არჩილზე ბევრად უფრო გონიერ და ბევრად ფართო გაქანების ადამიანებსაც გამოუთქვამთ. მაგრამ, როგორც ჩანს, მას ცოტათი უჭირდა საზღვრის გატარება პოეზიასა და ისტორიას შორის და მისი მთავარი თხზულება ფაქტობრივ თამარისა და თეიმურაზ პირველის მეფობათა გალექსილ ისტორიას წარმოადგენს. თუმცა იმ შინაგანი მიზეზის პოვნა, მაინც რატომ მისცა მან ქრონოგრაფიას პოემის სახე, ადვილი საპოვნია არაა, — შესაძლოა, ამის მიზეზი ის ცნობილი გარემოებაა, რომ იმდროინდელი ქართველი მკითხველი ყურადღებას მხოლოდ ლექსს

მიაპყრობდა და სრულიად გულგრილი იყო პროზის მიმართ; შესაძლოა, პოეზიის მუზას არჩილი მაინც უფრო მალლა აყენებდა, ვიდრე სხვა ხელოვნების მუზებს. მაგრამ არც ისაა დასაფიქსებელი, რომ იგი მთელი თავისი შეგნებით საქართველოს პატრონი, მეურვე და მესვეური იყო, ანუ, გვიანდელი ტერმინოლოგიით, საქართველოს ლიდერი, — ჩვენთან კი ლიდერი, რომელსაც ეროვნული ტრადიციების გაგრძელების პრეტენზია აქვს, უცვილოდ ლექსებს უნდა წერდეს, თუნდაც ამისათვის მას არავითარი მონაცემები ჰქონდეს.

არჩილმა მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს მეფის შეგნებით გაატარა, მაგრამ დიდი ვერაფერი შეჰმატა თავის ქვეყანას; მას თავი პოეტად წარმოედგინა, მაგრამ პოეზიის ანგელოზს მისთვის არასოდეს მიუპყრია განსაკუთრებული ყურადღება; თავი ქრისტიანობის ერთგულ დამცველად მიაჩნდა, მაგრამ როცა კახეთში გამეფების პირობად შაჰ-აბას მეორემ მას ისლამის მიღება მოსთხოვა, არჩილი არც კი შეყოვნებულა; შეთხზულ, გამოგონილ ამბებსა და სასიყვარულო მელოდრამებს ლიტერატურიდან განდევნებას უპირებდა, მაგრამ თავად სპარსულ სამიჯნურო რომანს — "ვისრამიანს" ლექსავდა; ალბათ, იგი საქართველოში, სამეფო განსასვენებელში დასამარხად ემზადებოდა, მაგრამ მისი ძვლები მოსკოვის ოდნავ გამდნარმა მიწამ მიიბარა 1713 წლის ადრეულ გაზაფხულზე.

"არილი", 12-18 მარტი, 1998

ჰოლოკოსტის მუზეუმი ვაშინგტონში

მაშინ, როცა ისევ გრძელდება დაპირისპირება იუდოფილებსა და იუდოფობებს შორის, როცა ანტისემიტიზმი ისევ არ თმობს თავის პოზიციებს, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ისევ იფეთქებს ხოლმე სასამართლო პროცესით დამთავრებული სკანდალი, თუ რომელიმე პროფესორი, პოლიტიკოსი ან ჟურნალისტი საჯაროდ განაცხადებს, რომ ებრაელთა ჟლეტა მეორე მსოფლიო ომისას ოდენ პროპაგანდისტული ზღაპარია, ვაშინგტონში ერთი არამრგვალი თარიღი აღინიშნა — იქაური ჰოლოკოსტის მუზეუმის ოთხი წლისთავი.

საბჭოთა კავშირმა ისე დაამთავრა თავისი არსებობა, რომ სიტყვა “ჰოლოკოსტი” ნებადართულ სივრცეში არავის წარმოუთქვამს და არავის დაუბეჭდავს, მაგრამ კომუნისტური ბანაკის მიღმა გამოცემული მეოცე საუკუნის ისტორიის ნებისმიერი, ჩვეულებრივი სახელმძღვანელოს გადაფურცვლისას უთუოდ თვალში მოგვხვდებათ ამ სიტყვის საკმაოდ ხშირი ხსენება. თუმცა თავად “ჰოლოკოსტი” არა მხოლოდ ებრაელთა განადგურების მიზნებს გულისხმობს, — როგორც ისტორიკოსები ამბობენ, გერმანელი ნაცისტები იგივე ბედს უმზადებდნენ სოციალ-დემოკრატებსა და ბოშებს, ჰომოსექსუალებსა და იეჰოველებს.

ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმის ფონდები და სტენდები მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ებრაელთა განადგურებას ასახავს. მუზეუმი

მნახველთა სიმცირეს, როგორც ჩანს, არ უჩივის — ყოველწლიურად მას დაახლოებით ორი მილიონი დამთვალიერებელი ესტუმრება ხოლმე. შენობის არქიტექტურული გადანყვეტა მნახველს საშუალებას აძლევს, თავი ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში წარმოიდგინოს. ერთგან ოსვენციმის ბარაკის ზუსტი პირია აღმართული, იქვე დგას მატარებელი, რომლითაც ებრაელი პატიმრები ევროპის ერთი ბოლოდან მეორეში გადაჰყავდათ. მაგრამ მუზეუმში, ეპოქის შესაფერი გარემოს გარდა, გამოყენებულია სუპერთანამედროვე ტექნიკაც — მაგალითად, ვიდეოპროექცია იმგვარადაა განხორციელებული, რომ დამთვალიერებელს თავზარი ეცემა კონტრასტით, როცა, ერთი მხრივ, ნაცისტური ელიტის ცხოვრებასა და, მეორე მხრივ, ბანაკების არაადამიანურ პირობებს ერთმანეთთან შეადარებს. იმ სანახაობის შემდეგ, რაც მნახველს თვალწინ წარმოუდგება, უმრავლესობა თავს ვალდებულად მიიჩნევს, თავისი შთაბეჭდილებები დამთვალიერებელთა ნიგნში ჩანეროს, — თუ შესაძლოა ამ მრავალი ტომის ერთ ფრაზაში ჩატევა, მაშინ ეს სიტყვები, ალბათ, ამგვარად იჟღერებს: "ეს მეტი აღარასოდეს უნდა განმეორდეს!".

გამოფენის ორგანიზატორები ცდილობენ, ანტისემიტიზმის არსი ამ მოვლენის ისტორიულ განვითარებაში წარმოადგინონ — იმ ფართოდ გავრცელებული გადმოცემებით დაწყებული, რომელთა მიხედვით ებრაელებს ქრისტიანთა უმანკო სისხლი სწყურიათ და ჰიტლერელთა დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი პროექტით დამთავრებული, რომელიც ებრაული საკითხის საბოლოო გადანყვეტას ითვალისწინებდა.

ანტისემიტიზმი და მისი თანმხლები მოვლენები რომ უთუოდ არ ეკუთვნის ისტორიას, ამას ის დემონსტრაციებიც ადასტურებს, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად მიმდინარეობს ხოლმე მუზეუმის ახლომახლო და რომელთაგან ყველაზე ხალხმრავალი სწორედ მუზეუმის გახსნის ოთხნობიანი თარიღის აღნიშვნისას გაიმართა. იქ შეგროვილ დემონსტრანტებს ამჯერადაც ხელთ ტრანსპარანტები ეჭირათ და გამვლელ-გამომვლელს ნაირ-ნაირ პროკლამაციებსა და ბროშურებს ურიგებდნენ. "არ დაუჯეროთ ზღაპრებს ებრაელთა განადგურების შესახებ, — ეს მზაკვრული ტყუილი და ადამიანების მიზანსწრაფული გამოტყინებაა", — ეწერა ერთ პლაკატზე.

ერთ-ერთ ბროშურას, რომელსაც ერქვა — "როგორც იქნა, სიმართლე!" — ამგვარი ქვესათაური ჰქონდა: "ცნობები, რომლებიც ყოველდღიურ პრესაში იმალება". თუმცა, როგორც ამ პატარა წიგნაკის გადამთვალეირებლები ამბობენ, მასში ისევ ძველი და ნაცნობი თემებია წამოჭრილი: ებრაელთა მსოფლიო ბატონობის გეგმები, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ებრაელთა მიერ მთავრობების, ფინანსების, კულტურის ხელში ჩაგდება, მათი უსაზღვრო გავლენა მასმედიაზე, მათი ფარული ბრძოლა ქრისტიანული ფასეულობების წინააღმდეგ, მსოფლიო ებრაელობის მიერ ჰოლოკოსტის მითის შეთხზვა და გავრცელება...

ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმი კი იმ დღეს თავისი არსებობის ოთხი წლისთავს აღნიშნავდა: ზოგი საგამოფენო დარბაზებისაკენ მიემართებოდა, ზოგი — დემონსტრანტთა მიერ გავრცელებულ ფურცლებს მიეზიდებოდა შინ.

"არილი", 26 მარტი, 1998

საფრთხე: ტელევიზია!

ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "TV-Free America"-მ ამ ცოტა ხნის წინ შეერთებული შტატების მთელ მოსახლეობას მოუწოდა, რათა ერთი კვირის განმავლობაში არ ჩაერთოთ ტელევიზორი. მაგრამ არა იმის გამო, რომ იმ დღეებში რაიმე შემზარავის გადმოცემას აპირებდნენ, — უბრალოდ, ამ საზოგადოებამ ამგვარად სცადა შებრძოლებოდა იმ სენს, რომელსაც "ტელევიზიის სინდრომს" უწოდებენ და რომლის ნიშნები არც ერთი კონტინენტის მცხოვრებისათვის არაა უცხო: დივანზე წოლა და ტელეეკრანის ცქერა ფორთოხლის წვენისა და ნუგბარის თანხლებით.

ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ამერიკელები ტელევიზორის პირისპირ ატარებენ ბევრად უფრო მეტ დროს, ვიდრე თავად მათ სურთ. მაგრამ, ნიკოტინისაგან განსხვავებით, ამ საცდურის დაძლევა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა. თითოეული ტელემიმღები დღეში საშუალოდ შვიდი საათის განმავლობაში მუშაობს, ხოლო ამერიკული ოჯახების 99 პროცენტი ფლობს ერთზე მეტ ტელევიზორს. ბავშვები ყოველკვირეულად ტელეეკრანს უსხედან 1680 წუთს, ამავე დროს, მშობლებთან საუბარს ამავე კვირის განმავლობაში ეთმობა დაახლოებით 38 წუთი. ყოველ შემთხვევაში, ამგვარია სტატისტიკურ-სოციოლოგიური მონაცემები, მათი ნდობა-არნდობა კი უკვე პირადი შეხედულების, გამოცდილების და გემოვნების საკითხია! უფრო ადვილი გამოსათვლე-

ლია ამერიკელ მოსწავლეთა სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების დრო — ნელინადში ამას ხმარდება 900 საათი, ტელეეკრანთან ყოველწლიურად გატარებული დრო კი 1500 საათია.

ამ არცთუ სასიამოვნო სტატისტიკის შემდეგ იმ გადაცემათა შინაარსიცაა გათვალისწინებული, რასაც ამერიკელი მაყურებლები ადევნებენ თვალს. თუმცა ამ ეგრეთ წოდებული “შინაარსის” სფეროში არც ევროპელ მაყურებლებს აქვთ მაინცადამაინც დიდი არჩევანი, თუ იმ ელიტურ კულტურულ არხებს არ ჩავთვლით, რომელთაც დღითიდღე ხელში ადნებათ მაყურებელიც, ფინანსებიც და ენთუზიაზმიც. მაგრამ როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია აღნიშნული, პრობლემა მაინც ის კი არაა, თუ რას უყურებენ ამერიკელები, არამედ ის, რომ ისინი ტელევიზორს მეტისმეტად ხანგრძლივად უყურებენ. მონოდების ავტორთა სიტყვებით, “ყოველდღიურად ტელეეკრანის წინ გატარებული ოთხი საათი ჩვენი ბავშვებისათვის, ჩვენი ოჯახებისათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის უთუოდ არაჯანსაღი მოვლენაა”. ამასთანავე, აღიარებულია, რომ ბავშვები მონოდებულ მასალას ოდენ პასიურად იღებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ეს მხოლოდ პატარებზე ითქმის.

სწორედ ამ მოსაზრებებმა განაპირობა, რომ ორგანიზაციამ — “ამერიკა ტელევიზიის გარეშე” — მხურვალედ მოუწოდა თანამოქალაქეებს, ოთხშაბათს საღამოს გამოერთოთ ტელევიზორები, გაეძლოთ მის გარეშე შვიდი დღის განმავლობაში და ეს დრო სხვა საქმიანობისათვის გამოეყენებინათ. აქციამ, რომელსაც ეწოდებოდა “ეროვნული კვირა

ტელევიზიის გარეშე", მოულოდნელად დიდი მხარდაჭერა მოიპოვა, მის მომხრეთა შორის აღმოჩნდნენ შტატების გუბერნატორთა დაახლოებით ნახევარი და, რაც მთავარია, ათასობით დაწყებითი სკოლა.

შედეგებისა და შესაბამისი სტატისტიკურ-სოციოლოგიური მონაცემების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. იმედი ვიქონიოთ, რომ აქცია წარმატებული იყო — შვიდი დღე ტელევიზიის გარეშე ძლიერ ნებასა და გამძლეობას მოითხოვს, თანაც ეს არც თუ მცირე ნაბიჯია მასმედიური ტყუილ-მართლისაგან თავის დაღწევის მტკივნეულ გზაზე.

"არილი", 2-8 აპრილი, 1998

ნეტარი ბოშა — ჩეფერინო ხიმენეს მალა

დგას 1936 წელი. ესპანეთში ახალი გაჩაღებულია სამოქალაქო ომი. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ერთი მხრივ, მემარცხენე რესპუბლიკელები — ძირითადად სოციალისტ-ანარქისტები და, მეორე მხრივ, მემარჯვენე ფრანკისტები — ძირითადად ფაშისტ-ფალანგისტები. პირველების უკან კომუნისტური რუსეთი ილანდება, მეორეთა უკან კი — ნაცისტური გერმანია. შემთხვევით თუ არაშემთხვევით ორად გახლეჩილი დამანგრეველი ძალების ეს პირველი შეტაკება მრავალი ვინმესათვის (და არა მხოლოდ ესპანელთათვის) ცხოვრებისეულად გადამწყვეტი აღმოჩნდა: ზოგმა არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ გააკეთა, ზოგმა განდგომა და მაცურებლობა ამჯობინა, ზოგმა — სამწუხაროდ, უმცირესობამ — გერმანული ნაციონალ-სოციალიზმისა და რუსული კომუნიზმის არსებითი ერთიანობა და საფუძველში განურჩევლობა დაინახა.

მაგრამ, როგორც არაერთგზის მომხდარა არაერთი საუკუნის განმავლობაში, “თავისუფლებისა და ადამიანთა თანასწორობისათვის მებრძოლები” თავიანთ ბრძოლას ნგრევით, ჟლეტითა და ყოველგვარი სულიერების განადგურებით იწყებდნენ. ასე იყო ამჯერადაც: შინსახკომსა და ნითელ არმიაში გამოწვეული ინსტრუქტორებით გადავსებულ ესპანეთში — საბჭოთა ლენინურ-სტალინური გამოცდილების გათვალისწინებით — ენით უთქმელი სისასტიკით

მუსრს ავლებდნენ ქრისტიანობას, ეკლესიას, სამღვდელოებას, მორწმუნეებს. ხუან დე ლა კრუსისა და ტერეზა ავილელის, ელ გრეკოსა და ველასკესის, ფრანსისკო სუარესისა და ეგნატე ლოილას ქვეყანაში მემარცხენე რევოლუციონერები — ანარქისტები, სოციალისტები თუ კომუნისტები — სამი წლის განმავლობაში უმოწყალოდ ხვრეტდნენ გზად შეხვედრილ ყველა მღვდელსა თუ ეპისკოპოსს, ბერსა თუ მონაზონს. როცა ნითელი ტერორი ჩაცხრა, გაირკვა, რომ დახვრეტილი იყო 7000 სასულიერო პირი...

ქალაქ ბარბასტრში სამოქალაქო ომის პირველი დღეებია. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე სამოქალაქო ომებისას, მოსახლეობას უჭირს გაარკვიოს, ვისი სამხედრო რაზმები იკავებს ან ტოვებს მონაცვლეობით ქალაქს. მაგრამ ამჯერად ქალაქი, ჩანს, ნითლების ხელშია, რადგან ივლისის მიწურულის ერთ გვიან საღამოს ეკლესიიდან სრულიად ახალგაზრდა მღვდელი გამოჰყავთ და დასასჯელად მიჰყავთ — იმიტომ, რომ სასულიერო პირია, იმიტომ, რომ მორწმუნეა, იმიტომ, რომ ქრისტიანია.

ამ დროს გზად რაზმელებს იქაური მოხუცი ბოშა პელე გადაეყრებათ, ჩეფერინო ხიმენეს მალა, რომელიც შინ ბრუნდება. ღრმად მორწმუნე უნიგნურ ბოშას თავზარს დასცემს ნანახი და ცდილობს მოძალადეებს ხელიდან გამოსტაცოს ახალგაზრდა ღმრთისმსახური. რა თქმა უნდა, მასაც საპყრობილეში უკრავენ თავს. საკანში, მასთან ერთად, რამდენიმე სასულიერო პირია. უახლოეს დღეებში ყველას დახვრეტა ელის. მდიდარ და გავლენიან მოხუცს რევოლუციონერები ქრისტეს უარყოფას და სიცოცხლის შენარჩუნებას სთავაზობენ. ბოშა პელეს კი პასუხი-

სათვის არ სცალია, — დაუცხრომლად ლოცულობს და სიკვდილისათვის ემზადება.

2 აგვისტოს ოცი ქრისტიანი პატიმარი სასაფლაოზე მიჰყავთ და დილის სამ საათზე ოცივეს დახვრეტენ. სიცოცხლის გადასარჩენად საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს განეცხადებინა, რომ უარს ამბობდა თავის რწმენაზე. მოხუც პელეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ხელში სავარდე უჭირავს და მაცხოვართან შესახვედრად ემზადება. მისი უკანასკნელი სიტყვებია: "Laudetur Jesus Christus!" — "გაუმარჯოს იესო ქრისტეს!".

შემდეგ ყველანი საერთო საფლავში ჩაყარეს და თხრილი კირით ამოავსეს. 75 წლის პატივდებული ბოშის დახვრეტის ამბავი ახლომახლო სწრაფად გავრცელდა. ბარბასტრის ქრისტიანებმა — ბოშებმაც და თეთრებმაც — პელე მონამედ აღიარეს და მის სახელზე ლოცვები დააწესეს.

ბოშა პელე ანუ სრული სახელით — ჩეფერინო ხიმენეს მალა 1861 წელს ჩრდილოესპანურ ქალაქ ფრაგაში დაიბადა. მისი მშობლები, ისევე როგორც ათასობით თუ მილიონობით ბოშა, მოხეტიალე ცხოვრებას მისდევდნენ და კატალონიისა თუ ჩრდილოეთი არაგონიის მრავალი ქალაქი და სოფელი ჰქონდათ შემოვლილი. ბავშვობა პელემ დიდ სილატაკეში გაატარა, — თუნდაც იმის გამო, რომ მამამისმა ცოლშვილი ადრე მიატოვა და სხვა ქალთან ცხოვრობდა. ამიტომ პელეს უკვე პატარაობიდანვე დაევალა თავის უმცროს და-ძმებზე ზრუნვა და მათთვის ლუკმაპურის მოპოვება. ბიძამისმა მას სიყმანვილეშივე ასწავლა თხების მოვლა-პატრონობა და სულ მალე პელე თავისი ჯოგით ესპანეთის შარაგზებს შეუდგა,

რათა თხები სოფელ-სოფელ გაეყიდა. სკოლაში კი მას არასოდეს უვლია და ამიტომ არც წერა-კითხვა იცოდა და არც ანგარიში. ენა ახალამოდგმული ჰქონდა, როცა კატალონიურ ენაზე ლოცვები დაისწავლა და სიკვდილამდე განუწყვეტლივ იმეორებდა მათ.

მრავალწლიანი მოხეტიალე ცხოვრების შემდეგ, 18 წლის პელე ქალაქ ბარბარსტრში დასახლდა, სადაც მან ახალ საქმიანობას მოჰკიდა ხელი — ცხენების ყიდვასა და გაყიდვას. მალე იგი ბოშა გოგონაზე — ტერეზა ხიმენესზე დაქორწინდა. მართალია, იგი მორწმუნე ქრისტიანი იყო, მაგრამ ბოშური წესჩვეულებით დადასტურებული ქორწინება თავდაპირველად მას სავსებით საკმარისად მიაჩნდა კანონიერი ცოლქმრობისათვის, თუმცა, ოცდაათწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ, მან მაინც გადაწყვიტა, საეკლესიო კურთხევაც მოეპოვებინა და წმიდა ლავრენტის ეკლესიაში კათოლიკური რიტუალით დაინერა ჯვარი. საკუთარი შვილები პელეს არასოდეს ჰყოლია და გასაზრდელად თავისი მეუღლის დისშვილი აიყვანა, რომელიც ცოლის გარდაცვალების შემდეგ სასწრაფოდ გაათხოვა, რათა ქალაქში არასასურველი ხმები არ დარხეულიყო. მაგრამ ნაშვილები ქალიშვილის ქმარი შინ ჩაისიძა და შვიდ შვილიშვილთან ერთად თავის ვეებერთელა სახლში ბედნიერი პაპის ცხოვრებით ტკბებოდა. თუმცა მალე სახლი გამრავლებულ მემკვიდრეებს დაუტოვა და თავად უნივერსიტეტის პროფესორის, დონ ნიკოლას სანტოს დე ოტოს, მამულში გადასახლდა, სადაც მოურავად დაინყო სამსახური.

პელეს ცხოვრებიდან თანამედროვეთა მიერ შემონახული ფაქტები შუასაუკუნეობრივ ლეგენდებს

ან ჰაგიოგრაფიის ზოგიერთ ფურცელს მოგვაგონებს: მაგალითად, როგორ დაურიგა მან თითქმის მთელი თავისი მონაგარი უპოვარ თანაქალაქელებს, თუ როგორ დაბრალდა მას საქონლის მოპარვა და როგორ სასწაულებრივად გაიმართლა თავი, ან თუ როგორ უპატრონა ქუჩაში ნაქცეულ, სისხლით გათხვრილ ჭლექიან მოხუცს, რომელსაც სენის გადადების შიშით ვერავინ ეკარებოდა და რომელიც ყოფილი მამასახლისი დონ რაფაელ იორდანი აღმოჩნდა. სწორედ მისმა ძმამ, მადლიერების გამოსახატავად, უხვად დააჯილდოვა ჭაბუკი პელე, — ყოველ შემთხვევაში, თანხა იმხელა იყო, რომ მან საფრანგეთში ნახირი შეისყიდა და სულ მალე წმიდა იპოლიტეს უბანში საკუთარი სახლის მფლობელი გახდა.

არც ისე დიდი ხნის შემდეგ წერა-კითხვის უცოდინარი პელე მთელ ესპანეთში ცნობილ კაცად იქცა და მაშინ, როცა მადრიდში მაცხოვრის უწმიდესი გულის დიდი დღესასწაული ჩატარდა, ოფიციალურ რიტუალზე ბოშებს სწორედ პელე წარმოადგენდა, სადაც იგი ესპანეთის მეფეს, ალფონს XIII-ს, მის მინისტრებსა და იქ მყოფ ეპისკოპოსებს შეხვდა. ეს ფაქტი ესპანელი ბოშებისათვის ამალეღვებელი მოვლენა იყო, — ესპანეთის სამეფო კარმა და უმაღლესმა სამღვდელოებამ კი, რა თქმა უნდა, არ იცოდა, თუ კათოლიკე ეკლესიის მომავალ წმიდანს, პირველ ბომა წმიდანს ელაპარაკებოდა.

ბოშები კი ესპანეთში უკვე კარგა ხანია ცხოვრობდნენ. ერთი ადრეული ლეგენდის თანახმად, ისინი ეგვიპტიდან გადმოსახლდნენ და რომისაკენ გაემართნენ, რათა პაპს მათთვის წინაპართა ცოდვა მიეტყვებინა. მათი ცოდვა კი ის იყო, რომ როცა წმიდა

ოჯახი — ყრმა იესო, მარიამი და იოსები — ეგვიპტეს აფარებდნენ თავს, გადმოცემის მიხედვით, სწორედ ბოშები არ დაეხმარნენ დევნილებს. ზოგიერთები მათ მონგოლების, ზოგიერთები — თურქების, ან უფრო მეტნი ინდოელების შთამომავლებად მიიჩნევდნენ, ზოგიერთთათვის კი ისინი ლეგენდარული ატლანტიდის მოსახლეობის წარჩენებს წარმოადგენდნენ. ძნელია ითქვას, ამ ლეგენდების თუ თავად მათი თავდაპირველი უწყინარობის ბრალი იყო, მაგრამ როდესაც ბოშები პირველად გამოჩნდნენ ევროპაში — XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე — ისინი აქ მშვიდობიანად მიიღეს, თუმცა ეს მანამ გაგრძელდა, სანამ 1427 წელს პარიზის მთავარეპისკოპოსმა ისინი ანათემას გადასცა, — იმის გამო, რომ ლიტურგიული წლის განრიგს არ იცავდნენ, იმის გამო, რომ ხელზე მკითხაობასა და წვრილმან ქურდობას მისდევდნენ, იმის გამო, რომ მომთაბარე ცხოვრებას იყვნენ ჩვეულნი. მას შემდეგ ბოშების ჩაქოლვა კანონიერად იქნა მიჩნეული, ხოლო ბოშის მოკვლა ცოდვად არ ჩაითვლებოდა. იმპერატრისა მარია ტერეზიასა და მისი ვაჟის, იოსებ II-ის, განმანათლებლურ ეპოქაში პირველად დადგა ბოშათა მიმართ შემწყნარებლობის ხანა. იმპერიულ საბუთებში მათ ახალი ეროვნული სახელდება მიენიჭათ — "ახალი ავსტრიელები". იმდროინდელი კანონებით ბოშებს ურიგდებოდათ მიწები, აუცილებლად ევალებოდათ ნათლობა და სკოლაში სიარული, მაგრამ ეკრძალებოდათ საკუთარ ენაზე ლაპარაკი.

ადოლფ ჰიტლერმა კომუნისტებსა და სოციალისტებთან, ებრაელებთან და ჰომოსექსუალებთან ერთად, ბოშების თავიდან მოშორებაც დაისახა მიზნად, მაგრამ იმის გამო, რომ, სხვათაგან განსხვავებით,

მათ დღემდე ვერ შექმნეს მძლავრი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტური მანქანა, ბოშურ “ჰოლოკოსტზე” დღეს ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს.

ომის შემდეგ დანიელმა ცოლ-ქმარმა ტამბურებმა შექმნეს ბოშათა საერთაშორისო კათოლიკური კომიტეტი, რომელმაც მსოფლიოში გაფანტული ბოშების დაცვა დაისახა მიზნად. 1957 წელს რომის კათოლიკე ეკლესიამ ლურდში ბოშათა მსოფლიო მომლოცველობა მოაწყო. რვა წლის შემდეგ რომის პაპმა პავლე VI-მ საგანგებო მიღება მოუწყო მათ წარმომადგენლებს, იოანე პავლე II-მ კი მხარი დაუჭირა მათს მოთხოვნებს, დაიცვან საკუთარი ენა, კულტურა და ეროვნული მეობა.

1993 წელს დაიწყო ბოშური წარმოშობის ესპანელი მონამის, ჩეფერინო ხიმენეს მალას, ნეტარად შერაცხვის პროცესი, რომელიც 1996 წლის 4 მაისს რომის წმიდა პეტრეს ტაძარში აღსრულდა.

“არილი”, 14-20 მაისი, 1998

ერნსტ იუნგერი

1997 წლის 17 თებერვალს, შტუტგარტის მახლობლად, პატარა ქალაქ ვილფლინგენში, 102 წლისა გარდაიცვალა ერნსტ იუნგერი, მეოცე საუკუნის გერმანული კულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, — მწერალი, მოაზროვნე, მკვლევარი.

ერნსტ იუნგერი 1895 წლის 29 მარტს დაიბადა ჰაიდელბერგში. იგი შვიდ და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო, მეგობრობით კი ყველაზე მეტად უმცროს ძმასთან, ფრიდრიხ გეორგთან, მეგობრობდა (რომელიც შემდგომში ფილოსოფოსი და პოეტი გახდა). მას შემდეგ, რაც ჭაბუკმა წიგნების კითხვის ყმანვილური ციებ-ცხელება მოიხადა, თვრამეტი წლისა, 1913 წელს სახლიდან გაიპარა და საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში ჩაენერა, რომელთან ერთად მალე შორეულ აფრიკაში ამოჰყო თავი. მართალია, მამამისის — აფთიაქარისა და ქიმიკოსის — ჩარევის შემდეგ მისი პირველი თავგადასავალი ისევ გიმნაზიის მერხთან მიბრუნებით დამთავრდა, მაგრამ შემდგომში ამ ლირშესანიშნავმა ეპიზოდმა მას ერთი რომანი — “აფრიკული თამაშობანი” (1936) დააწერინა.

რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, უკვე გარეშე გავლენებისა და გარეშე ჩარევების შედეგად — თან გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების მოწმობაც უკვე მოპოვებული იყო — იუნგერი იმ პირველ მოხალისეთა შორის აღ-

მოჩნდა, რომლებიც ომის პირველი დღეებიდანვე ჩაებნენ ბრძოლებში. დასავლეთის ფრონტზე იგი თოთხმეტჯერ დაიჭრა, მაგრამ თუ გერმანია ომიდან დამარცხებული გამოვიდა, იუნგერმა საყოველთაოდ აღიარებული გმირის სახელითა და უმაღლესი სამხედრო ჯილდოებით დატოვა ბრძოლის ველი. თუმცა მწერლისათვის, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ლიტერატურული მონაპოვარია, რომელსაც ხანდახან ცხოვრებისეული გამოცდილებაც არ უშლის ხელს, — ომის გამოცდილება კი იუნგერის 20-იანი წლების წიგნებში აირეკლა: "ფოლადის ქარიშხლებში" (1920), "ბრძოლა როგორც შინაგანი გამოცდილება" (1922), "ცეცხლი და სისხლი" (1925). ამ ნაწარმოებებში ომი დანახულია როგორც ბუნების კანონი, რომლის წყაროები ღრმადაა შეფარული ცივილიზაციის საფარქვეშ.

ნაომარი გმირი და გახმაურებული წიგნების ავტორი მალე ისევ სტუდენტის მერხს მიუჯდა — ამჯერად ლაიფციგისა და ნეაპოლის უნივერსიტეტებში იგი ზოოლოგიასა და ფილოსოფიას სწავლობს, 1925-დან 1933 წლამდე კი ბევრს ბეჭდავს ნაციონალისტურად განწყობილ ჟურნალებში, დაუნდობლად ესხმის თავს დემოკრატიას, როგორც 19-ე საუკუნის ბურჟუაზიული სამყაროს მემკვიდრეობას და მიიჩნევს, რომ დემოკრატიული წყობილება სრულიად ეწინააღმდეგება ცხოვრების საფუძვლებსა და პირველსაწყისებს.

1929 წელს იუნგერი თავის ახალ წიგნს ბეჭდავს — "თავგადასავლის მაძიებელი გული", რომელშიც ერთმანეთს ერწყმის სიზმრები, ბუნების სურათები, მოგონებები, ვრცელი მსჯელობანი ტექნიკის, პოლი-

ტიკისა და ისტორიის შესახებ. დღემდე იუნგერის ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებად რჩება 1932 წელს გამოცემული წიგნი "მუშა", რომელშიც (1930 წელს დაბეჭდილ "ტოტალურ მობილიზაციასთან" ერთად) თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის ანალიზია წარმოდგენილი. ძალა, რომელიც სამყაროში მოქმედებს, მოითხოვს ყოველი ერთეული ელემენტის ტოტალურ ფუნქციონალურ დატვირთვას, ჩართვას; პოლიტიკურ სფეროში ამ ძალას ყველაზე მეტად, მწერლის აზრით, ტოტალური სახელმწიფო შეეფერება.

იუნგერის ამ წიგნმა საკმაო გავლენა მოახდინა მარტინ ჰაიდეგერის შეხედულებებზე ტექნიკისა და სახელმწიფოს არსის შესახებ, მაგრამ, რაც მთავარია, და რასაც ყველაზე ძნელად პატიობენ იუნგერს, ამ წიგნით — თავის სხვა ნაწერებთან ერთად — მწერალმა თითქოს გზა გაუკაფა გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას. ამიტომ, ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს, რომ, როცა ნაციისტები სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ, იუნგერმა ზურგი შეაქცია იმ რეჟიმს, რომელიც, გარეშე მეთვალყურეთა აზრით, მისი იდეების ხორცშესხმას წარმოადგენდა. მაგრამ მოულოდნელი ის იყო, რომ ამ დროს მწერალმა საერთოდ შეწყვიტა ყოველგვარი პუბლიცისტური მოღვაწეობა, უარი განაცხადა პრუსიის ხელოვნების აკადემიის წევრობაზე და საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრებიდან ჩრდილში გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში მისი შემოქმედებიდან ნელ-ნელა გაუჩინარდა აქტივისტური ტონები და ტექნიკით აღფრთოვანება; თანდათან იგი ხდება ოდენ დამკვირვებელი, რომელიც სულ უფრო

და უფრო მეტ დროს უთმობს მედიტაციებს ბუნების მოვლენების გამო.

1938 წელს იგი ხელახლა გამოსცემს “თავგადასავლის მაძიებელ გულს”, თავად “თავგადასავალს” კი ახალ მნიშვნელობას მიანიჭებს — ესაა ფათერაკებით აღსავსე გზა შინაგან სამყაროში და ის გამოცდილება, რასაც ადამიანი მოიპოვებს მინარალებთან, ყვავილებთან, ცხოველებთან შეხვედრისას. უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, იბეჭდება მწერლის საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოები — “მარმარილოს რიფებზე”, რომლის იგავური სამყარო მკითხველმა სიმბოლურ პროტესტად აღიქვა იმ რეჟიმის წინააღმდეგ, იმხანად რომ ბატონობდა გერმანიაში.

როგორც კი ომი დაიწყო, ერნსტ იუნგერი მობილიზებულ იქნა მოქმედ არმიაში. ბრძოლებისას მან კავკასიონამდე მოაღწია, მაგრამ ქედის სამხრეთით გადმობიჯება მას, ისევე როგორც გერმანული არმიის ნაწილებს, აღარ მოსწევია, თუმცა კავკასიური ბუნებით აღტაცება მწერალმა და თავდაუზოგავმა მოგზაურმა მაინც მოასწრო. მალე იგი სამხედრო შტაბში აღმოჩნდება პარიზში, სადაც, იქაური ინტელექტუალური სალონების ხშირი სტუმარი, კიდევ უფრო დაუახლოვდება არა მარტო ფრანგულ კულტურას, არამედ მის ცოცხალ წარმომადგენლებსაც — კოკტოს, სელინს, პიკასოს, ბრაქს.

ომი დამთავრებული არ იყო, როცა ხელნაწერის სახით საიდუმლოდ გავრცელდა იუნგერის ესეი “მშვიდობა” (1943), რომელიც მწერალმა იტალიაში ბრძოლისას დაღუპული შვილის ხსოვნას მიუძღვნა. ნაწარმოები, რომელშიც კაპიტანი იუნგერი ახალ-

გაზრდა თაობებს ქრისტიანულ ეთიკაზე დაფუძნებული ევროპული ერთიანობისაკენ მოუწოდებს, იმ გერმანელ ოფიცერთა პოლიტიკურ პროგრამად იქცა, რომელთაც 1944 წელს შეთქმულება მოაწყვეს ჰიტლერზე თავდასასხმელად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არისტოკრატიულ-სამხედრო შეთქმულების ჩაშლისთანავე იუნგერი სამხედრო სამსახურიდან ღირსებააყრილი დაითხოვეს, იგი მაინც გადაურჩა გესტაპოს — როგორც ამბობენ, ეს განაპირობა მისმა განსაკუთრებულმა დამსახურებებმა, ერთი მხრივ, პირველი მსოფლიო ომისას და, მეორე მხრივ, ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიური შემზადების საქმეში.

მაგრამ თუ ამ დამსახურებებმა ომის მიწურულს მას სიცოცხლე შეუნარჩუნა, სამაგიეროდ, ცუდი სამსახური გაუწია ომის შემდგომ, — საოკუპაციო ხელისუფლებამ ადრეული ანტიდემოკრატიული და ნაციონალისტური ტენდენციების გამო მწერალს რამდენიმე წლით აუკრძალა ბეჭდვა. როგორც კი 1949 წელს აკრძალვის ვადა დამთავრდა, იგი ბეჭდავს ომის დღიურებს — "ნათება" და გახმაურებულ უტოპიურ რომანს "ჰელიოპოლისს", 1959 წელს კი იუნგერი მირჩა ელიადესთან ერთად შტუტგარტში აარსებს ჟურნალ "ანთეოსს".

ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი მიჯნის გადაბიჯების შემდეგ, დარჩენილ ნახევარ საუკუნეში იგი პატარა ქალაქ ვილფლინგენში დასახლდება, აგროვებს იშვიათი მწერებისა და იშვიათი ნიგნების უმდიდრეს კოლექციებს, დაუღლეოდ მოგზაურობს ყველა კონტინენტზე და აქვეყნებს რომანებს, ნოველებს, ესეებს, ჩანაწერებს, დღიურებს: "გორდიას კვანძი"

(1953) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას ეხება; “ნიგნი ქვიშის საათის შესახებ” (1954) ჩაფიქრებაა დროსა და განვლილ ცხოვრებაზე; “შუშის ფუტკრები” (1957) ისევ ბუნებისა და ტექნიკის, ინდივიდუუმისა და საზოგადოების ურთიერთობას უტრიალებს; “ფაქიზი ნადირობანი” (1967) მწერლის ენტიმოლოგიურ განზოგადებებს ირეკლავს (სხვათა შორის, იუნგერმა რამდენიმე მანამდე უცნობი მწერი აღმოაჩინა, ერთი პეპელა მის სახელსაც კი ატარებს, რაც მას ყოველთვის ისევე განსაკუთრებით ეამაყებოდა, როგორც ვლადიმირ ნაბოკოვს მისი სახელობის პეპლების არსებობა); “მიახლოებაში” (1970) ავტორი მკითხველს უზიარებს თავის იმ ცდებსა და გამოცდილებას, რომელიც მწერალმა ნარკოტიკებით გატაცებისას შეიძინა; “შურდული” (1973) სიჭაბუკისდროინდელ მოგონებებს მოიცავს და უღრმავდება.

მას შემდეგ, რაც ევროპაში ნელ-ნელა ძალა ეფიტიება მემარცხენეთა ინტელექტუალურ მონოპოლიას, მწერლის სახელი სულ უფრო აღიარებული ხდება, — თავდაპირველად საფრანგეთში, შემდგომ — სამშობლოშიც, თუმცა, როცა 1982 წელს მას გოეთეს პრემიას მიანიჭებენ, მემარცხენეები ისევ ბობოქრობენ...

სიცოცხლის მიწურულს იგი იწყებს თავისი დღიურების გამოქვეყნებას — “სამოცდაათის გადაბიჯების შემდეგ”, რომლის უკანასკნელი ტომი მწერალმა თავისი დაბადების ასი წლისთავზე გამოსცა.

ერნსტ იუნგერის ცხოვრება და შემოქმედება მრავალ წინააღმდეგობას ითავსებდა — იგი, ერთი მხრივ, იყო ტექნიკური ცივილიზაციის ფილოსოფოსი და, მეორე მხრივ, მცენარეების ფერთა და

სურნელებათა შესახებ მაგიური მედიტაციების ავტორი, იგი თანამედროვეთა მიერ პოლიტიკურ და ისტორიოსოფიურ მოაზროვნედ იყო მიჩნეული და, ამავე დროს, პარტიზანულ ცნობებს გვანვდიდა სიზმრებისა და ნარკოტიკული გაბრუების საუფლოდან, იგი ფიქრობდა დედამიწის ბედზე და დაჟინებით აკვირდებოდა მწერებს. მთელი მისი შემოქმედება განმსჭვალულია ერთი უმთავრესი დაპირისპირებით, — ესაა დაპირისპირება დღის სამყაროსა და ღამის სამყაროს შორის. სამყაროს ღამეული მხარე კი, მწერლის აზრით, ცხადდება სიზმრებში, თრობაში, სიკვდილისას. სწორედ ამ დროს ეშვება ადამიანი დედისეულ წინარესიღრმეებში, სწორედ ამ ბურუსში იბადება ჩვენი სამყაროს პირველსახეები.

იუნგერისეულ ტექსტებს, განსაკუთრებულ პროზაულ ნაწარმოებებს, პარადოქსული ხასიათი აქვს: ერთი მხრივ, ესაა სიზმარი და წარმოსახვა, მეორე მხრივ — ცივი ანალიზი; ერთი მხრივ, ჰალიცინაციურ ხილვათა ჯაჭვი და, მეორე მხრივ, მოვლენათა ზუსტი აღწერა. თხრობა აშკარად მითოსურია, თუმცა ამ მითოსის ზედროული მთლიანობა მათემატიკურ ფორმულას მოგვაგონებს, ტექსტში აშკარაა უეცარი განათების სიჭარბე: აქ ვერ იპოვით ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებებს, ნახევარტონებს, განწყობებს; ჩანს ოდენ კრისტალურად გამჭვირვალე სახეები, რომელთაც მსჭვალავს ყოფიერების განუყოფელი შუქი; აქ ყოველივე ინდივიდუალური ქრება, რომელიც, ამავე დროს, ყოველ წამს შეიძლება გადაიქცეს ქაოსის წყვილიად.

ერნსტ იუნგერს, როგორც პლატონის მონაფესა და ბორხესის მეგობარს, სჯეროდა, რომ ჩვენი

ამქვეყნიური ცხოვრება არის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, მიმალული და იდუმალი სამყაროს ანარეკლი, მას, როგორც ნიცშეს მოწაფესა და ელი-ადეს მეგობარს, სწამდა, რომ სამყაროს არსი ხელახალი დაბრუნებაა, რომ ყველაფერი, ერთხელ მომხდარი, ისევ განმეორდება.

ერნსტ იუნგერის სიცოცხლემ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, მისი ტვინი საუკუნეზე მეტ ხანს ფეთქავდა, მისი მზერა საუკუნეზე მეტ ხანს შეჰყურებდა უცვლელი პირველსახეებისა და ბიოლოგიური პროცესების მარადიულობას. რაც შეეხება ისტორიისა და დროის ცვალებადობის, ან საგანთა და მოვლენათა წარმავალობის დანახვას, ეს ას ორ წელზე ნაკლებ დროშიც ადვილად ხერხდება.

“არილი”, 4-10 ივნისი, 1998

ობრი ბერდსლი

ვიქტორიანული ეპოქის ხიბლისა თუ ფარისევლობის, ბრწყინვალეებისა თუ სიყალბის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დანერვილა, მაგრამ ხანდახან მხედველობას გაეპარება ხოლმე მის წიაღში მოგიზგიზე ის ნაპერწკალი, რომელიც ნელ-ნელა და შეუმჩნეველად ამ ეპოქასა და მის ფასეულობებს უეჭველი აფეთქებით ემუქრებოდა. რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, როცა ლონდონის წიგნის მაღაზიებში ობრი ბერდსლის მიერ ილუსტრირებული გამოცემები იყიდებოდა, დედოფალი ვიქტორია თავს ჯერ სავსებით მხნედ გრძნობდა, ხოლო როცა 25 წლის გენიალური მხატვარი სამხრეთფრანგულ მერტონში სიკვდილს ხვდებოდა, ბრიტანეთის სახელოვან მონარქს, იმავე ვიქტორიას, წინ კიდევ ორი წლის სიცოცხლე ელოდა.

ობრი ბერდსლი არა მარტო თანამედროვე გრაფიკის მამამთავრადაა მიჩნეული, რომლის გარეშე ძნელი წარმოსადგენია XX საუკუნის არაერთი ხელოვანის შემოქმედებითი გზა, არამედ იმ არჩევანისა და სტილის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურადაც, რასაც კლასიფიკაციათა და ეპითეტების მოყვარულები "ესთეტიზმს" უწოდებენ ხოლმე. ვისაც ეს ცნება რასმე ეუბნება, ის არა მარტო ხელოვნების, არამედ ცხოვრების სტილსა და არჩევანსაც გულისხმობს, — სილამაზისა და ხელოვნების მოთაყვანეს, ყველგან და ყველაფერში სილამაზის მაძიებელსა და დამამკვიდრებელს, ხოლო თუ ესთეტიკის პიროვნულად წარმოსადგენად ვისმე გაიხსენებენ, პირველ

რიგში, უთუოდ ოსკარ უაილდსა და ობრი ბერდსლის, რომელთა სახელები შემთხვევამ თუ არა-შემთხვევამ, ბედმა თუ უბედობამ, ხელოვნებამ თუ ცხოვრების ტრაგიზმმა ერთმანეთთან განუყოფლად დააკავშირა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მათ არც მეგობრობა აკავშირებდათ, არც მსგავსი თავგადასავლები, და თუ ესთეტიზმის საზღვარდაუდები პრინციპების განხორციელებას ოსკარ უაილდი ცხოვრებაში ცდილობდა, ბერდსლის გაფაქიზებული და შეფარული სწრაფვანი მხოლოდ ხელოვნებაში პოვებდა გამოვლინებას, — დაბრალება ცოდვაა, მაგრამ შესაძლოა იმიტომაც, რომ გაუცხადებელი მიდრეკილებების ხორცშესხმა მას არც ავადმყოფობამ დააცალა და არც აგრე ადრეულმა სიკვდილმა. თუმცა ის კითხვაც არაა დასავიწყებელი, თუ რატომაა აღსავესე ან უაილდის კატორღული აღსარებანი ან ბერდსლის სიკვდილისწინა წერილები ამგვარი მონინებით ქრისტეს პიროვნებისა და მისი მხსნელი მსხვერპლის მიმართ, ქრისტიანული ფასეულობების ამგვარი სიღრმისეული წვდომით და უპირობო აღიარებით? იქნებ ღმრთაებრივი სილამაზისაკენ სწრაფვა მართლაც თავად ღმრთაებისაკენ სწრაფვის გზაცაა?

ობრი ბერდსლი 1872 წლის 21 აგვისტოს სამხრეთ ინგლისში, ბრაიტონში დაიბადა. მისი ოჯახი ინგლისური ბურჟუაზიის საშუალო შეძლებულ კლასს ეკუთვნოდა, მაგრამ მამამისი ჯერ კიდევ მაშინ გაეკოტრდა, როცა თავის მომავალ მეუღლეს შორიდან ეტრფოდა. ოჯახი ფაქტობრივ დედის შემოსავლით ცხოვრობდა, რომელიც მონაფეებს ფრანგულ ენასა და ფორტიპიანოზე დაკვრას ასწავლიდა. ხანდახან ხელმომჭირნე ოჯახს მდიდარი ნათესავებიც გაუ-

წვდიდნენ ხოლმე ხელს, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შელავათი იყო.

ექვსი წლის ასაკში ბერდსლის ქლექი დაემართა და იმ დროიდან მისი ცხოვრება სიკვდილის აჩრდილით იყო დაღდასმული. მაგრამ — და, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც — შემოქმედებითი ინტენსივობითა და მგზნებარებით იგი იმთავითვე აოცებდა ირგვლივ მყოფთ. მისი ერთი თანატოლი და სიჭაბუკის მეგობარი, მომავალში ყველაზე სახელგანთქმული ირლანდიელი პოეტი და ნობელის პრემიის ლაურეატი, უილიამ ბატლერ იეიტსი წლების შემდეგ იხსენებდა, რომ ბერდსლის გვერდით იგი მისგან გადმომდინარე ენერჯის იმგვარ ძლიერ ძალას გრძნობდა, რაგვარსაც ცხოვრების განმავლობაში აღარასოდეს შეხვედრია ამ ასაკის ყმანვილებს შორის.

სკოლაში სწავლისას ბერდსლის ძირითადად ლიტერატურა და თეატრი იტაცებს, და ამიტომაც მისი პირველი პუბლიკაცია ნახატები კი არა, ესეისტური ნარკვევია, რომელიც ჟურნალ "პიკანტურ ამბებში" იბეჭდება.

მაგრამ ოჯახს უკვე მეტისმეტი სიღუხჭირე ემუქრება და 15 წლის ჭაბუკი იძულებულია, ერთ ლონდონურ სადაზღვევო კომპანიაში კლერკად დაიწყოს მუშაობა. ყოველ საღამოს კი, სამსახურის შემდეგ, ცხრა საათისათვის იგი ჯდება სანერ მაგიდასთან და იწყებს ხატვას, — ხატვას მხოლოდ ორი სანთლის შუქზე, რათა ელექტრონის ან გაზის ნათებამ არ დაარღვიოს სინათლისა და ჩრდილის სილამაზე და იღუმალეება. „ეს არის აბსოლუტურად ახალი სამყარო, რომელიც თავად მე შევქმენი“, — ამბობს ჭაბუკი მხატვარი, და ფურცელი დილამდე ივსება სათუო

სქესისა და სათუო ასაკის პერსონაჟებით, რომლებიც ნახატებზე სათუო დროიდან და სათუო გარემოდან გადმოსახლებულან.

მაგრამ ამ დროს ბერდსლის ელის ორი გადამწყვეტი შეხვედრა, რომლებიც მთელ მის სიცოცხლეს შემოაბრუნებს. პრერაფაელიტების სკოლის მეთაური, სერ ედვარდ ბერნ-ჯონსი ჭაბუკი მხატვრის ოცი ნახატის ნახვის შემდეგ ამბობს: "თქვენს ნიჭში არავის ძალუძს შეეჭვება! დადგება დრო და თქვენ შექმნით დიად და შესანიშნავ ქმნილებებს! მიატოვეთ ყველაფერი ხელოვნებისათვის!". და სახელოვანი ოსტატი 19 წლის ბერდსლის ვესტმინსტერის ხელოვნების სკოლაში შეუძღვება. იქ გატარებული რამდენიმე თვე ბერდსლის ერთადერთი სამხატვრო განათლება აღმოჩნდება, თუ არ ჩავთვლით მის სათაყვანო და შთამაგონებელ მასწავლებლებს: ძველი ბერძნული ქოთნებისა და ლარნაკების ოსტატებს, რომაელ მოქანდაკეებსა და შუა საუკუნეების ხატმწერებს, საეკლესიო ფრესკის ხელოსნებსა და ხელოვანთ, იაპონური გრაგნილების, იტალიური ფრიზების, ფრანგული გრაფიურების, ინგლისური ავეჯის, იშვიათი მინანქრების შემქმნელებს, მანტენიასა და რაფაელს, დიურერსა და კლოდ ლორენს, უილიამ მორისსა და დანტე გაბრიელ როსეტის...

და ამ დროს — ბედის კიდევ ერთი გაღიმება, კიდევ ერთი შეხვედრა: მდიდარი ინგლისელი გამომცემელი, რომელსაც ტომას მელორის "მეფე არტურის სიკვდილის" მდიდრული გამოცემა გადაუწყვეტია, ხელშეკრულებას დაუდებს ჭაბუკ მხატვარს, და ოცი წლის ბერდსლი იწყებს ნიგნის გაფორმებას, — იწყებს ნაბეჭდი ნიგნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე

წარმტაც და უმშვენიერეს გამოცემაზე მუშაობას. ორი წლის განმავლობაში იგი ქმნის 550-ზე მეტ ილუსტრაციას, ვინიეტს, თავხატულობას, ორნამენტს, მთავრულ ასოებს... ბერდსლი ამის შემდეგ აღარასოდეს აღმოჩენილა ნივთიერი შეჭირვების პირისპირ.

და შემდგომ, წიგნების წყება — პირველ ყოვლისა, ოსკარ უილდის "სალომეს" ილუსტრაციები, იმ ეპიზოდების ილუსტრაციები, რომელთა შესახებ თავად პიესის ტექსტში არაფერია ნათქვამი და რომლებიც მხოლოდ მხატვრის ინსპირაციის ნაყოფია, თავბრუდამხვევი ხაზობრივი რიტმით, შავ-თეთრი კონტურებით, საგანთა, მცენარეთა, სხეულთა ბოლომდე უთქმელი ვნებითა და სწრაფვით, ანდა არისტოფანეს "ლისისტრატე" — უფაქიზესი ხაზით, თავზარდამცემი ეროტიკულობით, შემაშფოთებელი ირონიულობით, ყალმის გასაოცარი და დაუჯერებელი ფლობით; და ისევ წიგნები, ჟურნალები, კატალოგები... იუვენალისი და ლუკიანე, ძველი ინგლისელი მწერლები, შუასაუკუნეობრივი და ბაროკული ლეგენდები და გადმოცემები...

1895 წელს ოსკარ უილდის სკანდალური პროცესის შემდეგ, რომელთანაც ბერდსლის ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო, ჭაბუკი მხატვარი თითქმის კატასტროფის პირისპირ აღმოჩნდება, თუმცა სულ მალე მას ისევ სამხატვრო რედაქტორად მიიწვევენ, — შეძლებული მფარველების მიერ საგანგებოდ მისთვის შექმნილ ჟურნალში „სავოი“, სადაც მის სურათებთან ერთად დაიბეჭდება მისი რომანი „ვენუსი და ტანჰოიზერი“. მისი ნახატების პერსონაჟები კი, შავი აღმაზივით მოელვარე და იდუმალი, ისევ სიზმრისა და სინამდვილის, ამაღლებულისა და ბილწის

საზღვარზე ლივლივებს, ისევ სხეულსა და სულს ამბოხებისაკენ უხმობს, — პურიტანული მორალისა და ბურჟუაზიული უსახურობის წინააღმდეგ.

1896 წლის დასაწყისში ავადმყოფობა მძაფრდება და უფრო შესაფერი კლიმატის ძიებაში ჭლეტიანი ჭაბუკი მხატვარი საფრანგეთში გადასახლდება. ამ დროს დასასრულისაკენ დაქანებულ მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი გარდატეხა ხდება — მხატვარი რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღში პოვებს ხსნას, ნეტარებას, იმედს. და ამის შემდეგ მისი წერილები — უკანასკნელი წერილები — აღსაყვება სულის ხსნაზე სიხარულიანი და მტანჯველი ფიქრით, მოსასოე ლოცვით, იმ ტკივილით, რომ მოახლოებული სიკვდილი მას დროს აღარ უტოვებს, სხეული ბერის სუტანიტ შეიმოსოს.

ბერდსლის შემოქმედება სხეულის განთავისუფლების მცდელობაა ფარისევლობისა და უღიმღამობის ხუნდებისაგან, სიცოცხლის მიწურულს მხატვარი სულის გათავისუფლებას ცდილობდა სხეულის ხუნდებისაგან, იმ ავადმყოფი და დაუძლურებული სხეულისაგან, რომელმაც მისი სულის ტარება მხოლოდ 25 წელი შეძლო.

“არილი”, 2-8 ივლისი, 1998

ჯორჯ ორუელი

“ცივი ომის” დამთავრების შემდეგ ჯორჯ ორუელის სახელი უკვე ისტორიულად განეკუთვნება ამ ნახევარსაუკუნოვანი, გამთანგველი ომის თავდადებულ მეთმართა თუ მედროშეთა რიგს: საძულველს, საშიშსა და აკრძალულს ბარიკადების ერთ მხარეს, — კომუნისტური ბანაკის სულიერად გადაბუგულ მინაზე და თვალისახელის, ვაჟკაცობისა და სიმართლის განსახიერებას ბარიკადების მეორე მხარეს, — დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში. მართალია, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს ეს მეორე განსაზღვრება იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას ყოველთვის გამარჯვებული მხარე განსაზღვრავს ხოლმე, — უბრალოდ იმიტომ, რომ ცივილიზებულ გარემოში ბევრად უფრო ადვილია სიმართლესთან მიახლოება, ვიდრე იქ, სადაც “უფროსი ძმის” განუწყვეტლად მეთვალყურე თვალი რეჟიმის საჭიროებისდა მიხედვით გამოარჩევს (და განარჩევს) მართალსა და მტყუანს, ერთგულსა და მოღალატეს, გმირსა და ლაჩარს.

მაგრამ ამ დროს და ამ პირობებში, — “ცივი ომის” დამთავრებისა და გამარჯვებულის ერთმნიშვნელოვანი ტრიუმფის მიუხედავად, — ჩნდება უკეთესი საშუალება, შეფასდეს ინგლისელი მწერალი ჯორჯ ორუელი როგორც შემოქმედი, როგორც პუბლიცისტი, როგორც საზოგადოებრივი კრიტიკოსი, როგორც ჩვენი საუკუნის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების არც თუ ჩვეულებრივი და არც თუ ერთმნიშვნელოვანი ფიგურა.

ჯორჯ ორუელი — სახელი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავზარს სცემდა ყოველ კომუნისტ იდეოლოგსა თუ ცენზორს, იმ კაცის ლიტერატურული ფსევდონიმია, რომელიც 1903 წლის 25 ივნისს ერიკ ბლერად დაიბადა ბენგალიაში, ინდოეთში, რომელიც იმ დროს ბრიტანულ კოლონიას წარმოადგენდა და სადაც ახალდაბადებულის მამა — რიჩარდ ბლერი ბრიტანულ სამოქალაქო სამსახურში მუშაობდა. მიუხედავად დაბადების ადგილისა, ყმანვილს მწველი სამხრეთული ქვეყნიდან მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებები და მოგონებები არ წამოუღია, რადგან სულ ოთხი წლისა იყო, როცა ოჯახი — ლარიბი, მაგრამ საკმაოდ სნობური ოჯახი — ისევ ბრიტანეთს დაბრუნდა. მაგრამ იტონის პრესტიჟული სკოლის დამთავრების შემდეგ, სადაც ერიკ ბლერს, სხვათა შორის, ოლდოს ჰაქსლიც ასწავლიდა და სადაც იგი მოწაფეთა შორის სრულიად გამორჩეული ყოფილა თავისი ნივთიერი სიღარიბითა და ინტელექტუალური ბრწყინვალეობით, 19 წლის ჭაბუკს გულმა მაინც სამხრეთ აზიისაკენ გაუწია და კოლონიური კარიერისა და კეთილდღეობის შექმნის იმედით მან ბირმის საიმპერიო პოლიციაში დაიწყო სამსახური. თუ თავდაპირველად იგი სანიმუშო მოხელედ იყო მიჩნეული, მალე თავად დარწმუნდა იმპერიის იდეებისა და პირადი წესიერების შეუთავსებლობაში, სამსახური მიატოვა და სიჭაბუკისდროინდელი ოცნების განხორციელება — მწერლად გახდომა — გადაწყვიტა. თავისი ფსევდონიმი “ჯორჯ ორუელი” კი მან სწორედ მაშინ აღმოსავლეთინგლისური მდინარის — *Orwell*-ის — სახელიდან აიღო, ნიშნად და ნიშანსვეტად იმისა, რომ ბრიტანული იმპერიალიზ-

მისა და ინგლისური ისთებლიშმენტის რიგითი წარმომადგენელი იმ დღიდან ლიტერატურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ამბოხებას იწყებდა.

თუმცა მას მაინც არ ტოვებდა ბრალის განცდა — განცდა იმისა, რომ ბირმაში ყოფნისას მან თავისი რასობრივი და კლასობრივი ჩარჩოების გადალახვა ვერ შეძლო და ვერ დაუახლოვდა იქაურ მცხოვრებლებს. ბრალის გამოსყიდვა დამწყებმა მწერალმა იმით გადანიჭვიტა, რომ, ევროპაში გადმოსახლებულმა, ლატაკთა და მოკვეთილთა შორის ცხოვრება აირჩია. ჩამოძონძილ ტანსაცმელში ჩაცმული ყოფილი პოლიციელი ლონდონის ისტ-ენდში დამკვიდრდება, — მუშათა, მათხოვართა და უსახლკართთა საცხოვრებელში; შემდგომში იგი პარიზში გადავა, სადაც ოტელებსა და რესტორნებში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს; კუნძულზე დაბრუნებული ინგლისის შარაგზებზე მომთაბარე მანანნალებს უერთდება და ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მათთან ერთად სვიის პლანტაციებში საზაფხულო სამუშაოებზე გაემართება.

სულ მალე ქვეყნდება მისი ნაწარმოებები, აღსავსე ბირმული, პარიზული, ინგლისური შთაბეჭდილებებით. 1933 წლიდან კი ყოველწლიურად იბეჭდება ჯორჯ ორუელის თითო ახალი წიგნი, მათ შორის ოთხი რომანი. მაგრამ, ომამდელ ნაწერებს შორის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, — მნიშვნელოვანი პიროვნულადაც და ლიტერატურულადაც, — "პაკტივი კატალონიას", წიგნი, რომელსაც საფუძვლად ავტორის ესპანური შთაბეჭდილებები დაედო.

ცეცხლითა და სისასტიკით მოცული ესპანეთისაკენ ჯორჯ ორუელი გაემართა როგორც მწერალი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, რომელსაც ინგლისური

პრესისათვის რეპორტაჟები უნდა მოემზადებინა რესპუბლიკელებსა და ფალანგისტებს შორის იქ გაჩაღებული სამოქალაქო ომის შესახებ. მაგრამ როგორც კი შთაგონებული ინგლისელი მემარცხენე ბარსელონაში აღმოჩნდა, იმავ წამს თავად ჩაერთო ბრძოლებში და იმათ გვერდით დადგა, რომლებიც ხალხს სოციალისტური სამოთხის აშენებას ჰპირდებოდნენ, — ყოველგვარი ღმერთის, მეფის, წესისა და რიგის, სჯულის, კულტურისა და ტრადიციის გარეშე. ამ “მოძველებულ და დახავსებულ” ფასეულობებს, კომუნისტებისა თუ სოციალისტების, ანარქისტებისა თუ რესპუბლიკელების, სტალინისტებისა თუ ტროცკისტების პოზიციიდან, გენერალი ფრანკო და მისი მომხრეები განასახიერებდნენ. ამიტომ წითელი (თუ შავი) დროშის ქვეშ დარაზმული რევოლუციონერები წარბშეუხრელად ავლებდნენ მუსრს ფრანკისტებს, მაგრამ, ამასთანავე, სპობდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ეკლესიებსა და სასახლეებს, თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას, ინტელექტუალებსა და გლეხებს, მოკლედ რევოლუციონერები იმასვე აკეთებდნენ, რასაც ისინი ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე — რუსეთსა თუ ჩინეთში, საქართველოსა თუ ალბანეთში, კამბოჯასა თუ რუმინეთში. მაგრამ მარქსისტ მუშათა პარტიის, “პოუმის”, რაზმებში აღმოჩენილი ინგლისელი მწერლისათვის უჩვეულო ის აღმოჩნდა, რომ რევოლუციონერები დაუნდობლები ყოფილან არა მარტო მონინაალმდევეთა მიმართ, არამედ კიდევ უფრო მეტად — საკუთარი თანამებრძოლების, ისევ რევოლუციონერების მიმართ, — ამისათვის მცირე საბაბიც კი საკმარისი იყო, თუნდაც შეხედულებათა განსხვავება იმ საკითხში, თუ როგორი ტაქტიკით უნდა განხორციელდეს მსოფლიო რევოლუცია.

ანარქისტ-მარქსისტებსა და კომუნისტებს შორის შეტაკებებისას ორუელი მიძიმედ დაიჭრა ყელში, რამაც მთელი დარჩენილი ცხოვრებისას მას საკმაოდ გაურთულა ლაპარაკის უნარი, მაგრამ, ამავე დროს, მწერალს ბედმა გაუღიმა და მან მოახერხა კლანჭებიდან დასხლტომოდა კომუნისტთა საგანგებო დამსჯელ რაზმებს, რომლებიც ძერჟინსკულ-ეჟოვურ ნაცად მეთოდებს პირინეის ნახევარკუნძულზე ასხამდნენ ხორცს. მწერალი ინგლისს მტკიცე და შეუპოვარ ანტიკომუნისტად დაუბრუნდა, რაც იმდროინდელ ევროპულ ინტელექტუალურ წრეებში არამარტო უჩვეულო, არამედ მეტად წამგებიანი პოზიცია იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჯორჯ ორუელი, ბურჟუაზიული ფასეულობებისა და ბურჟუაზიული ცხოვრების სტილის დაუნდობელი კრიტიკოსი, მაინც მემარცხენედ დარჩა. რელიგიურ ქვემარიტებებზე უარის თქმის შემთხვევაში სხვა ალტერნატივა, ალბათ, არც არსებობს!

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, მას შეედეგ, რაც მწერალს ჯანმრთელობის გამო უარი უთხრეს სამხედრო სამსახურში ჩარიცხვაზე, იგი ბი-ბი-სი-ს ინდურ განყოფილებაში იწყებს მუშაობას; რედაქტორობს გაზეთ "ტრიბიუნის" ლიტერატურულ განყოფილებას; წერს უამრავ რეპორტაჟს, სტატიას, ესეს, ლიტერატურულ გამოკვლევებს, საყმანვილო და სამოგზაურო წიგნებს.

1944 წელს კი ორუელი ამთავრებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნს — "საქონლის ფერმას", დაუნდობელ და გესლიან სატირას სტალინური საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. საქონლის

ფერმა ალეგორიულად კომუნისტური ბანაკია, გარე სამყაროდან ეკლიანი მავთულხლართებით შემოფარგლული, ფერმა, სადაც “ყველა საქონელი თანასწორია, ოღონდ ზოგიერთი საქონელი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები”.

ნიგნის დაბეჭდვა თავდაპირველად გართულდა, მაგრამ როცა მომდევნო წელს გამოიცა, უმაღლესი კომუნისტების დაუფარავი ზიზღი და არაკომუნისტების გულწრფელი აღფრთოვანება გამოიწვია. მწერალმა პირველად იგრძნო, თუ რა ყოფილა დიდება და კეთილდღეობა. ქლექით მძიმედ ავადმყოფი ორუელი ჰებრიდის კუნძულებზე განმარტოებულ ვილას შეიძენს და იქ დასახლდება. იქ იგი განუწყვეტლივ სანერ მაგიდას უზის, რათა თავისი მთავარი ნიგნი — “1984” დაწეროს, რომანი-გაფრთხილება ყოველგვარი ტოტალიტარული სისტემის სისასტიკისა და არაადამიანურობის შესახებ, ნიგნი, კრისტალურად გამჭვირვალე სტილითა და სათქმელით, ნიგნი, რომელიც მგრძნობიარე და ფაქიზ მკითხველს თმებს ყალყზე უყენებს და ძარღვებში სისხლს უყინავს.

რომანის ბოლო სტრიქონების დაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ 46 წლის ჯორჯ ორუელი ლონდონის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. გარდაიცვალა უშიშარი კაცი და მწერალი, რომელიც ყოველთვის უფრთხოდა ვირთხებს, მაგრამ არ შეუშინდა ჩვენი ბედკრული საუკუნის ყველაზე შემზარავ ურჩხულს — კომუნიზმს. მთავარი, ალბათ, მაინც ისაა, რომ მან ამ ურჩხულის დამარცხება საკუთარ თავში შეძლო.

“არილი”, 23-29 ივლისი, 1998

გაბრიელე დ'ანუნციო

მეოცე საუკუნის იტალიის კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრების სახელგანთქმული მოღვაწე, ბრწყინვალე პოეტი, რომანისტი, დრამატურგი და ესეისტი გაბრიელე დ'ანუნციო იტალიურ ქალაქ პესკარაში 1863 წლის 12 მარტს დაიბადა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ერთიანი იტალიური სახელმწიფო ისევ განსახორციელებელ მიზნად რჩებოდა, უკვე ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ მის ხორცშესხმას თითქმის ალარაფერი ედგანინ. დ'ანუნციოს დაბადებამდე ორი წლით ადრე, 1861 წლის 17 მარტს საერთოიტალიურმა კრებამ ტორინოში სარდინიის მეფე ვიქტორ ემანუელ მეორე სრულიად იტალიის მეფედ გამოაცხადა და გარიბალდის რაზმებს ისლა რჩებოდათ, ხელსაყრელ დროსა და ვითარებას დალოდებოდნენ, რათა ახლადშექმნილი ქვეყნისათვის აპენინის ნახევარკუნძულის დარჩენილი ტერიტორიებიც მიერთებინათ, პაპის ათასწლოვანი სახელმწიფოს ჩათვლით. პატარა გაბრიელე შვიდი წლის ყმანვილი იყო, როცა 1870 წლის ივნისში იტალიის ჯარები — პაპის წინააღმდეგობის მიუხედავად — რომში შევიდნენ და მარადიული ქალაქი იტალიის სამეფოს დედაქალაქად გამოცხადდა.

როდესაც, 1938 წლის 1 მარტს, გარდას ტბის ნაპირას, გარდონე რივიერაში, თავის დიდებულ კომპოში თავადი გაბრიელე დ'ანუნციო გარდაიცვალა, იტალიის სამეფოს სათავეში ფაშისტური მთავრობა იდგა, ის ფაშისტები, ბენიტო მუსოლინის მეთაურობით, რომელთა

მოსვლასაც ასე ელოდებოდა, რომელთა მოსვლასაც ასე ამზადებდა და ეგებებოდა სახელგანთქმული მწერალი და სახელგანთქმული მეომარი დ'ანუნციო. თუმცა როცა პოეტმა და მეოცნებემ ჯერ კიდევ 1915 წლის 5 მაისს მოუწოდა თავის ერს, ებრძოლათ Pax Romana-ს, — რომაული მშვიდობის — აღსადგენად, რომაული, რომანული, ლათინური ფასეულებობის გადასარჩენად, ვანდალურ-გერმანიკული ტომების ბატონობისაგან ევროპის გასათავისუფლებლად, ბევრს, ალბათ, გაახსენდა, რომ ასი წლის წინ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამგვარივე მგზნებარებით (და ცოტა გულუბრყვილოდ) უხსნიდა სრულიად ახალგაზრდა იტალიელი პოეტი, გრაფი ჯაკომო ლეოპარდი ბარონესა ჟერმენ დე სტალს, თუ რას ნიშნავს იტალიისათვის კლასიკური ტრადიციები, რომ იტალიელები — ევროპის საფუძველთა საფუძვლის, ანტიკური სამყაროს პირდაპირი მემკვიდრეები — რომისა და კლასიკური ევროპის კანონიერ მუხატრონეებად, დამცველებად და ქომაგებად მიიჩნევენ თავს.

გაბრიელე დ'ანუნციოს მამა შეძლებული და პოლიტიკურად გავლენიანი მიწისმფლობელი ყოფილა, რომელმაც ადრევე შენიშნა ვაჟის გამორჩეული ინტელექტუალური პოტენცია და მიზნად დაისახა, შვილისათვის კარგი განათლების შექმნის საშუალება მიეცა. თექვსმეტი წლის გაბრიელე ჯერ ისევ სკოლის მონაფე იყო, როცა მეფე უმბერტო პირველისადმი მიძღვნილი ლექსი დაბეჭდა, რომელმაც არა მარტო მეფისა და სამეფოს თაყვანისმცემელთა, არამედ პოეზიის მოყვარულთა ყურადღებაც მიიპყრო.

შემდგომში, რომის უნივერსიტეტში სწავლისას დ'ანუნციო აქვეყნებს თავის ორ პირველ პოეტურ კრე-

ბულს, რომელთაც დიდი გამოხმაურება ხვდა წილად და რომელთაც გზა გაუკვალეს და საფუძველი ჩაუყარეს მომავალი პოეტის ნახევარსაუკუნოვან დიდებას.

აკადემიური განათლების დამთავრების შემდეგ, დ'ანუნციო საცხოვრებლად რომში რჩება. მომხიბლავ მარია ჰარდუენზე დაქორწინება 20 წლის ჭაბუკს ძველი არისტოკრატიული ოჯახის წევრად აქცევს; ლექსების, მოთხრობების, ნოველების, რომანების, პიესების, ყოველდღიური სტატიების ბეჭდვა მას არტისტული და ჟურნალისტურ-საგამომცემლო წრეების კარს გაუღებს; პოლიტიკური აქტიურობა მას იტალიის პარლამენტის დეპუტატის მანდატს შესძენს — თუმცა მისი კარიერა სადეპუტატო ტრიბუნასთან ხანგრძლივი არ აღმოჩნდება, რადგან ფლორენციელ ამომრჩევლებს მალე დაჰქანცავს მათი რჩეულის უკიდევანო რიტორიკა და მისი ნაბიჯებისა და არჩევანის სრული განუჭვრეტელობა.

მაგრამ მწერლურ დიდებას წინ არაფერი უდგას — დ'ანუნციო განუწყვეტილად გარემოცულია რედაქტორებით, გამომცემლებით, კრიტიკოსებითა და ერთგული მკითხველებით, და არა მარტო მათი საზოგადოებით, — სიცოცხლის ბოლომდე იგი გარანტირებულია მათი აღტაცებითა და აღფრთოვანებით. პოეტიც გრძნობს, რომ მისი დიდების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, მისი ქმნილებებია და ამიტომ ვერც პოლიტიკური მოღვაწეობა, ვერც უსასრულო სატრფიალო გატაცებანი, და ვერც ხშირი ფინანსური შეჭირვებანი ხელს ვერ უშლიან მის არნახულ შემოქმედებით პროდუქტიულობას, მისი ენისა და სტილის მანამდე უნახავ წარმტაცობასა და სიელვარეს.

1910 წელს გაბრიელე დ'ანუნციო თავს ბანკროტად აცხადებს და მევალეთაგან თავის გადასარჩენად პარიზს შეაფარებს თავს. მოულოდნელი არავისთვის იყო, რომ მისი განსაკუთრებული და დაუფარავი სწრაფვა ფუფუნებისა და მეტისმეტად ხელგაშლილი ცხოვრებისაკენ ერთ მშვენიერ დღეს მას გაკოტრებამდე მიიყვანდა, მაგრამ ლტოლვილობას იმჯერად რომანტიკული გზნებაც განაპირობებდა — თავდავინყებულის ტრფობა სახელოვანი ფრანგი მსახიობის, ელეონორა დუზეს, მიმართ, რომანი, რომელიც მწერლის პარიზში გადასახლებამდე 16 წლით ადრე დაიწყო. თუ მანამდე დუზეს სასცენო შემოქმედებისათვის დ'ანუნციოს რამდენიმე პიესა ჰქონდა დაწერილი, ახლა იგი საგანგებოდ ფრანგულ ენაზე ქმნის თავის დრამატურგიულ ნაწარმოებს. თუმცა მისი ყველაზე გახმაურებული დრამები — “ლა ჯოკონდა”, “ფრანჩესკა და რიმინი” და “იორიოს ქალიშვილი” იტალიურადაა დაწერილი, — და თან იმგვარ იტალიურად, რომლის მსგავსი ცოტა რამ თუ დაწერილა ჩიტებისა და ანგელოზების ამ წარმტაც ენაზე.

მაგრამ როგორც კი მსოფლიო ომი აგიზგიზდება, დ'ანუნციო ისევ იტალიას მიაშურებს, რათა სამშობლოში რომაული, ლათინური სული ააღორძინოს, რათა თანამემამულეებს შთაგონებული სიტყვით მხნეობა გაუღვიძოს, რათა მეომრის ფორმა ჩაიცვას და ჯარისკაცთა რაზმებს ჩაუდგეს სათავეში, რათა იბრძოლოს როგორც ქვეითმა მიწაზე, მეზღვაურმა ზღვაზე და მფრინავმა ჰაერში, თუნდაც ერთ-ერთი საავაციო შეტაკებისას ერთი თვალი სამუდამოდ დაკარგოს.

1919 წელს დ'ანუნციო თავის 300 თანამებრძოლთან ერთად არაფრად ჩააგდებს ვერსა-

ლის ხელშეკრულებას, რომელმაც ევროპას ახალი წესრიგი და ახალი საზღვრები დაუწესა (როგორც 20 წლის მერმე აღმოჩნდება, არცთუ მყარი წესრიგი და არცთუ მყარი საზღვრები), და ბრძოლით დაიკავებს დაღმაცეიურ პორტს ფიუმეს (დღევანდელ ხორვატიულ რიიეკას), რომელიც იტალიელებისა და მოკავშირეთა შეთანხმების შედეგად, ახლადშექმნილ იუგოსლავიას უნდა მიკუთვნებოდა, მაგრამ დ'ანუნციო საერთო გადაწყვეტილებას ყურადღების ღირსად არ მიიჩნევს და, რაკილა პორტი იტალიის მიწად მიანჩნია, 1920 წლის მიწურულამდე იქ საკუთარ მმართველობას, საკუთარ დიქტატურას დაამკვიდრებს. იტალიის მთავრობის ჩარევის შედეგად პოეტი და მეომარი დატოვებს ქალაქს, მაგრამ 1924 წელს ფიუმე ისევ იტალიას გადაეცემა, რასაც ყველა სწორედ დ'ანუნციოს თავგანწირული და თავზეხელაღებული გაბრძოლების შედეგად მიიჩნევს. პოეტისა და ესთეტიის სახელს გვერდით ამოუდგება გმირის დიდება და მონტე ნეოზოს თავადის ტიტული.

მიუხედავად იმისა, რომ დ'ანუნციო მხარდაჭერას გამოუცხადებს მუსოლინის რეჟიმს, ხოლო ფაშისტური მთავრობა მისი ნაწერების სრული კრებულის სახელმწიფო გამოცემას იწყებს, თავად პოეტი მთლიანად ჩამოშორდება საზოგადოებრივ ცხოვრებას და 12 დღით ადრე, სანამ სიცოცხლის 75 წელს დაასრულებს, 1938 წლის 1 მარტს, გარდონეს კომპში ახლობლებს, იტალიასა და ამ სოფელს გამოემშვიდობება.

ვისაც ნებისმიერ ენაზე ნებისმიერი დიდი თუ პატარა ენციკლოპედია ან ცნობარი გადაუთვალეიერებია, ოღონდ უსათუოდ ისეთი, სადაც პოეტები არ

არიან გამოტოვებული, იმ გვერდზე (ან წინა გვერდზე), სადაც ანბანის თანახმად, დანტე ალიგიერია მოხსენიებული, უთუოდ კიდევ ერთი იტალიელი პოეტის, გაბრიელე დ'ანუნციოს, სახელსაც მოჰკრავს თვალს. "ლა კომედიას" შემქმნელი წარუვალ, უცვალებელ სახეებს ჭვრეტდა და ასახავდა, მისი ავტორის სახელიც — ფლორენციელი დანტე, როგორც უკვე ჩავლილმა ექვსმა საუკუნემ დაადასტურა, აზრისა და სიტყვის მარადიულ ღირებულებებს განეკუთვნა. რაც შეეხება დ'ანუნციოს, მისი მჩქეფარე ცხოვრება და ზედმეტად დახვეწილი შემოქმედება ჩვენი მღელვარე და დაძაბული საუკუნის სიმშვენიერესა და სიმამაცეს, შეცდომებსა და წინააღმდეგობებს, სისასტიკესა და მიუსაფრობას ირეკლავს, იმ საუკუნისას, რომელსაც არც სისხლი და არც სილამაზე არ მოუნაკლისებია. გაბრიელე დ'ანუნციოს შემოქმედება, როგორც უკვე ჩავლილმა ექვსმა ათწლეულმა დაადასტურა, ამ საუკუნის ჩარჩოებში მოთავსდა და, ალბათ, მის მიღმა ნაკლებად მიიზიდავს მკითხველს. ოღონდ ვისაც სურს, ჩამთავრებული საუკუნის დასაწყისის ევროპის ფიქრებსა და სატკივარს, გატაცებებსა და შეგრძნებებს, სურნელებასა და ფერებს ეზიაროს, გაბრიელე დ'ანუნციოს მოელვარე და შთაგონებულ წიგნებს უნდა ჩაუჯდეს, რომელთა შესახებ ამჯერად თითქმის არაფერი გვითქვამს.

"არილი", 30 ივლისი, 1998

აკაკი განერელია

არცთუ ადვილი საქმეა აკაკი განერელიას მიკუთვნება რომელიმე თაობისათვის, და ამის მიზეზი არც მისი უეჭველი ფართო კონტაქტურობა იყო და არც საქართველოს ისტორიის იმ 70 წლიანი პერიოდისათვის დამახასიათებელი “დროთა კავშირის მსხვერვეა”, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება. სანამ ასაკის ტვირთს იგრძნობდა, იგი უფროსებთან მეგობრობდა, სიბერის მოახლოებასთან ერთად კი უფრო მეტად ახალგაზრდებში ეძებდა და პოულობდა თანამოსაუბრეებსა თუ თანამოაზრეებს. როგორც ჩანს, იგი ვუნდერკინდთა კატეგორიას ეკუთვნოდა და 1926 წელს საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე 16 წლის ყმანვილი დელეგატის მანდატის ასაღებად რიგში ნიკო ნიკოლაძესა და ვასილ ბარნოვთან ერთად იდგა. ამის მოგონება მას დაუფარავ სიამოვნებას ჰგვრიდა, მაგრამ არ უყვარდა გაეხსენებინა, რომ ფრიად ახალგაზრდა მწერალი იმ ისტორიულ ყრილობაზე ყველაზე ნაკლებსიმპათიურ ლიტერატურულ დაჯგუფებას — “პროლეტკულტს” წარმოადგენდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, მემარცხენეობის ამ “საყმანვილო სენს” არანაირი გავლენა არ მოუხდენია არც მის მხატვრულ და არც მის სამეცნიერო შემოქმედებაზე, — იმავე პროლეტკულტელების ან ფუტურისტებისაგან განსხვავებით, იგი ყოველთვის კლასიკური კულტურის ტრადიციებზე იყო ორიენტირებული, ხანდახან ზედმეტადაც კი, რის გამოც მის კულტურულ არჩევანს

დროდადრო რეტროგრადული კონსერვატიზმის იერი გადაჰკრავდა ხოლმე. ყველა ვუნდერკინდის მსგავსად, იგი მონყვეტილი იყო თავის თანატოლებს და პიროვნულადაც, შემოქმედებითაც, ლიტერატურულ-კულტურულ ღირებულებათა შკალითაც იგი მის უფროს თანამედროვეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ, როგორც ყველა ვუნდერკინდი, დროულად დაბრძენებულ (თუ არდაბრძენებულ) თანატოლთაგან განსხვავებით, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა ყმანვილურ ემოციურობას, სიცელქეს, მიამიტობას, ეპატაჟისა და გამონწვევის სურვილს.

ყველაზე მეტად იგი, შესაძლოა, გერონტი ქიქოძის, პავლე ინგოროყვასა და კონსტანტინე გამსახურდიას წრეს ეკუთვნოდა (მათთან მისი შინაურული სიახლოვე და შინაგანი ნათესაობა ნათელ-მირონითაც იყო დადასტურებული), მაგრამ, გარდა იმისა, რომ ასაკით მათზე საკმაოდ უმცროსი იყო, მათგან განსხვავებით, მოკლებული იყო რევოლუციამდელი ცხოვრების აგრერიგად განმსაზღვრელ გამოცდილებას. ეს ახლობლობა და დისტანცია კი მას უფროსებისადმი იმ ჭაბუკური ირონიული დამოკიდებულების საშუალებას აძლევდა, რომელიც ხშირად მეტ-ნაკლებად მწვავე, პირად თუ საზოგადოებრივ წაკინკლავებაში გადადიოდა ხოლმე. აკაკი განერელიას პორტრეტისათვის ნიშანდობლივი ერთი პატარა ეპიზოდი კარგად ხატავს მის მფეთქავ ხასიათს, ენამოსწრებულობას, უკანმოუხედაობას, მკვახე განცხადებების სიყვარულს: როცა 1968 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომაზე ცეკას იმხანად ყოვლისშემძლე მდივანს განუცხადებია, პავლე ინგოროყვას ჭკუა ყველა აქმყოფმა რომ გავ-

ინანილოთ, თავისუფლად გვეყოფა და კიდევ დარჩებაო, აკაკი განერელია სკამიდან წამომხტარა და, სანამ კარებს გაიჯახუნებდა, პარტიული ბოსისათვის მიუძახებია, ჩემი წილი თქვენთვის დამითმია, მე ჩემი ჭკუაც მეყოფაო.

მან მართლაც მთელი ცხოვრება თავისი ჭკუით იცხოვრა და თავის ჭკუას უმაღლიდა ყველა წარმატებასა და მარცხს, მიღწევასა და დანაკარგს. ერთადერთ ჭკუისდამრიგებლად და მფარველად იგი სიმონ ჯანაშიას მიიჩნევდა, რომლის დაჟინებული რჩევითაც, — შილერიც კი უნივერსიტეტის პროფესორი იყო, — იგი ცოტათი მოგვიანებით შესდგომია აკადემიურ-პედაგოგიური კარიერის საფეხურებს. შესაბამისად, ყველა თავისი შემდგომი აკადემიური წარუმატებლობის მიზეზად იგი ამ მეტად გავლენიანი აკადემიკოსის უდროო სიკვდილს მიიჩნევდა. უცნაური და დაუჯერებელი, ხშირად თეატრალურად ხაზგასმული იყო აკაკი განერელიას განცდები, რომ იგი ვერ გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რომ იგი არ იყო უნივერსიტეტის პროფესორი, რომ არ აირჩიეს ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელად, — მით უმეტეს უცნაური და დაუჯერებელი იყო, რადგან იგი გულწრფელად სკეპტიკურად იყო განწყობილი ყოველგვარი საბჭოთა ტიტულების, წოდებების, ორდენებისა თუ პრემიების მიმართ და კარგად იცოდა მათი ჭეშმარიტი ფასი. უსასრულო დაჩივლებებს ხანდახან ზღვარს იმით დაუდებდა, რომ იტყოდა, აკადემიკოსის მყარი ხელფასი რომ მქონოდა, ამ მომქანცველი, არაფრისმომცემი ლექციებისაგან განვთავისუფლდებოდი და ჩემს დასაწერ წიგნებს ჩავუჯდებოდიო. ეს კომუ-

ნისტური ეპოქის კიდევ ერთი გრიმასა იყო — ყველა პატიოსანი კაცი ან მარტვილი ან დევნილი იყო, ან მარტვილისა და დევნილის ჩარჩოს მაინც ირგებდა, თორემ აკაკი განწერელიას — თავგადასავლებისა და ხიფათების მოყვარულს, სილამაზისა და ვნების, ტკობისა და თრობის დიდ დამფასებელს, არცთუ იშვიათად მკრეხელსა და ერეტიკოსს მორალურ-რელიგიურ ფასეულობათა მიმართ — ნაკლებად შეეფერებოდა წმიდანისა და წამებულის როლი. მაგრამ მას ხშირად ჰქონდა სევდისა და უკმაყოფილების საბაბი, და როცა სული ეხუთებოდა, იგი — ფაქიზი და დახვეწილი მკითხველი, ვნებიანი და მომხიბლავი მწვეფელი, ბრწყინვალე და წარმტაცი მთხრობელი — შვებას წიგნებში, სიგარეტში, თხრობაში პოულობდა. ნახევარი საუკუნის გადაბიჯების შემდეგ მან თითქოს ინტელექტუალური თავისუფლების ახალი სუნთქვა მოიპოვა და მისმა ნაწერებმა ჟანრობრივი სიზუსტე შეიძინა, სტილმა — მუსიკალობა, მისმა ერუდიციამ — სიღრმე, ინტერესებმა — სიფართოვე. მაგრამ რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მისი შინაგანი დიალოგები დანტესთან და პასკალთან, როზანოვთან და იასპერსთან, რომან იაკობსონთან და ნილს ბორთან, მით უფრო უჭირდა მას საერთო ენა გამოენახა იმ გარემოსთან, სადაც იგი ცხოვრობდა და მსახურობდა. ამიტომ განსაკუთრებული გულახდილობისას იგი დაიჩივლებდა ხოლმე, რომ ინტელექტუალური მარტოობით იტანჯებოდა, ანდა სოლიდარობის გრძნობით გაიხსენებდა გიორგი ლეონიძეს, რომელსაც მოკითხვისას თურმე ამგვარი პასუხი სჩვეოდა: ისე ვარ, როგორც მარკუს ავრელიუსი ბარბაროსებს შორისო. იგი განუწყვეტლივ ეძებდა მოსაუბრესა

და მოკამათეს, მაგრამ კამათის არაჩვეულებრივად მძაფრი ყინი მაშინ დაეუფლებოდა, როცა ისეთ საკითხებზე ედავებოდნენ, რის შესახებაც ათობით ნიგნი ჰქონდა ნაკითხული და ათობით ფურცელი — დანერილი. ამიტომ მისი მემკვიდრეობის მესამედს მაინც ვრცელი, გამანადგურებელი, დაუნდობელი პოლემიკა წარმოადგენს, სადაც ქვა ქვაზე არაა ხოლმე დატოვებული მისი ამა თუ იმ ოპონენტის ინტელექტუალური (და ხშირად, ამასთანავე, პიროვნული) ღვანლიდან. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დაგრჩეთ, რომ ზოგიერთ ფურცელს მას შურისძიების დემონი აწერინებდა (მაგალითად, იმ ნიგნის კითხვისას, რომელიც სავსებით აკადემიურ სათაურს ატარებს, მაგრამ რომლის პათოსი განპირობებულია "ვეფხისტყაოსანში" "ოქროს კვეთის" მაძიებელი აკადემიკოსის მორალურ-შემოქმედებითი გაცამტვერების ჩანაფიქრით, თუმცა მოზრდილი ნაშრომის ტექსტში ერთგანაც ვერ იპოვით მიზანში ამოღებული მსხვერპლის სახელს).

პავლე ინგოროყვას მსგავსად, რომელიც ასევე მწვავედ განიცდიდა აკადემიური არეოპაგის გარეთ დარჩენას, აკაკი განერელია გარეშემომყოფთაც და საკუთარ თავსაც არწმუნებდა, რომ იგი, პირველ ყოვლისა, მწერალია და შემდგომ — მკვლევარი, მეცნიერი.

პავლე ინგოროყვასაგან განსხვავებით, მას ამის განცხადების მეტი უფლება ჰქონდა, და მოელვარე ესეებისა და ჩანაწერების გარდა, ქართველ მკითხველს მისი ბელეტრისტიკის მოზრდილი ტომიც ეგულება ბიბლიოთეკის თაროზე, მაგრამ მისი მთავარი სამწერლო საქმე, — რომანი (ან, როგორც თა-

ვად უნოდებდა, ეპოპეა) შამილის შესახებ, — რომლის დასაწერადაც იგი 30-იანი წლების დასაწყისიდან ემზადებოდა და რომელსაც რამდენიმე ათეული წელი წერდა, შუაგზამდეც ვერ იქნა მიყვანილი. და ამის მიზეზი მხოლოდ უდროობა და წამოსწრებული სიკვდილი არ ყოფილა: იგი, როგორც ჩანს, ტოლსტოის, — მისი უცვლელი მხატვრული საზომის, — “ჰაჯი მურატის” რომანად ქცევას ან მასთან გაჯიბრებას ცდილობდა. მისი ეს მცდელობა ცოტათი ბორხესის ერთი გმირის, პიერ მენარის, საქციელს ჰგავს, რომელიც XX საუკუნეში ხელახლა წერს “დონ კიხოტს”. გამოგონილი პიერ მენარის მსგავსად, აკაკი განერელიას “შამილისაგან” რამდენიმე ფრაგმენტი, რამდენიმე თავი დარჩა. მაგრამ პრუსტისა და ფოლკნერის შემდეგ ტოლსტოის საზღვრებში დარჩენა უკვე პრინციპულად იყო შეუძლებელი, — შეუძლებელი იყო მით უმეტეს აკაკი განერელიასათვის, რომელიც ისე იცნობდა პრუსტსა და ფოლკნერს, ჰამსუნსა და თომას მანს, ჯოისსა და უნამუნოს, როგორც ცოტა ვინმე საქართველოში.

მას დაუმთავრებელი, შეუსრულებელი დარჩა მეორე დიდი საქმეც — მონოგრაფია ავგუსტინეს შესახებ. ამჯერადაც ეს ჩანაფიქრი ჩანასახშივე იყო განწირული: 80-იანი წლების დასაწყისის თბილისში ძნელი იყო, რამე ახალი თქმულიყო “აღსარებათა” ავტორის შესახებ, — არ იყო არც ინფორმაცია, არც წიგნები, არც კონტაქტები, არც თეოლოგიური სკოლის ტრადიციები, არც ჰიპონელი ეპისკოპოსის ტრაქტატებთან მედიტაციური განმარტოების საშუალება. და კიდევ ერთი ხელისშემშლელი მიზეზი: აკაკი განერელია, ევროპული კულტურის მცოდნე,

მოყვარული, თაყვანისმცემელი, რომლის სამუშაო კაბინეტშიც ილია ჭავჭავაძის პორტრეტთან ერთად პოლ ვალერის პორტრეტიც ეკიდა, არ ფლობდა არცერთ ევროპულ ენას, რაც მას საკმაოდ აბრკოლებას უქმნიდა უფრო ახლოს მისულიყო ევროპული ცივილიზაციის ამ ერთ-ერთ მესაძირკვლესთან. ამ შემთხვევაშიც აკაკი განერელია, შესაძლოა, სიმბოლური ფიგურაა, რადგან, მეტისმეტად მცირე გამონაკლისის გარდა, ქართველი ინტელექტუალების ევროპასთან ზიარება, ევროპასთან მიახლება უმთავრესად რუსეთის გზით ხდებოდა, — რუსულად გადათარგმნილი, რუსულად ტრანსფორმირებული ევროპა კი, ბუნებრივია, მთლად ყოველთვის არ იყო ნამდვილი, ადეკვატური, უშუალო ევროპა. და მაინც, აკაკი განერელიას არასოდეს შეჰპარვია ეჭვი ევროპულ ფასეულობებში, საზომი და ათვლის ნერტილი მისთვის ყოველთვის ძველი კონტინენტი იყო, იმამი შამილიც კი მის მოთხრობებში ჩეჩნეთის აულებზე უფრო რელიეფურად ევროპულ გარემოში იხატება: როცა ლოჟაში იტალიურ ოპერას უსმენს ან ფრანგი ბასკოს შეგირდს, ილუზიონისტს, შესცქერის. სიცოცხლის მინურულს აკაკი განერელიამ თავის მასწავლებლად ტიციან ტაბიძე აღიარა, — შესაძლოა, ესეც მითოლოგიურ-ლიტერატურული მონტაჟი იყო, — და მასაც კი, პირველ ყოვლისა, ევროპული კულტურისაკენ მიმყვანი გზების გაკვალვა, პოლ ვალერისთან პირველი შეხვედრა დაუმაძღა.

ყოფითი, დროითი, კულტურული და სხვა მიზეზების გარდა, აკაკი განერელიას კიდევ ერთი ხელისშემშლელი მიზეზი ჰქონდა, რომ საკუთარი პოტენცია საკუთარ შემოქმედებად ექცია — გარდა

იმისა, რომ იგი უპირობოდ ნიჭიერი, გამორჩეულად ნაკითხი, ბრწყინვალე მახსოვრობისა და მახვილი მზერის პატრონი იყო, მას საკმაოდ ფაქიზი გემოვნება ჰქონდა და შესანიშნავად გრძნობდა ნამდვილი ლიტერატურის, ნამდვილი ფილოსოფიის, ნამდვილი ფილოლოგიის პარამეტრებს. ამიტომ ამ გადმოსახედიდან იგი, ალბათ, შინაგანად ყოველთვის შებოჭილი იყო, როცა კალამს იღებდა ხელში. კედლიდან კი მას დაჰყურებდა ათასობით წიგნი და პოლ ვალერის მზერა, — ვალერი მისთვის თითქმის ერთადერთი უეჭველი ავტორიტეტი იყო, რომლის ერთგულიც იგი რჩებოდა არამარტო აზრისა და სახის სიზუსტისადმი სწრაფვისას, არამარტო კლასიკური სტილის წარუვალი ღირებულების აღიარებისას, არამარტო აღქმის მომცველობის მოთხოვნისას, — დროის დინებასთან ერთად სულ უფრო აშკარად გამოვლენილი ყოვლისგამჭოლი სკეფსისიც მას ბატონ ტესტის შემქმნელთან ანათესავებდა. მისადმი მადლიერებისა და მონივნების გამოხატულებად მიიჩნევდა აკაკი განერელია თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ესეს ვალერიისულ სათაურსაც, — "ლევ ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი", — რომელიც ფრანგი კლასიკოსის ლეონარდო და ვინჩის შესახებ საეპოქო ტრაქტატის სათაურს ეხმიანება, იმ ტრაქტატს, რომელსაც მკვეთრ ხაზად გასდევს თვალსაზრისი, რომ ლეონარდო უფრო დიდი, მნიშვნელოვანი და ღირებული იყო, ვიდრე მისი შემოქმედება.

აკაკი განერელიამ მოზრდილი მემკვიდრეობა დატოვა, მაგრამ მისი პიროვნება უფრო ფართო, მდიდარი და მიმზიდველი იყო. მის შემდეგ დარჩა ფუნდამენტური, აკადემიური მონოგრაფია — "ქარ-

თული კლასიკური ლექსი", სოლიდური ნარკვევები, ბრწყინვალე ესეები, სარკასტული ნაპერწკლებით და თავბრუდამხვევი ერუდიციით გაჯერებული პოლემიკური სტატიები, ფრანგების კვალობაზე აგებული იმპრესიონისტულ-ბიბლიოგრაფიული ეტიუდები, ქოთნის ყვავილების მაგვარი მოთხრობები, დარჩა დაუნერელი წიგნები შამილის, ავგუსტინეს, პეტრე იბერიელის შესახებ, დარჩა ის ცარიელი ადგილი, რომელიც ეკავა აკაკი განერელიას — მნიგნობარსა და სკანდალისტს, ელეგანტურსა და უბრალოს, ამადლებულსა და ყოფისაგან შეჭირვებულს, ლავრენტი ბერიას თანამოაზრეთა მეგობარს და ზვიად გამსახურდიას ნათლიას, თეოლოგიისა და პოეზიის მცოდნეს, მოცურავესა და მონადირეს, ეპოქის ზეპირ მემატიანესა და ენაკვიმატ ოხუნჯს, ქუჩებში ხანგრძლივი საუბრებისა და გათენებამდე ნადიმობის მოტრფიალეს.

აკაკი განერელია საბჭოთა საქართველოზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, იგი რამდენიმე წლით გადასცდა საბჭოთა საქართველოს დასასრულს. სხვა ქვეყანაში და სხვა დროს მისი ცხოვრება, ალბათ, სხვაგვარად წარიმართებოდა, მაგრამ ეს უკვე ალბათობის არასოლიდური და საჭოჭმანო სივრცეა, რასაც არაფერი აქვს საერთო აკაკი განერელიას დამთავრებულ ცხოვრებასა და ღვანლთან.

"არილი", 3 მაისი, 2002

კონვერტებით მონოდებული გზავნილი

იმ წლებში (1997-1998), როცა მერაბ ლალანიძე თავის გზავნილებს სწერდა "არილის" მკითხველს, ეს ცნება ჯერ კიდევ სუფთა იყო და სიტყვა "გზავნილს" იშვიათად თუ მოჰკრავდით ყურს. პოლიტიკოსებს ჯერ არ ჰქონდათ გათავისებული ეს სიტყვა, და საერთოდაც, გზავნილების კულტურა მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა, რადგან სწორედ 1997 წელს ჩაირთო პირველი ქართული მობილური ოპერატორები, ამავე პერიოდში დაიგზავნა პირველი ქართული გზავნილებიც და სიტყვაც წავიდა დაღმართზე... ამ პერიოდში ბევრი სხვა რამეც მოხდა, ბოდენის დოკუმენტით დანყებული – პირველი სამოქალაქო კოდექსით დამთავრებული. ასიათასობით ადამიანს სხვა უფრო მძიმე მოვლენებიც ახსოვს, მაგრამ საქართველოში არსებობს რამდენიმე ათეული (შესაძლოა ასეულისც) ადამიანი, რომელთაც ეს წლები სწორედ მერაბ ლალანიძის "არილის" გზავნილებით დაამახსოვრდა.

მაშინ სულ ახალი გახსნილი მქონდა პირველი იმეილი (რომელსაც დღემდე ვინარჩუნებ), თუმცა ეს სტატიები პრაქტიკულად მაინც კონვერტებით მოგვდიოდა. ტექსტები, თუ არ ვცდები, გეოტაიმსით იყო აკრეფილი, ამობეჭდილს ავტორი სამად კეცდა, დებდა კონვერტში და ხანდახან საილუსტრაციო ფოტოსაც აყოლებდა ხოლმე. ჩვენთან ტექსტები ხელახლა იკრიფებოდა, სწორდებოდა და ნომერში მიდიოდა. სწორედ ამ გზით მოხვდა 1997 წლის "არილის" მარტის და მაისის ნომერებში პირველი ორი სტატია ორ

ადამიანზე, რომელთაც მაშინ ცოტა ვინმე თუ იცნობდა თბილისში და ვის შესახებაც მაშინდელ მწირ გლობალურ ქსელშიც მხოლოდ რამდენიმე წინადადებას თუ იპოვიდით. ეს ორი პორტრეტი როჟე გაროდისა და ტიმოთი ლირის ეკუთვნოდა. მათ მირჩა ელიადე მოჰყვა, შემდეგ — იან პატოჩკა და აიზაია ბერლინი, ჯორჯ სანტაიანა და ერნსტ იუნგერი, ფრანც შუბერტი და ობრი ბერდსლი. მახსენდება უჩვეულო წერილი ბეტონის შესახებ, ასევე "ამერიკული უნივერსიტეტები უმცირესობათა დიქტატურის პირობებში", "1966 წელი: რუსთაველის იუბილე". ეს სტატიები, როგორც წესი, ან რამე სიახლეს ეძღვნებოდა, ან რამე ძველის სრულიად ახლებურ ხედვას წარმოგვიდგენდა.

მერაბ ლაღანიძის წერილების გამო იმ ორ წელიწადში "არილმა" ბევრი ახალი მკითხველი შეიძინა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ გაზეთად გამოდიოდა და მოცულობითაც გაცილებით მოკრძალებული იყო, ვიდრე მომდევნო, საჟურნალო ვარიანტი. 1997-ში "არილი" ყალიბდებოდა, იზრდებოდა; ვითარდებოდა, იზრდებოდა "არილის" მკითხველიც; ვიზრდებოდით ჩვენც, ვინც "არილზე" ვმუშაობდით და ამ პროცესში პრაქტულმა გზავნილებმაც დიდი როლი შეასრულა.

მაშინ ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე "არილის" მკითხველს: ბევრს პირადად ვიცნობდი, ბევრის შესახებ მოგვიანებით გავიგე და ზოგიერთის გამოძლიან გამხარებია, ზოგის "არილზე" მიბმულობა გამკვირვებია კიდევ. "არილი" უკვე ოთხი წელია აღარ გამოდის ბეჭდური სახით, სამაგიეროდ, მეორე წელია ბლოგის ფორმით არსებობს და ჟურნალის ძველი მკითხველები დღესაც იყრიან თავს ვირტუალურ სივრცეში. ყოველდღიურად ასზე მეტი უნიკა-

ლური მნახველი გვყავს "არილის" ბლოგზე, რაც საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელია ლიტერატურული ინტერნეტ-გამოცემისთვის. დღეიდან კი "არილის" მკითხველთა თავშეყრის კიდევ ერთი ადგილი იარსებებს. იმედი მაქვს, დაფანტულ მკითხველს ეს წიგნიც შეყრის და ის ისეთებსაც წააკითხებს თავს, ვისაც აქამდე არაფერი სმენია ამ ჟურნალის შესახებ.

ბიბლიოგრაფიული მითითებანი

როჟე გაროდი — (ყოფილი) კომუნისტი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 27 მარტი, 1997.

ტიმოთი ლირი — რევოლუციონერი და იდეოლოგი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 1-7 მაისი, 1997.

მირჩა ელიადე

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 5-11 ივნისი, 1997; *მეორედ:* ავტორისეულ კრებულში “*რწმენისა და იმედის გზაზე*”, თბ., 2003, გვ. 82-90.

გდრ-ის გამოფენა ბერლინში

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 10-16 ივლისი, 1997.

ბარონ მიუნხაუზენის ტყუილი და მართალი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 17-23 ივლისი, 1997.

ჩინეთის “კულტურული რევოლუცია”

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 31 ივლისი, 1997.

ევროპული ფილმის მეოთხე პრაქული ფესტივალი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 21-27 აგვისტო, 1997; *მეორედ:* ავტორისეულ კრებულში “*წვდომისა და გამომხატვის ოსტატობა*”, თბ., 2004, გვ. 99-107.

“კავკასიური ღამე”

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 4-10 სექტემბერი, 1997; *მეორედ:* ავტორისეულ კრებულში “*წვდომისა და გამომხატვის ოსტატობა*”, თბ., 2004, გვ. 108-110.

იან პატოჩკა — ფილოსოფოსი და მოღვაწე

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 11-17 სექტემბერი, 1997.

ცოტა რამ ბეტონის შესახებ

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 18-24 სექტემბერი, 1997.

ფრანც შუბერტი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 25 სექტემბერი, 1997; მეორედ: ავტორისეულ კრებულში "წვდომისა და გამოსატვის ოსტატობა", თბ., 2004, გვ. 89-95.

ხელახალი ლონდონური "გლობუსი"

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 23-29 ოქტომბერი, 1997.

ამერიკული უნივერსიტეტები უმცირესობათა დიქტატურის პირობებში

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 30 ოქტომბერი, 1997.

ტოტალიტარიზმი ცოცხლობს და იბრძვის!

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 13-19 ნოემბერი, 1997.

ჯორჯ სანტაიანა

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 27 ნოემბერი, 1997.

1966 წელი: რუსთაველის იუბილე

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 29 იანვარი, 1998.

წმიდა ვალენტინის დღე

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 19-25 თებერვალი, 1998.

სერ აიზაია ბერლინი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 26 თებერვალი, 1998.

არჩილი — მეფე და პოეტი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 12-18 მარტი, 1998; მეორედ: კრებულში: "კულტურათა გზაჯვარედინი: XVIII-XIX საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები", თბ., 2002, გვ. 33-37.

ჰოლოკოსტის მუზეუმი ვაშინგტონში

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 26 მარტი, 1998.

საფრთხე: ტელევიზია!

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 2-8 აპრილი, 1998.

ნეტარი ბოშა — ჩეფერინო ხიმენეს მალა

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 14-20 მაისი, 1998; მეორედ: საბა, 4, 2002; მესამედ: ავტორისეულ კრებულში "რწმენისა და იმედის გზაზე", თბ., 2003, გვ. 145-151.

ერნსტ იუნგერი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 4-10 ივნისი, 1998.

ობრი ბერდსლი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 2-8 ივლისი, 1998; მეორედ: ავტორისეულ კრებულში "წვდომისა და გამობატვის ოსტატობა", თბ., 2004, გვ. 89-95.

ჯორჯ ორუელი

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 23-29 ივლისი, 1998.

გაბრიელე დ'ანუნციო

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 30 ივლისი, 1998.

აკაკი განერელია

გამოქვეყნდა პირველად: არილი, 3 მაისი, 2002.

სახელთა საძიებელი

- აბაშიძე, ირაკლი 102
აბუ ზაიდი 86, 87
ადამი 109
ავგუსტინე, წმ. 165, 168
ავიცენა 32
აინშტაინი, ალბერტ 113
ალფონს XIII, მეფე 131
ანაქსაგორა 59
არაგონი, ლუი 15
არანდა, ვინსენტი 52
არისტოფანე 146
არჩილი, მეფე 115-120
ახმატოვა, ანა 43, 113, 114
ახტერნბუში, ჰერბერტ 52
- ბაგრატი, ბატონიშვილი 116, 117
ბაირონი, ჯორჯ გორდონ 72
ბალზაკი, ონორე დე 79
ბარათაშვილი, ნიკოლოზ 72, 161
ბარათაშვილი, ყაფლან 116
ბარბიე, კლაუს 18
ბარნოვი, ვასილ 160
ბაურა, მორის 113
ბეეთჰოვენი, ლუდვიგ ვან 71, 72, 73
ბელოუ, სოლ 83
ბენი, გოტფრიდ 53, 54
ბერდსლი, ობრი 142-147, 170

ბერია, ლავრენტი 168
ბერლინი, აიზაია 112-114, 170
ბერნ-ჯონსი, ედვარდ 145
ბეროუზი, უილიამ 22
ბლერი, ერიკ იხ. ორუელი, ჯორჯ
ბლერი, რიჩარდ 149
ბორი, ნილს 163
ბორხესი, ხორხე ლუის 140, 165
ბრაკი, ჟორჟ 137
ბრენტანო, ფრანც 60
ბრეჟნევი, ლეონიდ 99
ბუდჰა 32
ბულგაკოვი, მიხაილ 43
ბურდული, გუჯა 58

გამსახურდია, ზვიად 168
გამსახურდია, კონსტანტინე 161
გაროდი, როჟე 11-18, 170
გაუდი, ანტონიო 67
განერელია, აკაკი 160-168
გენონი, რენე 16
გერინგი, ჰერმან 50
გინზბერგი, ალენ 22
გოდარი, ჟან-ლუკ 45, 51
გოეთე, იოჰან ვოლფგანგ ფონ 96
გორკი, მაქსიმ 42
გოტვალდი, კლემენტ 61
გრიგოლ პალამა 32
გრინეუეი, პიტერ 49
გურამიშვილი, დავით 118

დავით წინასწარმეტყველი 119
 დადიანი, ვამეყ 116
 დაიანი, მოშე 34
 დანიელი, იული 99
 დანტე ალიგიერი 96, 159, 163
 დ'ანუნციო, გაბრიელე 154-159
 დასგუპტა, სურენდრანათ 28
 დასგუპტა, მაიტრეი 28
 დე სიკა, ვიტორიო 52
 დიკენსი, ჩარლზ 81
 დიურერი, ალბრეხტ 145
 დორე, გუსტავ 40
 დუზე, ელეონორა 157

ევა 109
 ელ გრეკო 128
 ელიადე, მირჩა 26-34, 141, 170
 ელისაბედ II, დედოფალი 76
 ემპედოკლე 59
 ენგელსი, ფრიდრიხ 46
 ერისთავი, რაფიელ 42

ვალენტინი, ნმ. 105-107, 110, 111
 ვალერი, პოლ 166, 167
 ვაშინგტონი, ჯორჯ 80
 ვახტანგ V (შაჰნავაზი), მეფე 115
 ვახტანგ VI, მეფე 118
 ვახტანგი, ბატონიშვილი 116
 ველასკესი, დიეგო 128
 ვერჟესი, ჟაკ 18
 ვერნი, ჟიულ 113

ვიქტორ ემანუელ II, მეფე 154
 ვიქტორია, დედოფალი 35, 142

ზანდერს-ბრამსი, ჰელმა 54
 ზარათუშტრა 32
 ზიუგანოვი, გენადი 90
 ზიუდო, მაქს ფონ 53

თამარი, მეფე 119
 თეიმურაზ I, მეფე 118, 119

იაკობსონი, რომან 163
 იაშვილი, დათო 58
 იბთიქალი, იუნის 87
 იეიტსი, უილიამ ბატლერ 144
 იენგ სარი 90
 ინგოროყვა, პავლე 101, 102, 161, 164
 იოაკიმე ფიორელი 32
 იოანე პავლე II, პაპი 133
 იონესკო, ეჟენ 26, 27
 იონესკუ, ნაე 27, 29
 იორდანი, რაფაელ 131
 იოსებ II, იმპერატორი 132
 იოსელიანი, ოთარ 49
 იუვენალისი 146
 იუნგერი, ერნსტ 30, 134-141, 170
 იუნგერი, ფრიდრიხ გეორგ 134

კავაფისი, კონსტანტინოს 53
 კალატოზიშვილი, მიხეილ 52
 კარნე, მარსელ 84

კასტრო რუსი, ფიდელ 90
 კაფკა, ფრანც 14
 კენედი, ჯონ 22
 კერუაკი, ჯეკ 22
 კესტლერი, ართურ 22
 კეცალკოატლი 32
 კოკტო, ჟან 137
 კრავჩენკო, ვიქტორ 11-13,
 კრონენბორგი, არნო 51

ლასკერ-შულერი, ელზე 54
 ლე კორბუზიე 67
 ლენინი, ვლადიმირ 41, 46, 90
 ლეონარდო და ვინჩი 167
 ლეონიძე, გიორგი 163
 ლეოპარდი, ჯაკომო 72, 155
 ლირი, ტიმოთი 19-25, 170
 ლოიოლა, ეგნატე, წმ. 128
 ლორენი, კლოდ 145
 ლუკიანე 146
 ლუკრეციუსი 96

მალა, ჩეფერინო ხიმენეს (პელე) 127-131, 133
 მალკოვიჩი, ჯონ 51
 მალრო, ანდრე 26
 მანდელშტამი, ოსიპ 43
 მანი, თომას 165
 მანტენია, ანდრეა 145
 მარო ძედუნი 43, 45, 46
 მარია ტერეზია, იმპერატრისა 132
 მარკუს ავრელიუსი 163

მარქსი, კარლ 32, 33, 46, 114
 მაუგი, გორდიან 49, 56
 მედიჩი, ლორენცო 97
 მელვილი, ჰერმან 79
 მელორი, ტომას 145
 მენდელეევი, დმიტრი 21
 მიულერ-შტალი, არმინ 51
 მიუნხაუზენი, კარლ ფრიდრიხ ჰიერონიმუს 38-40
 მორისი, უილიამ 145
 მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუს 51, 52, 71, 72
 მუჟანაძე, ვასილ 100
 მუბარაქი, ხოსნი 86
 მუსოლინი, ბენიტო 154
 მუხრანბატონი, თეიმურაზ 115

ნაბოკოვი, ვლადიმირ 139
 ნასერი, გამალ აბდელ 88
 ნაჯიბულა 88, 89
 ნერუ, ჯავაჰარლალ 45
 ნესტან-დარეჯანი, დედოფალი 116
 ნიკოლაძე, ნიკო 160
 ნინოშვილი, ეგნატე 101
 ნიცშე, ფრიდრიხ 33, 141

ოლდრიჯი, ჯეიმს 99
 ოლივიე, ლორენს 77
 ორტეგა, დანიელ 90
 ორუელი, ჯორჯ 148-153
 ოსტინი, ჯეინ 82

პავლე VI, პაპი 133

პაპინი, ჯოვანი 28
 პარაცელსუსი 32
 პასკალი, ბლეზ 163
 პასტერნაკი, ბორის 113
 პატოჩკა, იან 59-65, 170
 პერსი, სენ-ჟონ 14
 პეტრე იბერიელი 168
 პიერი, აბატი 18
 პიკასო, პაბლო 14, 52, 113, 137
 პლატონი 62, 65, 140
 პო, ედგარ ალან 21
 პოლ პოტი 90
 პრუსტი, მარსელ 83, 165
 პუშკინი, ალექსანდრ 72

ყენე, ყან 16

რაილანსი, მარკ 77
 რასელი, ბერტრან 93
 რაფაელი 145

როდამი, დედოფალი 115
 როზანოვი, ვასილი 163
 როისი, ჯოსაია 93
 როლანი, რომენ 45
 როსელინი, რობერტო 52
 როსეტი, დანტე გაბრიელ 145
 როსტომი, მეფე 115
 რუჟიჩკა, ვაცლავ 70, 71
 რუსთაველი (რუსთველი), შოთა 98-104, 118, 119
 რუშდი, სალმან 85

სადათი, ანვარ 88
 სალაზარი, ანტონიუ 30
 სალიერი, ანტონიო 70
 სანტაიანა, ჯორჯ 92-97, 170
 სანტოს დე ოტო, ნიკოლა 130
 სარტრი, ჟან-პოლ 45
 სეიფერტი, იაროსლავ 63
 სელინი, ლუი-ფერდინანდ 137
 სერაფიმე საროველი, ნმ. 90
 სიანუკი, მეფე 90
 სინიავესკი, ანდრეი 99
 სმარაგდისი, იანის 53
 სოკრატე 59, 62
 სტალი, ჟერმენ დე 155
 სტალინი, იოსებ 36, 43, 46, 100, 101
 სტრავინსკი, იგორ 113
 სუარესი, ფრანსისკო 128

ტაბიძე, გალაკტიონ 43
 ტაბიძე, ტიციან 166
 ტამბური 133
 ტერეზა ავილელი, ნმ. 128
 ტინიანოვი, იური 35
 ტოლსტოი, ლევ 114, 165, 167
 ტორეზი, მორის 15
 ტოროშელიძე, მალაქია 101, 102
 ტროელი, იან 52
 ტროცკი, ლევ 16
 ტურნიე, მიშელ 50

უაილდი, ოსკარ 143, 146

უიტმენი, უოლტ 79
 უმბერტო I, მეფე 155
 უნამუნო, მიგელ დე 165
 უსტინოვი, პიტერ 66, 67

ფერერი, მარკო 49, 52
 ფილიპი, პრინცი 76
 ფიჩინო, მარსილიო 27
 ფოლკნერი, უილიამ 79, 165
 ფრანკი, ანა 17
 ფრანკლინი, ბენჯამინ 80
 ფრანკო, ფრანსისკო 151
 ფროიდი, ზიგმუნდ 32, 33, 113
 ფრომი, ერის 47
 ფენ დეჰუაი 44

ქავუარაძე, ლიკა 58
 ქეთევანი, დედოფალი 117
 ქიქოძე, გერონტი 101, 161
 ქრისტეფორე, ნმ. 51

შამილი 165, 166, 168
 შანკარა 32
 შაჰ-აბას II, მეფე 120
 შაჰნავაზი იხ. ვახტანგ V (შაჰნავაზი)
 შელი, პერსი ბიშ 72
 შექსპირი, უილიამ 75-77, 81
 შვინდი, მორის 72
 შილერი, ფრიდრიხ 162
 შიმელი, ანემარი 85
 შლენდორფი, ფოლკერ 50, 51

შოლოხოვი, მიხაილ 99
შოპენჰაუერი, არტურ 62
შოუ, ბერნარდ 45
შუბერტი, ფრანც 69-74, 170

ჩაპლინი, ჩარლზ 52
ჩერჩილი, უინსტონ 113
ჩომსკი, ნოამ 47
ჩორანი, ემილ მიშელ 29
ჩოსერი, ჯეფრი 82

ნერეთელი, აკაკი 42

ჭავჭავაძე, ალექსანდრე 108
ჭავჭავაძე, ილია 166

ხიმენესი, ტერეზა 130
ხუან დე ლა კრუსი, წმ. 128

ჯანაშია, სიმონ 162
ჯარმენი, დერეკ 77
ჯეიმსი, უილიამ 92
ჯოისი, ჯეიმს 165
ჯონსონი, ლინდონ 22

ჰაიდგერი, მარტინ 59, 62
ჰაველი, ვაცლავ 63, 64
ჰავესი, მაიკლ 66
ჰაიდნი, იოზეფ 71, 73
ჰაინე, ერნსტ 66
ჰამსუნი, კნუტ 52, 53, 165

ჰარდუენი, მარია 156

ჰაქსლი, ოლდოს 22

ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 32, 114

ჰესე, ჰერმან 24

ჰიტლერი, ადოლფ 36, 50, 51, 132

ჰუსეინი, სადამ 16

ჰუსერლი, ედმუნდ 59, 60

მერაბ ლალანიძის ნიგნები

სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის
“მხიარულ ზაფხულში”, თბ.: ლომისი, 2002.

კულტურათა გზაჯვარედინი: XVIII-XIX საუკუნეთა
ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები,
თბ.: ლომისი, 2002 (თანაავტორობით).

რწმენისა და იმედის გზაზე: 50 ესეი რელიგიათა
ისტორიიდან, თბ.: წმ. ირინეოს ლიონელის სახე-
ლობის ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტის
გამოცემა, 2003.

წვდომისა და გამოხატვის ოსტატობა: 25 ესეი ხელოვ-
ნების შესახებ: 1995-2000, თბ.: ქრისტიანული თე-
ოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა,
2004.



ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი “მემკვიდრეობა”

თამაზ ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, 2009.

ნახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა ნელინდეული,
1. 2009.

გილგამეშიანი: ძველი შუამდინარული ეპოსი,
შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა ზურაბ
კიკნაძემ, 2009.

ძველი შუამდინარული პოეზია, შუმერულიდან და
აქადურიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, 2009.

გრიგოლ ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე: 1837-1907
(ბიოგრაფია), 2009.

მერაბ ლალანიძე, გზავნილი “არილის” მკითხველს, 2009.